მაია ოთიაშვილი ია გაბუნია

# მუსიკა და ბავშვები

## მასწავლებლის წიგნი

## 2



წყაროსთვალი

# ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:

მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების

განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:

დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების

ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

მაია ოთიაშვილი     ია გაბუნია

# მუსიკა და ბავშვები

## მასწავლებლის წიგნი

## II კლასი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2018 წელს

**წყაროსთვალი**
**2018**



ავტორები
**მაია ოთიაშვილი**
**ია გაბუნია**

მუსიკალური რედაქტორები
**ირინე მიქაძე**
**ლევან მიზანდარი**

ეთნომუსიკოსი
**ნანა ვალიშვილი**

ლიტერატურული რედაქტორები
**მარინა ნონიკაშვილი**
**თამარ ფაშალიშვილი**

მხატვარი
**თინათინ მღებრიშვილი**

ყდის დიზაინი
**ია გაბუნია**

კომპიუტერული უზრუნველყოფა
**ზაზა გელაშვილი**

აუდიო და ვიდეომასალით, ფონოგრამებითა და მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამა LMMS-ით უზრუნველყოფა
**მიხეილ ვაწაძე**

მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამა LMMS -ის ინსტრუქცია
**მიხეილ ვაწაძე**

აუდიო რეჟისორები
**მიხეილ კილოსანიძე**
**მიხეილ ვაწაძე**

ფსიქოლოგი
**ლია ქურხული**

**„წყაროსთვალი“**

მის: **თბილისი, გარე-კახეთის ქ. 4**
ტელ: 274 63 69;  227 30 73
599 76 10 39;  599 30 16 84
ვებ-გვერდი: **www.tskarostvali.ge**
ელ-ფოსტა: **tskarostvali@gmail.com**

© „წყაროსთვალი“ 2018
© მაია ოთიაშვილი
© ია გაბუნია

**ISBN 978-9941-9295-1-9**

**Maia Otiashvili**
**Ia Gabunia**
**MUSIC AND CHILDREN**
**2018 © “Tskarostvali“**

## სარჩევი


წინათქმა ......................................................................... 5
მუსიკის სტანდარტი ......................................................................... 6
მუსიკის წლიური პროგრამა ......................................................................... 11
**სტრატეგია და ზოგადი მეთოდური რეკომენდაციები** ......................................................................... 15
**შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები** ......................................................................... 16
**გარე სამყარო მუსიკაში; თემა: ფრინველები მუსიკაში**
შინაური ფრინველების ხმები ......................................................................... 19
გარეული ფრინველების ხმები......................................................................... 21
დო, რე, მი, ფა, სოლ......................................................................... 22
გამომსახველი ინტონაციები 1 ......................................................................... 25
დო, მი, სოლ......................................................................... 26
გამომსახველი ინტონაციები 2 ......................................................................... 29
ეგზოტიკური ფრინველები ......................................................................... 30
**გარე სამყარო მუსიკაში; თემა: ცხოველები მუსიკაში**
„მოდი ვნახოთ ვენახი" ......................................................................... 31
რიტმული სავარჯიშოები......................................................................... 34
თეთრი ჩოჩორი ......................................................................... 36
კატების ვალსი – **შემაჯამებელი გაკვეთილი** ......................................................................... 39
კატების დუეტი – **ემაჯამებელი გაკვეთილი**......................................................................... 41
ჩელო......................................................................... 43
ბეთჰოვენის „ზაზუნა" ......................................................................... 49
E-I-E-I-O ია-ია-ო ......................................................................... 52
ცხოველთა კარნავალი – 1 ......................................................................... 53
ცხოველთა კარნავალი – 2 – **ემაჯამებელი გაკვეთილი**......................................................................... 56
მოვიარე სიმღერით... ......................................................................... 57
მუსიკალური კოლაჟი – 1......................................................................... 59
**ეთნოგრაფია და მუსიკა; თემა: სხვადასხვა ქვეყნის ხალხური მუსიკა**
ინტონაციის ამოცნობა ხალხურ სიმღერაში ......................................................................... 61
Ding dong Bell......................................................................... 62
მუსიკალური კოლაჟი – 2......................................................................... 64
არფა ......................................................................... 65
მუსიკალური კოლაჟი – 3 – **ემაჯამებელი გაკვეთილი** ......................................................................... 67
გოგო-ანას სიმღერა......................................................................... 69
ორფეოსი და სირინოზები ......................................................................... 72
ორმოში ფეტვი ჩავყარე ......................................................................... 75
წითელქუდა – თოჯინების თეატრი – **ემაჯამებელი გაკვეთილი**......................................................................... 78
**გარე სამყარო მუსიკაში; თემა: ბუნებრივი მოვლენები მუსიკაში**
მოუსმინე სამყაროს გულისყურით ......................................................................... 86
ჩიჩილაკი ......................................................................... 89

რაჭული ალილო ... 91
ერთი ლამაზი სიმღერა ... 93
საშობაო-საახალწლო სიმღერები **– შემაჯამებელი გაკვეთილი** ... 96
მუსიკალური კოლაჟი – 5 ... 100
მუსიკალური კოლაჟი – 6 ... 104
მუსიკალური კოლაჟი – 7 **– შემაჯამებელი გაკვეთილი** ... 106
ABCD ... 107
წვიმის წვეთები ... 109
წყლის თამაში ... 112
პატარა ჰაიდნი ... 115
**მუსიკა და ჩვენი ყოფა; თემა: წვეულებები და დღესასწაულები სახლში და გარეთ**
აღდგომის დღესასწაული ... 117
გაზაფხულდა... ... 119
მეჯლისი – 1 ... 123
მეჯლისი – 2 ... 124
მიულოცე დაბადების დღე ... 125
**ეთნოგრაფია და მუსიკა; თემა: სხვადასხვა ხალხის დღესასწაულების მუსიკა**
მსოფლიოს ხალხთა დღესასწაულები ... 127
იმერული მგზავრული ... 130
სოფლისაკენ ჰერი, ჰერი! ... 131
„დათუნია დრუნჩა“ თოჯინების თეატრი **– შემაჯამებელი გაკვეთილი** ... 136
II კლასის შემაჯამებელი გაკვეთილების შეფასების კრიტერიუმები ... 155
ფსიქოლოგიური დასკვნა ... 157
LMMS-ის ინსტრუქცია ... 158
ელექტრონული რესურსების ნუსხა ... 162
მუსიკალური ლექსიკონი ... 166

# წინათქმა

I კლასში გავეცანით და გავიაზრეთ სამი დიდი თემა: ხმების მრავალფეროვნება, ყოფითი საგნები მუსიკაში და თამაშები მუსიკაში. ბავშვების ყურადღება გავამახვილეთ სხვადასხვა საგნის ხმა-ბგერებზე, ხმაურზე, ბგერის თვისებებზე, ტემბრზე, რიტმსა და მეტრზე. ბავშვებმა შეძლეს ამოეცნოთ და გაერჩიათ სხვადასხვა საგნის ხმა-ბგერები და აეჟღერებინათ საგნები. მათი ხმა-ბგერები გამოიყენეს მრავალფეროვან რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში, სიმღერებში, ცეკვებში, თამაშებში. კლასში შექმნეს „დასარტყამ საკრავთა ორკესტრი“. ისწავლეს მრავალი საბავშვო თუ ხალხური სიმღერა და ამ „ორკესტრის“ თანხლებით შეასრულეს ისინი. მუსიკალურად გააფორმეს ზღაპრები. პირველად შეეხნენ მუსიკალურ კომპიუტერულ პროგრამას LMMS, სადაც ააჟღერეს სხვადასხვა საგნის ხმა-ბგერები და შექმნეს პატარა მუსიკალური კომპოზიციები. წლის ბოლოს, იაკობ გოგებაშვილის „დედაენის" მიხედვით, წარმოადგინეს თამაში-სპექტაკლი „სკოლობანა“, რითაც ერთგვარად განამტკიცეს და შეაჯამეს ნასწავლი მასალა და მოემზადნენ II კლასისათვის.

II კლასის სახელმძღვანელო მოიცავს შემდეგ თემებს: ცხოველები მუსიკაში, ბუნებრივი მოვლენები, დღესასწაულები. აქაც, როგორც I კლასში, ვუსმენთ და ვაკვირდებით გარესამყაროში გაბნეულ ხმა-ბგერებს, ხმაურს, ბუნებრივსა თუ ხელოვნურს, ვუკავშირებთ ინტონაციას, მოძრაობას, ამბავს. ბავშვები უსმენენ ფრინველების, ცხოველების, ბუნებრივი მოვლენების ხმა-ბგერებს, ხმით ბაძავენ მათ, ააჟღერებენ LMMS პროგრამაში და ქმნიან პატარა მუსიკალურ კოლაჟებს. ამ ხმა-ბგერებსა და ხმაურს განასხვავებენ და უკავშირებენ ერთმანეთისგან და ინტონაციით ყვებიან პატარა ისტორიებს. სასწავლო პროგრამა გაწერილია 72 აკადემიურ საათზე.

**სამყაროს ხმები არეულია და შეგვიძლია დავალაგოთ, ნებისმიერი ხმაური ვაქციოთ სრულყოფილებად.**

**უსმინეთ სამყაროს ♡ ყურით!**



# მუსიკის სტანდარტი

**მუსიკა დაწყებით საფეხურზე**

**შესავალი**

**დაწყებით საფეხურზე** განსაკუთრებით დიდია მუსიკის, როგორც საგნის მნიშვნელობა, მაშინ, როდესაც ბავშვის თანდაყოლილი, ბუნებრივი უნარები, მიდრეკილებები ჯერ ბოლომდე არ გამოვლენილა და მათ გახსნა, წარმართვა სჭირდება. ამ ასაკში ბავშვს უჭირს მუსიკის აბსტრაქტული სახეების აღქმა და ორიენტირებისთვის მუსიკის აღსაქმელად მას ნაცნობი ხილული ანალოგიები სჭირდება. ამის განხორციელება შესაძლებელია მოსწავლისთვის ნაცნობი აქტივობებით - სიმღერა, ცეკვა, იმპროვიზაცია, თამაში, დაკვირვება და ა. შ., რომლებიც გარემოში არსებული ხილული სახეების მუსიკაში ამოცნობას ისახავს მიზნად. ეს კი, თავის მხრივ, ითვალისწინებს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების ამოქმედებას, ერთობლივ შემოქმედებით პროცესებში მათ ჩართვას.

**მიმართულებების აღწერა**

მუსიკის სწავლება ორი მიმართულებით იშლება:

1. შემოქმედებითობა და პრაქტიკა;
2. მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია.

სწავლება ორივე მიმართულების ფარგლებში მიმდინარეობს პარალელურად და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში.

**1. შემოქმედობითობა და პრაქტიკა**

ამ მიმართულების უშუალო მიზანია მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარება. მოსწავლე ეუფლება გარესამყაროში არსებული მოვლენების, სახეების მუსიკალური გამოხატვის სხვადასხვა ფორმას და გამომსახველობით ხერხს; მას უვითარდება პრაქტიკული უნარები, რაც ხელს უწყობს საკუთარი თავის აღმოჩენაში, გამოხატვასა და განვითარებაში: მღერის, უკრავს, ცდილობს შექმნას მუსიკა - მარტივი მელოდიურ-რიტმული კომპოზიციები. მხატვრული სახის, განწყობილების, ემოციის გადმოცემისას მოსწავლე იყენებს და ეუფლება ხელოვნების სხვა დარგების გამომსახველობით საშუალებებსაც - ცეკვავს, გაითამაშებს თეატრალურ ეტიუდებსა და სცენებს, ხატავს, თხზავს ტექსტს.

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეს უვითარდება მუსიკალური სმენა და მეხსიერება, რიტმის გრძნობა, რასაც ხელს უწყობს რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები. მეოთხე კლასიდან ამას ემატება იმპროვიზაციული ელემენტები, რითიც შემოქმედებით საწყისს მეტი დატვირთვა ენიჭება. მოსწავლე პრაქტიკულად ეუფლება და იყენებს მუსიკალური ენის ნასწავლ ელემენტებს - განარჩევს და სხვადასხვა ხერხით გამოხატავს ბგერას, მეტრს, ტემპს, რეგისტრს, დინამიკურ ნიუანსებს, იმეორებს და აბოლოებს თანაკლასელის ან მასწავლებლის მიერ წამოწყებულ მელოდიას და ა. შ.. მოსწავლე სწავლობს სიმღერას, ასევე სწავლობს მუსიკალურ დამწერლობას - ამოიცნობს, ჩაწერს და იყენებს ნასწავლ ნიშნებს.

შემოქმედებითი აქტივობების დროს - სიმღერა, დაკვრა, ცეკვა, პრეზენტაცია, სცენის გათამაშება - მოსწავლე წარდგება აუდიტორიის წინაშე, ეჩვევა და უყალიბდება წარდგენის, აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევა და ეჩვევა საკუთარი ემოციების, ქცევის მართვას. ეს აქტივობები შეიძლება იყოს ინდივიდუალური, როდესაც მოსწავლე პერსონალურადაა პასუხისმგებელი საკუთარ გამოსვლაზე ან ჯგუფური. ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის დროს მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით თანამშრომლობაში, რომლის დროს საკუთარი ემოცია, თვალსაზრისი, ინტერპრეტაცია საერთო ხედვას უნდა შეუთანხმოს. მოსწავლეს უვითარდება პასუხისმგებლობის გრძნობა თანაგუნდელების მიმართ, ყალიბდება კოლექტივის წევრად და არ არღვევს გუნდის (სიმღერა, ცეკვა, ფერხული, სცენის გათამაშება) მთლიანობას.

ამავე მიმართულების ფარგლებში სასურველია მოსწავლე იყენებდეს ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ისტ-ს) - აკეთებდეს აუდიო ჩანაწერს; აუდიო და ვიდეო ინფორმაციის გასაზიარებლად იყენებდეს ინფორმაციის შესანახ მოწყობილობას; აჟღერებდეს ხმას, მუსიკალურ საკრავს ელექტრონულ გარემოში; შეარჩევდეს გამომსახველობით ხერხებს და ფონს მელოდიისთვის; იყენებდეს ჩაწერილ ხმას იმპროვიზაციის პროცესში.

## 2. მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია

მუსიკა, რომელიც აღიარებულია საკომუნიკაციო ენად, მრავალგვარი და მრავალჯერადი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მოსწავლე მუსიკის შესახებ მიღებულ ინფორმაციას აკავშირებს გარემოსთან, ყოველდღიურ მოვლენებთან და საკუთარ გამოცდილებასთან, სხვა საგნობრივ დისციპლინებთან. აღიქვამს მუსიკას, როგორც სამყაროს ნაწილს, იკვლევს და აკვირდება ხმის წარმოქმნის წყაროებს; ეჩვევა ხმოვან სამყაროსთან, მუსიკასთან კომუნიკაციას - მუსიკის მოსმენას, მუსიკისა და პერფორმანსის შეფასებას, აზრის ნათლად გამოთქმას, საკუთარი შეხედულების დასაბუთებას კამათის, მსჯელობის დროს შესაფერისი ტერმინოლოგიის გამოყენებით, წიგნიერი ენით და ქცევის ნორმების დაცვით.

კამათისა და მსჯელობის დროს მოსწავლე აცნობიერებს, რომ მუსიკა ყველა დროისა და ხალხის კულტურისა და ყოფის განუყოფელი ნაწილია. ეცნობა და პარალელს ავლებს ეროვნულ და მსოფლიო ხალხთა მუსიკალურ ტრადიციებს შორის. ქართულ ხალხურ საკრავებს აკავშირებს სხვა ერების ხალხურ საკრავებთან. მოსწავლე განასხვავებს ქართულ და მსოფლიო ხალხურ, კლასიკურ და თანამედროვე მუსიკალურ ნაწარმოებებს.

*I-IV კლასების სტანდარტი*

ა) IV კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

**ინდექსების განმარტება**

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **მუს.დაწყ.(I).1.:**

**„მუს.“** - მიუთითებს მუსიკის საგანს;

**„დაწყ.“** - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„(I)“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს I-IV კლასებს;

„1“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

| მუსიკის სტანდარტი (I-IV კლასები) | |
|---|---|
| შედეგების ინდექსი | 1. მიმართულება: შემოქმედება და პრაქტიკა |
| | **სტანდარტის შედეგები**<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს: |
| მუს.დაწყ.(I).1. | გარესამყაროში ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად; |
| მუს.დაწყ.(I).2. | ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) მეშვეობით გარესამყაროს ასახვა; |
| მუს.დაწყ.(I).3. | ხმოვანი გზავნილის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა. |
| | 2. მიმართულება: მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია |
| | მოსწავლემ უნდა შეძლოს: |
| მუს.დაწყ.(I).4. | მოსმენის დროს სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა; |
| მუს.დაწყ.(I).5. | ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა; |
| მუს.დაწყ.(I).6. | ხალხური მუსიკის თავისებურებების ამოცნობა. |

## ბ) შინაარსი

**ცნებითი კატეგორიების ჩარჩო და სასწავლო თემები**

მუსიკის საგანი ხმოვანი გზავნილის შინაარსის ამოკითხვას მუსიკალურ-გამომსახველობით ელემენტებსა და გარესამყაროში არსებულ სახეებს შორის ასოციაციური კავშირების საშუალებით შეასწავლის. საგნის სწავლება შემდეგი ცნებითი კატეგორიებითა და თემებით წარიმართება:

**ცნებები და ტერმინები:**

საგნის სწავლა-სწავლების პროცესი უნდა წარიმართოს შემდეგი ცნებების დამუშავების საფუძველზე:

1. მუსიკალური ენის ძირითადი ელემენტები: რიტმი, მელოდია;
2. მუსიკალური ენის არაძირითადი ელემენტები: ტემპი, რეგისტრი, ტემბრი, ფაქტურა;
3. მეტრი: ორწილადი, სამწილადი, ოთხწილადი;
4. ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმები;
5. ბგერის თვისებები: სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, ტემბრი;
6. მელოდიის შემადგენელი ნაწილები: ინტონაცია, მოტივი;
7. საკომპოზიციო ხერხები: რიტმული და მელოდიური ოსტინატო, რიტმული და მელოდიური მონაცვლეობა, კონტრაპუნქტი, მუსიკალური კოლაჟი:

8. მუსიკალური დამწერლობა:
ტრადიციული: ხუთხაზიანი სანოტო სისტემა;
არატრადიციული: შტრიხები, ხაზები, პიქტოგრამები;
9. ხალხური მუსიკის სხვადასხვა ჟანრი: საცეკვაო, სარიტუალო სიმღერები.

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ცნებების დამუშავება უნდა მიმდინარეობდეს თვალსაჩინო მაგალითების საფუძველზე. მოსწავლე კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გაიაზრებს მათ მნიშვნელობას და გამოიყენებს შესაბამისად. ამ ეტაპზე სასურველია ცნებებისა და მათი განმარტებების თეორიული სწავლება მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.

**სავალდებულო თემები I-IV კლასებისთვის:**

**გარესამყარო მუსიკაში**
1. ხმების მრავალფეროვნება (I კლასი);
2. ცხოველები მუსიკაში (II კლასი);
3. ბუნებრივი მოვლენები მუსიკაში (II კლასი);
4. ქალაქის/სოფლის ხმები (III კლასი);
5. მუსიკალური გასეირნება ქალაქში/სოფელში (III კლასი);
6. მუსიკა და ტელევიზია (IV კლასი).

**მუსიკა და ჩვენი ყოფა**
1. ყოფითი საგნები მუსიკაში (I კლასი);
2. თამაშები მუსიკაში (I კლასი);
3. წვეულებები და დღესასწაულები სახლში და გარეთ (II კლასი);
4. ჩემი ცხოვრების ერთი დღე (III კლასი);
5. მუსიკა და თავისუფალი დრო (IV კლასი).

**ეთნოგრაფია და მუსიკა**
1. გარესამყაროს ხმები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მუსიკაში (I კლასი);
2. სხვადასხვა ხალხის დღესასწაულების მუსიკა (II კლასი);
3. სხვადასხვა ხალხის გართობის ფორმები და მუსიკა (III კლასი);
4. სხვადასხვა ხალხის რიტუალები და მუსიკა (IV კლასი).

**მუსიკა და კინო**
1. მუსიკის როლი ანიმაციაში და საყმაწვილო კინოში (IV კლასი).

## თემები კლასების მიხედვით

### II კლასი

| თემა | სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები: *გრაფაში მოცემული კონკრეტული შეკითხვის პროვოცირება (ანუ მათ მიმართ მოსწავლის ინტერესის გაღვივება და დაფიქრება) მუსიკის საგნის ორი ან მეტი გაკვეთილის მიზანს წარმოადგენს.* | ცნებები |
|---|---|---|
| გარესამყარო მუსიკაში | | |
| **ცხოველები მუსიკაში** | რა ხერხებით შეუძლია მუსიკას ცხოველის გარეგნობა, ხმა ან ქცევა აღწეროს? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;**<br><br>როგორ ახასიათებენ სხვადასხვა ცხოველს სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მუსიკაში? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;**<br><br>როგორ გამოვიყენოთ მოტივი, რიტმი, ტემპი, ცხოველის გარეგნობის, ხმის ან ქცევის მუსიკალური აღწერის დროს? **მუს.დაწყ.(I).1, 2;**<br><br>რა სიმბოლოებით შეიძლება ცხოველის ხმის ან მოძრაობის ამსახველი ინტონაციის ან მოტივის აღნიშვნა? **მუს.დაწყ.(I).3.;** | მოტივი, ინტონაცია, მელოდია, რიტმული ფიგურაცია, ტემპი, რეგისტრი |
| **ბუნებრივი მოვლენები მუსიკაში** | როგორ გადმოიცემა სხვადასხვა მუსიკალური ინტონაციით, რიტმითა და ტემპით ბუნების მოვლენები? **მუს.დაწყ.(I).4. 5, 6;**<br><br>როგორ გამოვიყენოთ მუსიკალური ინტონაციები, რიტმი და ტემპი ბუნების მოვლენების გადმოსაცემად? **მუს.დაწყ.(I).1, 2;**<br><br>როგორ ჩავწეროთ ბუნების ამსახველი ინტონაციები და რიტმი? **მუს.დაწყ.(I).3.** | გამომსახველობითი ინტონაციები, ტემპი, რიტმი. |
| მუსიკა და ჩვენი ყოფა | | |
| **წვეულებები და დღესასწაულები სახლში და გარეთ** | როგორ იქმნება სადღესასწაულო განწყობა მელოდიის, რიტმისა და ტემპის მეშვეობით? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;**<br><br>როგორ გადმოიცემა მუსიკალურ ინტონაციაში მეტყველების მანერა, ქცევის სტილი, ჟესტი, რომელიც წვეულების, დღესასწაულის დროს წარმოქმნილ ემოციებს გამოხატავს? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;**<br><br>რა საერთო მუსიკალური ინტონაციებია სხვადასხვა ქვეყნის სადღესასწაულო ხალხურ სიმღერებში ან ცეკვებში? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;**<br><br>როგორ შევარჩიოთ მელოდიის ინტონაციები, რიტმი და ტემპი, რომლებიც გარკვეულ სადღესასწაულო განწყობას შეგვიქმნის? **მუს.დაწყ.(I).1, 2;**<br><br>რა სიმბოლოებით შეიძლება აღვნიშნოთ ინტონაცია მეტყველების დროს? **მუს.დაწყ.(I).3;**<br><br>რა სიმბოლოებით შეიძლება აღვნიშნოთ მელოდიის მოძრაობა? **მუს.დაწყ.(I).3.** | რიტმი, ტემპი, მუსიკალური ინტონაცია; ინტონაცია, როგორც წარმოთქმის მანერა; მელოდია; აკომპანემენტი. |
| ეთნოგრაფია და მუსიკა | | |
| **სხვადასხვა ხალხის დღესასწაულების მუსიკა** | რა როლი ენიჭება მუსიკას სხვადასხვა ხალხის დღესასწაულებში? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;**<br><br>როგორ გადმოიცემა ხალხურ მუსიკაში სხვადასხვა დღესასწაულის განწყობა? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6.** | კალანდობა,<br><br>მოსავლის აღების სიმღერები |

# მუსიკის წლიური პროგრამა

II კლასი

*გარესამყარო მუსიკაში*

**თემა: ცხოველები მუსიკაში**

| 1. სტანდარტის შედეგები (მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია) | სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და ძირითადი ცნებები |
|---|---|
| **მუს.დაწყ.(I).4.** მოსწავლემ უნდა შეძლოს მოსმენისდროს სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა;<br><br>**მუს.დაწყ.(I).5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა;<br><br>**მუს.დაწყ.(I).6.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხალხური მუსიკის თავისებურებების ამოცნობა. | **შეკითხვები:**<br>რა ხერხებით შეუძლია მუსიკას ცხოველის გარეგნობა, ხმა ან ქცევა აღწეროს?<br><br>როგორ ახასიათებენ სხვადასხვა ცხოველს სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მუსიკაში?<br><br>**ცნებები:**<br>მოტივი, ინტონაცია, მელოდია, რიტმული ფიგურაცია, ტემპი, რეგისტრი. |
| **რეკომენდაციები** | |
| *საკლასო აქტივობების მაგალითები:*<br>• აქტივობა მიმართულია მუსიკაში გარკვეული ინტონაციისა და მელოდიის გააზრებასა და ამოცნობაზე. **I ეტაპი.** მასწავლებელი სთავაზობს კლასს კატების სამ დუეტს, რომელიც სამი განსხვავებული ეპოქის კომპოზიტორის მიერ არის დაწერილი: როსინის, ჩაიკოვსკისა და რაველის. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით მოუსმინონ ნაწარმოებებს და გამოთქვან აზრი, ამ სამიდან ყველაზე მეტად რომელი ჰგავს ნამდვილი კატების კნავილს და რომელი მოგვაგონებს მას მხოლოდ ცალკეული ინტონაციებით. მოსწავლეებმა უნდა დაასაბუთონ თავიანთი ვარაუდები (ყველაზე ნაკლებად ნამდვილი კატების კნავილს ჩაიკოვსკის ნაწარმოები ჰგავს, რადგან იგი ორკესტრისთვის არის დაწერილი, ხოლო დანარჩენი ორი - ადამიანის ხმისთვის. ადამიანის ხმა უკეთესად ბაძავს კატის ხმას. მაგრამ როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ჩაიკოვსკის მუსიკა კატებს წარმოგვიჩენს? ორკესტრში ისმის კატების კნავილის ინტონაცია). მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, კიდევ ერთხელ მოუსმინონ ჩაიკოვსკის მუსიკას და მიუთითონ კატის კნავილის ინტონაცია, როდესაც ის ორკესტრში გაიჟღერებს. **II ეტაპი.** მასწავლებელი სთხოვს კლასს, დაასახელოს დანარჩენ ორ დუეტს შორის რომელი უფრო ბუნებრივად წარმოაჩენს კატების კნავილს (რაველის თუ როსინის?). არჩევანი რაველის ნაწარმოებზე კეთდება. (ამ ტიპის აქტივობისთვის შესაძლებელია სხვა ნაწარმოებების გამოყენებაც: მაგ. რესპიგის საორკესტრო ტრანსკრიპცია „ფრინველები“, პროკოფიევის „ჩიტი“ სიმფონიური ზღაპრიდან „პეტია და მგელი“ და დაკენის „გუგული“).<br>• მასწავლებელი ასმენინებს კლასს მუსიკალურ ნაწარმოებს და სთხოვს მოსწავლეებს, თავად გამოიცნონ მუსიკაში გადმოცემული რაიმე ცხოველისთვის დამახასიათებელი ინტონაცია.<br>• მასწავლებელი ამღერებს მოსწავლეებს რომელიმე ცხოველის ან ფრინველის ხმაზე აგებულ მოტივს (ინტონაციას), შემდეგ მღერის მელოდიას და ანიშნებს მოსწავლეებს, რა დროს წაიმღერონ ეს მოტივი. ერთობლივი მღერის შედეგად გამოდის სრული მუსიკალური კომპოზიცია. | |
| **2. სტანდარტის შედეგები (შემოქმედობითობა და პრაქტიკა)** | **სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და ძირითადი ცნებები** |
| **მუს.დაწყ.(I).1.** მოსწავლემ უნდა შეძლოს გარესამყაროში ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;<br>**მუს.დაწყ.(I).2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) მეშვეობით გარესამყაროს ასახვა;<br><br>**მუს.დაწყ.(I).3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმოვანი გზავნილის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა. | **შეკითხვები:**<br>როგორ გამოვიყენოთ მოტივი, რიტმი, ტემპი ცხოველის გარეგნობის, ხმის ან ქცევის მუსიკალური აღწერის დროს?<br><br>რა სიმბოლოებით შეიძლება ცხოველის ხმის ან მოძრაობის ამსახველი ინტონაციის ან მოტივის აღნიშვნა?<br><br>**ცნებები:**<br>მოტივი, აღმავალი და დაღმავალი ინტონაცია, რიტმული ფიგურაცია, ტემპი. |

| რეკომენდაციები |
|---|
| *საკლასო აქტივობების მაგალითები:*<br>• მასწავლებელი სთხოვს სხვადასხვა მოსწავლეს, ხმით რაიმე ცხოველს მიბაძონ და მიაქციონ ყურადღება, თუ როგორი ინტონაცია გამოიყენეს მათ მიბაძვისას. შემდეგ იგი სთხოვს მოსწავლეებს, კომპიუტერზე ჩაწერონ თავიანთი ხმის მოძრაობა და გააჟღერონ ის, რაც ჩაწერეს.<br>• მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, რაიმე ცხოველის მიმბაძველი ინტონაციები ჩაწერონ კომპიუტერულ პროგრამაში, შემდეგ დაუმატონ რაიმე მოკლე მოტივი („გააგრძელონ“ მუსიკალური აზრი) და კლასს წარუდგინონ ნამუშევარი. |

თემა: ბუნებრივი მოვლენები მუსიკაში

| 1. სტანდარტის შედეგები (მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია) | სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და ძირითადი ცნებები |
|---|---|
| **მუს.დაწყ.(I).4.** მოსწავლემ უნდა შეძლოს მოსმენის დროს სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა;<br>**მუს.დაწყ.(I).5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა;<br>**მუს.დაწყ.(I).6.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხალხური მუსიკის თავისებურებების ამოცნობა. | **შეკითხვები:**<br>როგორ გადმოიცემა სხვადასხვა მუსიკალური ინტონაციით, რიტმითა და ტემპით ბუნების მოვლენები?<br>**ცნებები:**<br>გამომსახველობითი ინტონაციები. |
| რეკომენდაციები | |
| *საკლასო აქტივობების მაგალითები:*<br>• მასწავლებელი ასმენინებს კლასს ქარის ღმუილს და სთხოვს ხმით მიბაძონ ქარის ღმუილს. მასწავლებელი ამახვილებს მოსწავლის ყურადღებას ხმის მოძრაობაზე შემდგომში ასმენინებს მუსორგსკის სიმფონიურ სურათის „ღამე მელოტ მთაზე“ ნაწყვეტს და სთხოვს მოსწავლეებს ამოიცნონ ქარის ღმუილის ინტონაციები.<br>• მასწავლებელი ასმენინებს კლასს რამდენიმე ნაწარმოებს და სთხოვს მათ, ამ ნაწარმოებებში ამოიცნონ ბუნების რაიმე მოვლენის ინტონაციები და მოსაზრებები წარუდგინონ კლასს. | |
| **2. სტანდარტის შედეგები (შემოქმედობითობა და პრაქტიკა)** | **სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და ძირითადი ცნებები** |
| **მუს.დაწყ.(I).1.** მოსწავლემ უნდა შეძლოს გარესამყაროში ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;<br>**მუს.დაწყ.(I).2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) მეშვეობით გარესამყაროს ასახვა;<br>**მუს.დაწყ.(I).3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმოვანი გზავნილის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა. | **შეკითხვები:**<br>როგორ გამოვიყენოთ მუსიკალური ინტონაციები, რიტმი და ტემპი ბუნების მოვლენების გადმოსაცემად?<br>როგორ ჩავწეროთ ბუნების ამსახველი ინტონაციები და რიტმი?<br>**ცნებები:**<br>გამომსახველობითი ინტონაციები, ტემპი რიტმი. |
| რეკომენდაციები | |

| |
|---|
| *საკლასო აქტივობების მაგალითები:*<br>• მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ხმით მიბაძონ ბუნების რაიმე მოვლენას, ჩაწერონ ეს ინტონაციები კომპიუტერული პროგრამის დახმარებით გარკვეული სიმბოლოებით და გააჟღერონ თავისი ჩანაწერი კლასში.<br>• მოსწავლეები კომპიუტერული პროგრამის დახმარებით სიმბოლოებით ჩაწერენ ბუნების მოვლენის ინტონაციებს, დაადებენ ჩანაწერს რაიმე ხმის ეფექტს და ასმენინებენ კლასს ბუნების ამა თუ იმ მოვლენის გამოსაცნობად. |

*მუსიკა და ჩვენი ყოფა*

თემა: წვეულებები და დღესასწაულები სახლში და გარეთ

| 1. სტანდარტის შედეგები (მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია) | სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და ძირითადი ცნებები |
|---|---|
| **მუს.დაწყ.(I).4.** მოსწავლემ უნდა შეძლოს მოსმენის დროს სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა;<br><br>**მუს.დაწყ.(I).5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა;<br><br>**მუს.დაწყ.(I).6.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხალხური მუსიკის თავისებურებების ამოცნობა. | **შეკითხვები:**<br>როგორ იქმნება სადღესასწაულო განწყობა მელოდიის, რიტმისა და ტემპის მეშვეობით?<br>როგორ გადმოიცემა მუსიკალურ ინტონაციაში მეტყველების მანერა, ქცევის სტილი, ჟესტი, რომელიც წვეულების, დღესასწაულის დროს წარმოქმნილ ემოციებს გამოხატავს?<br>რა საერთო მუსიკალური ინტონაციებია სხვადასხვა ქვეყნის სადღესასწაულო ხალხურ სიმღერებში ან ცეკვებში?<br>**ცნებები:**<br>რიტმი, ტემპი, მუსიკალური ინტონაცია; ინტონაცია, როგორც წარმოთქმის მანერა; მელოდია; აკომპანემენტი. |
| რეკომენდაციები | |
| *საკლასო აქტივობების მაგალითები:*<br>• გონებრივი იერიში - მასწავლებელი კლასთან საუბრობს სხვადასხვა რიტუალზე, რომელიც არსებობს ჩვენს ცხოვრებაში: მისალმება, გაცნობა, მიწვევა, სუფრა, სხვადასხვა ცერემონია (იუბილე, დაჯილდოება, აღლუმი და ა.შ). შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს სხვადასხვა ცეკვის ვიდეოჩანაწერს და სთხოვს მოსწავლეებს, რომელიმე ცეკვა მიამსგავსონ გარკვეულ რიტუალს. კლასში იმართება დისკუსია, თუ რა ნიშნით დაუკავშირეს ესა თუ ის ცეკვა რომელიმე რიტუალს (მაგ., რაიმე მოძრაობის, რიტმის, მუსიკის ხასიათის მიხედვით).<br>• მასწავლებელი საუბრობს წვეულების მსვლელობის წესზე (სტუმრების მიღება, სუფრასთან მიპატიჟება და ა.შ.), შემდეგ მოსწავლეებთან ერთად იგი არჩევს, თუ რომელი საცეკვაო მუსიკა ესადაგება წვეულების თითოეულ ეტაპს.<br>• მოსწავლემ დაბადების დღისთვის უნდა შეარჩიოს სხვადასხვა ხასიათის საცეკვაო მუსიკა, რომელიც წარმოაჩენს ამ რიტუალის ყოველ ეტაპს (სტუმრის დახვედრა, მილოცვა, საჩუქრების გადაცემა, სადღესასწაულო ტორტის გამოტანა, ა.შ.). | |

| 2. სტანდარტის შედეგები (შემოქმედობითობა და პრაქტიკა) | სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და ძირითადი ცნებები |
|---|---|
| **მუს.დაწყ.(I).1.** მოსწავლემ უნდა შეძლოს გარესამყაროში ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;<br>**მუს.დაწყ.(I).2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) მეშვეობით გარესამყაროს ასახვა;<br>**მუს.დაწყ.(I).3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმოვანი გზავნილის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა. | **შეკითხვები:**<br>როგორ შევარჩიოთ მელოდიის ინტონაციები, რიტმი და ტემპი, რომლებიც გარკვეულ სადღესასწაულო განწყობას შეგვიქმნის?<br>რა სიმბოლოებით შეიძლება აღვნიშნოთ ინტონაცია მეტყველების დროს?<br>რა სიმბოლოებით შეიძლება აღვნიშნოთ მელოდიის მოძრაობა?<br>**ცნებები:**<br>რიტმი, ტემპი, აკომპანემენტი, მუსიკალური ინტონაცია, ინტონაცია მეტყველების დროს, მელოდია. |
| **რეკომენდაციები** | |
| *საკლასო აქტივობების მაგალითები:*<br>• მოსწავლეები ქმნიან კოლაჟს სხვადასხვა საცეკვაო მუსიკისგან, რომელიც წარმოაჩენს რაიმე დღესასწაულის (მაგ. საოჯახო, სამოქალაქო დღესასწაულის, ახალი წლის) მსვლელობას;<br>• მასწავლებელი აჩვენებს სურათებს, სადაც სხვადასხვა ადამიანი ერთმანეთს ესალმება (მაგ., ორი მამაკაცი ხელის ჩამორთმევა; ორი გოგონას მისალმება და ა.შ.) და სთხოვს მოსწავლეებს, შეარჩიონ სამი სხვადასხვა სურათი და მიუსადაგონ გარკვეული ხასიათის საცეკვაო მუსიკა.<br>• მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეარჩიონ გარკვეული ხასიათის საცეკვაო მუსიკა მუსიკალური მილოცვის შესადგენად (მაგ.: დაჯილდოების ცერემონიალისთვის ან სასკოლო მეჯლისისთვის). | |

# სტრატეგია და ზოგადი მეთოდური რეკომენდაციები

**სახელმძღვანელოს სერიაში მოცემული თემატურ ჯგუფებში გამოყენებული აქტივობების მეთოდური რეკომენდაციები:**

სახელმძღვანელო ემყარება **ინტეგრირებული** სწავლების მეთოდს. ინტეგრირება ხდება ქართული ენის, ხელოვნების, გამოყენებითი ხელოვნების, ისტორიის, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნებთან.

მოსწავლეებისათვის **სანოტო დამწერლობის** სწავლა თამაშით მიმდინარეობს, მაგალითად, პირველ ეტაპზე მოსწავლეები სწავლობენ ნოტების დახატვას, ხოლო მომდევნო კლასებში-ნოტების სანოტო სისტემაზე ჩაწერას. **ასაკობრივი თავისებურებები** ყველა კლასშია გათვალისწინებული. მაგალითად, მოსწავლეები კომპოზიტორებს ეცნობიან თავისი ასაკიდან გამომდინარე, ჰაიდნი, მოცარტი და ბეთჰოვენი მათივე თანატოლი ხდება, ახალი მასალის გაცნობის ამგვარი ხერხი მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს. სახელმძღვანელოს გმირებს ფუნქციები აქვთ განაწილებული: პატარა დირიჟორი საქართველოში მოგზაურობს და სიმღერებს ასწავლის ბავშვებს, პითაგორა ბიჭუნა კი – ნოტებს. **მუსიკის შემეცნებითი ფუნქციის** გაზრდის მიზნით სახელმძღვანელოში შემოდიან მითიური გმირები: მუზები, აპოლონი კითარით, ორფეოსი ქნარით, სირინოზები. ზღაპრები,მითები და ლეგენდები ყველა კლასში გვხვდება. სახელმძღვანელოს გმირებს საკუთარი ლაითმოტივებიც აქვთ, მაგალითად, ია გოგოს – მყარი და მერყევი ბგერების ინტონაცია აი იას ბგერებზე, პატარა დირიჟორს-ვ. მოცარტის „ღამის პატარა სერენადის" ინტონაცია. სახელმძღვანელოში გამოყენებული რუბრიკა – „მუსიკის ისტორიიდან" მასწავლებლის ინფორმირებას უწყობს ხელს.

სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მოსწავლეთა **წარმოსახვითი და ასოციაციური** უნარების განვითარებას, რაც დასაწყისში მცირე დოზით შემოდის, მომდევნო ეტაპზე კი ღრმავდება, მაგალითად, მოსწავლეები მზის სისტემის სხვადასხვა პლანეტის ბუნებრივ ხმოვანებას ისმენენ და ბგერების ხმოვანებას, მათ გრაფიკულ გამოსახულებებს მიუსადაგებენ. სახელმძღვანელოში მრავლადაა ნახატების, ცხოველთა მოძრაობების მისადაგება მუსიკასთან, მოტივთან, თამაშების გახმოვანება ხმით, ხმაბაძვითი ბგერებით.მოსწავლის შემოქმედებითი უნარები ჯამდება ყველა კლასში მოცემულ სპექტაკლებში.

**ახალი ტექნოლოგიების გამოყენება** და მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამაში სხვადასხვა აქტივობის შესრულება საკუთარი ხედვის, **ინტერპრეტირების** უნარის განვითარებას უწყობს ხელს. მოსწავლეები სხვადასხვა სახის დავალებას ასრულებენ: ნასწავლი სიმღერებიდან ცალკეული ფრაზების ამოჭრა, ფრაზებად გაერთიანება, სიმღერის აწყობა, ასევე, მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამაში ჩატვირთული ხმების (ყოფითი საგნების, ცხოველების,სოფლისა და ქალაქის), ბგერების, მუსიკალური ფრაგმენტების გამოყენებით მუსიკალური კოლაჟების შექმნა.

სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა **სიმღერების შესწავლას და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულებას**. მაგალითად, „მუსიკალური კიბე" იმღერება სამხმოვანების ბგერებზე ცხოველთა აღმნიშვნელი სიტყვების, შემდეგ ეტაპზე კი – მარცვლების გამოყენებით, რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო „აი ჩემი საქართველო" გამის ტეტრაქორდების გამღერებაზეა აგებული.

სახელმძღვანელოში მოცემული სიმღერების დიდი ნაწილი ავტორს ეკუთვნის. გაკვეთილებში მოცემულ აქტივობებს თან ერთვის მეთოდური მითითებებიც,რაც კონკრეტული აქტივობის შესრულების რეკომენდაციას იძლევა.

## შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები:

საგნის სწავლების პროცესში მოსწავლე შემდეგი აქტივობებით ფასდება:

- საკლასო აქტივობებში ჩართულობა;
- ინფორმაციის მიწოდება (მომდევნო კლასებში – მოძიება) გარესამყაროს შესახებ და პრეზენტაციის მომზადება;
- შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა: მუსიკალური კომპოზიციის, მუსიკალური ლოგოტიპის შექმნა;
- იმპროვიზაციული სავარჯიშოების შესრულება: მოტივის და ცალკეული ინტონაციის სხვადასხვა ვარიანტების შექმნა და მათი სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება;
- მოთხრობის, ფოტოების, ანიმაციური/მხატვრული ფილმის (მომდევნო კლასებში ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის), ყოფითი შემთხვევების განხილვა და მათი მუსიკალური ანალოგიების შექმნა;
- დისკუსია (დებატი);

**მოსმენილი კომპოზიციის, ნაწარმოების განხილვა და საკლასო მსჯელობაში-დისკუსიაში მონაწილეობა.**

| შეფასების კრიტერიუმები | | | | |
|---|---|---|---|---|
| მოსმენილი კომპოზიციის, ნაწარმოების შინაარსისა და განწყობის აღწერა | ამბის, მოთხრობის გამოგონება (პროფესიული მუსიკის შემთხვევაში ავტორისეულ ჩანაფიქრთან დაკავშირება) | აქტიური მონაწილეობა | საკუთარი აზრის დასაბუთება | სხვისი აზრის პატივისცემა |

## სიმღერის შესრულება

| შეფასების კრიტერიუმები: | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სანოტო და სიტყვიერი ტექსტის შესრულება | | ინტონირების სიზუსტე | | გამომსახველად სიმღერა (ცდილობს გადმოსცეს ნაწარმოების მხატვრული შინაარსი, ითვალისწინებს დინამიკურ ნიშნებს),<br>საკუთარი ინტერპრეტაციით შესრულება( იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს) | |
| უჭირს სიტყვიერი ან სანოტო ტექსტის დამახსოვრება | სანოტო და სიტყვიერ ტექსტს იოლად იმახსოვრებს | ინტონირებისას უშვებს შეცდომებს | იცავს ინტონირების სიზუსტეს | მღერის ერთფეროვნად | ცდილობს შეასრულოს გამომსახველად, საკუთარი ხედვით |

## რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება

| შეფასების კრიტერიუმები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბგერათრიგის, ინტერვალების, მოტივების სიმღერა | | ინტონირების სიზუსტე, რიტმული ნახაზის სიზუსტე | | იმპროვიზირების უნარი | |
| უჭირს სიმღერა | სწორად მღერის (ნაწილობრივ, სრულად) | უჭირს ინტონირების, რიტმული ნახაზის სიზუსტის დაცვა | იცავს ინტონირების, რიტმული ნახაზის შესრულების სიზუსტეს (ნაწილობრივ, სრულად) | ვერ ავლენს იმპროვიზირების უნარს | ნაწილორივ ან კარგად ავლენს იმპროვიზირების უნარს |

## რიტმული ნახაზის შესრულება

| შეფასების კრიტერიუმები: | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რიტმული ნახაზის სიზუსტე | | სინქრონულობის დაცვა წყვილში, ჯგუფში შესრულებისას | | რიტმული იმპროვიზირების უნარი | |
| ნაწილობრივ იცავს | ზუსტად იცავს | უჭირს სინქრონული შესრულება | არ არღვევს სინქრონულობას | ვერ ავლენს იმპროვიზირების უნარს | ნაწილობრივ ან კარგად ავლენს იმპროვიზირების უნარს |

## სხვადასხვა სახის პრაქტიკული სამუშაო

| შეფასების კრიტერიუმები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორგანიზებულობა | | ტექნიკის ( ხმის, სხეულის მოძრაობის, მიმიკის და ა. შ.) და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების (რიტმის, მეტრის, მელოდიის, რეგისტრის და ა. შ.) ფლობა, პრაქტიკული გამოყენების უნარი | | შემოქმედებითობა: ტექნიკის, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, წარმოსახვითი და ასოციაციური უნარების, იმპროვიზირების ეფექტური გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად | |
| ნაკლებად არის ჩართული პრაქტიკული სამუშაოს შესრულებაში | აქტიური და ორგანიზებულია პრაქტიკული სამუშაოს შესრულებაში | ნაწილობრივ ავლენს პრაქტიკულ უნარებს | კარგად ავლენს პრაქტიკულ უნარებს | ნაწილობრივ ავლენს შემოქმედებით უნარებს | კარგად ავლენს შემოქმედებით უნარებს |

**მითითება: შემაჯამებელი გაკვეთილების შეფასების კრიტერიუმები იხილეთ დანართში.**

# გარე სამყარო მუსიკაში

### თემა: ფრინველები მუსიკაში

**მიზანი:** ცხოველის/ფრინველის გარეგნობის, ხმისა და მოძრაობის ასახვა ხმით, მოტივით. ხმისა და მოტივის ჩაწერა, მუსიკალური კოლაჟის შექმნა, სიმღერების შესწავლა და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება.

**მისაღწევი შედეგები:** მუს.დაწყ.(I)1,2; მუს.დაწყ.(I)4,5,6; მუს.დაწყ.(I)3

## შინაური ფრინველების ხმები

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.

**ფრინველების ხმა**

**აქტივობა 1.** რიტმული მოთელვის შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს დაურიგებს ფურცლებს, რომლებზედაც გამოსახულია შინაური ფრინველები: მამალი, ქათამი, ბატი, იხვი, წიწილა, ინდაური. აუდიოჩანაწერით ასმენინებს მათ ხმებს და სთხოვს ამოიცნონ ეს ფრინველები. შემდგომ სთხოვს, ხმით გამოხატონ ეს ინტონაციები. ბავშვები შეძლებისდაგვარად ასრულებენ დავალებას. ისინი ამოიცნობენ ფრინველების ხმებს და უსადაგებენ ნახატებს. მასწავლებელი ეკითხება მათ: როგორია ეს ხმები – მხიარული თუ სევდიანი? რომელი ჟღერს მაღალ რეგისტრში, რომელი – დაბალში? დაალაგეთ ფრინველთა ხმები ჟღერადობის მიხედვით: დაბალი რეგისტრიდან მაღალ რეგისტრამდე. ბავშვები ერთხელ კიდევ უსმენენ ფრინველთა ხმებს და სხვადასხვანაირი გრაფიკული ხაზით გამოხატავენ მათ ინტონაციებს.



**მიჰყევი ფრინველთა ხმას და გამოხატე მათი ინტონაცია ხაზით ან ნახატი-პიქტოგრამით.**




ეს არის **ნიმუში**, როგორ შეიძლება ფრინველთა ხმა-ბგერების ჩაწერის არატრადიციული მეთოდით. ბავშვებმა შეიძლება სულ სხვანაირად გამოხატონ ეს ხმები. დასაწყისისათვის მასწავლებელს შეუძლია აჩვენოს ბავშვებს ეს ნიმუშები.

**რეგისტრი** ლათინური სიტყვაა – „registrum“ – და სიას ნიშნავს.

მუსიკაში აღნიშნავს განსაკუთრებულ ბგერათა რიგს, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან ხმოვანების სიმაღლითა და ტემბრით. ყველა საკრავისა და ადამიანის ხმას გარკვეული რეგისტრი შეესაბამება: დაბალი, საშუალო და მაღალი.

მოუსმინე ფრინველების ხმებს, ამოიცანი და დაალაგე რეგისტრების მიხედვით. რომელ რეგისტრს მიესადაგება თითოეული ხმა: დაბალს, საშუალოს თუ მაღალს?

| დაბალი | საშუალო | მაღალი |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

## მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS



**აქტივობა 1:** ამ აქტივობაში მოცემულია ფრინველთა ხმები, ბავშვებმა უნდა მოუსმინონ და გამოიცნონ მათი ინტონაციები. გაკვეთილის ბოლოს ბავშვები გაიხსენებენ I კლასში ნასწავლ LMMS პროგრამას, გახსნიან მას და ააჟღერებენ ფრინველთა ხმებს: წიწილა, ქათამი, მამალი, იხვი, ბატი, ინდაური.

## აქტივობა – რიტმული მოთელვა

**მეთოდური მითითება:** თითქმის ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით, რომელიც რიტმულ სავარჯიშოებზეა დაფუძნებული. ეს აქტივობა განაწყობს ბავშვებს მუსიკის გაკვეთილისათვის. მაგ.: მასწავლებელი შედის კლასში, იწყებს ტაშის დაკვრას. ტაშით გამოხატავს მარტივ რიტმულ სავარჯიშოს, ბავშვებს სთხოვს აჰყვნენ. თანდათანობით მასწავლებელი ცვლის რიტმულ სურათს და ისინიც ბაძავენ მას. აგრეთვე, ცვლის რიტმული სურათის ტემპს, ხან ანელებს ქმედებას, ხან აჩქარებს. შემდგომ გაკვეთილებზე მასწავლებელს შეუძლია ეს აქტივობა მუსიკის თანხლებითაც შეასრულოს, იქიდან გამომდინარე, ამა თუ იმ გაკვეთილზე რა მუსიკალურ ნაწარმოებს ასმენინებს.

### რიტმული სავარჯიშო 2/4 ზომაში

მასწავლებელი 1-20 გაკვეთილისთვის რიტმულ მოთელვას ასრულებს 2/4 ზომაში



# გარეული ფრინველების ხმები

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგალითად: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო**. ამ პატარა მოტივების გამღერებით ბავშვები შეასრულებენ რიტმულ მოთელვას.

**უცნობი ფრინველების ხმები:**

**აქტივობა:** მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს გარეული ფრინველების – ფარშევანგის, ბუს, მტრედის, გუგულის, ბელურის, ყვავის, შაშვის ხმებს. შესაძლებელია, ბავშვებმა უკვე იციან ზოგიერთი ფრინველის ხმა. ისინი უსმენენ ხმებს, ამოიცნობენ მათ და მასწავლებლის დახმარებით უსადაგებენ ფოტოებს (იხ. გვ. 154) მასწავლებელი ეკითხება: როგორია ეს ხმები? კეთილხმოვანი თუ საშიში? რომელი ხმა ჟღერს უფრო დიდხანს ან მოკლედ? რომელი ხმა ჟღერს მაღალ რეგისტრში ან დაბალში? შესაძლებელია, ამ ინტონაციებით გამოვიცნოთ, რომელი ფრინველია უფრო დიდი ან პატარა? მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ერთხელ კიდევ მოუსმინონ ფრინველთა ხმებს, მიბაძონ ხმით და გრაფიკული ხაზით გამოხატონ ეს ინტონაციები.






## მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS

**აქტივობა 2:** ამ აქტივობაში მოცემულია ფრინველთა ხმები, ბავშვებმა უნდა მოუსმინონ და გამოიცნონ მათი ინტონაციები. გაკვეთილის ბოლოს ბავშვები გაიხსენებენ I კლასში ნასწავლ LMMS პროგრამას, გახსნიან მას და ააჟღერებენ ფრინველთა ხმებს: ფარშევანგი, ბუ, მტრედი, გუგული, ბელურა, ყვავი, შაშვი.

**მუსიკალური განტვირთვა:** მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს ორ ნაწარმოებს: **ი. ჰაიდნი. სიმფონია №83, „ქათამი"; ჯ. რამო. „ქათამი".** მოუსმინე მუსიკას და ამოიცანი, რომელი ნაწარმოები უფრო ნათლად გამოხატავს ქათმის მოძრაობასა და ინტონაციებს.

გაკვეთილის ბოლოს, ბავშვები უყურებენ **ვიდეოს** მგალობელ ჩიტზე – Hwamei Chinês

# დო, რე, მი, ფა, სოლ...

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო**. ამ პატარა მოტივების გამღერებით ასრულებენ რიტმულ მოთელვას.

მასწავლებელი შეახსენებს და გაამღერებინებს ნაცნობ ინტონაციურ სავარჯიშოებს, „მხიარული ნოტებიდან“ – „აი ია, აი მდელო, აი, ჩემი საქართველო“-მდე; ია გოგოსა და პატარა დირიჟორის ლაიტთემებს. ამოწმებს და აფასებს მათს ცოდნასა და მეხსიერებას:

– რა არის პიანო?

– რა არის ფორტე?

**ახალი ინტონაციური სავარჯიშო:**

– ბავშვებო, კიდევ ერთხელ გავიმღეროთ მხიარული ნოტები, შევჩერდეთ სოლ-ზე, ტაში შემოვკრათ, ისევ უკან დავბრუნდეთ და დო-ზეც იგივე გავაკეთოთ. **ბავშვებმა ეს სავარჯიშო ნოტების დასახელებით, ზეპირად, სმენით უნდა დაიმახსოვრონ.**










ამ ახალ სავარჯიშოს ბავშვები რამდენიმეჯერ გაიმღერებენ თავიანთი „დასარტყამი საკრავებით“: ტაში, პლასტმასის ჭიქები, პენალი ჟღარუნა. გამღერებისას ასახელებენ ნოტებს და გამოყოფენ ძლიერ და სუსტ დროს. მასწავლებელი შეახსენებს „ორკესტრის“ საკრავებს: მაკრატელი, სახაზავი, ფანქარი, ზარი, საშლელი...

**მუსიკალური განტვირთვა: – ლუიჯი ბოკერინის „მენუეტი“.** მუსიკის ფონზე ბავშვები ასრულებენ „ვარსკვლავების ცეკვას“.

**მასწავლებელი:** ღამით, როცა ცაზე მთვარე და ვარსკვლავები გამოჩნდება, თურმე რამდენიმე პაწაწინა ვარსკვლავი დედამიწაზე ჩამოდის და ბავშვებთან თამაშობს. ჩვენც შეგვიძლია, მათთან ერთად ვითამაშოთ: გავიყოთ ჯგუფებად (ხუთი-ექვსი ბავშვი) და რამდენიმე წრე გავაკეთოთ. მუსიკის ფონზე ფეხის წვერებზე შევდგეთ და „ვიცუნცულოთ“; მენუეტის შუა მონაკვეთზე – ჩავიცუცქოთ, გუნდად შევიკრათ და ნელ-ნელა ყვავილივით გავიშალოთ; მუსიკის მესამე ნაწილზე ხელები ჩავკიდოთ და კვლავ წრეში ვიცუნცულოთ...

გამოიცანით, რომელი საკრავი ჟღერს და მიბაძვით თქვენც „დაუკარით“.





# დილა მშვიდობისა

ტექსტი: მ. მრევლიშვილისა
მუსიკა: მ. დავითაშვილისა









**ჩიტო, ჩიტო, ნაცარავ,**
**ვის უგალობ, ვისა?**
**შენ გიგალობ პატარავ,**
**დილა მშვიდობისა!**

**პაწაწინა ყვავილო,**
**რად გაშალე კვირტი?**
**შენთვის მინდა პატარავ,**
**აბა დამაკვირდი.**



**მზეო, მზეო ცხრათვალავ,**
**ვის უცინი, ვისა?**
მისამღერი: **გაიღვიძე პატარავ?**
**დილა მშვიდობისა!**

მისამღერი: **მეც ახლავე ავდგები,**
**მეც დავიბან პირსა,**
**ყველას მივესალმები:**
**დილა მშვიდობისა!**

**გამოყავი, გაიმღერე და დაითვალე რამდენი ბგერისგან შედგება ეს მოტივები.**




მასწავლებელი რამდენჯერმე ამღერებს ამ მოტივს ბავშვებს, და განუმარტავს მოტივის რაობას.

## მუსიკალური ლექსიკონი

**მოტივი:** იტალიური სიტყვაა – motivo საფუძველს, მამოძრავებელ ძალას ნიშნავს. მუსიკაში, კი მუსიკალური ნაწარმოების ან სიმღერის უმცირეს ნაწილს, რომელიც ნათლად გამოხატავს ძირითადი მელოდიის ხასიათსა და განწყობას. უმეტესად მოტივები 1-2 ტაქტისგან შედგება.

**მუსიკალური განტვირთვა: მ. დავითაშვილი. „დილა მშვიდობისა"** II გაკვეთილისათვის ბავშვები უსმენენ სიმღერის „პლუს" და „მინუს" ფონოგრამებს და მღერიან.

# გამომსახველი ინტონაციები 1

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო**. ამ პატარა მოტივების გამღერებით ასრულებენ რიტმულ მოთელვას.

**ბავშვებმა ეს სავარჯიშო ნოტების დასახელებით, ზეპირად, სმენით უნდა დაიმახსოვრონ, გაიმღერონ და აჰყვნენ „საკრავებით“.**






**აქტივობა თემაზე „ქათმები“:** მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს სამ ნაწარმოებს: **ჟ. რამოს „ქათამს“, მ. მუსორგსკის „გამოუჩეკავი წიწილების ბალეტს“, ლ. ანდერსონის „წიწილების ცეკვას“.** ბავშვები უსმენენ მუსიკას და ამოიცნობენ, რომელ ფრინველს ეძღვნება ეს პიესები.

შემდეგ მსჯელობენ, რომელი უფრო მეტად ჰგავს ქათმის ინტონაციას, მის მოძრაობებს და რატომ? მასწავლებელი სვამს კითხვებს, ბავშვები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და გადმოსცემენ განწყობას.



1. რომელ ნაწარმოებში ისმის უფრო მკაფიოდ ქათმის ინტონაცია?
2. რა განსხვავება და მსგავსებაა ამ სამ ნაწარმოებს შორის?
3. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ხმით მიბაძონ ქათამს, წიწილას და მათი ინტონაციები გამოხატონ გრაფიკული ხაზით ან პიქტოგრამით.

## მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS



**აქტივობა 3:** ამ აქტივობაში მოცემულია ცხოველების და ფრინველების ხმები: **ბელურა, ცხენი, ცხვარი, დათვი, ძაღლი, გუგული, ინდაური.** დაალაგეთ ეს ხმები ნებისმიერი თანმიმდევრობით და ააჟღერეთ. ბავშვებმა უნდა გამოიცნონ რომელი ცხოველის, ან ფრინველის ხმა ესმით.

# დო, მი, სოლ



**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.

## მუსიკალური კიბე




მასწავლებელი გაახსენებს და გაამღერებს მუსიკალურ კიბეზე ინტონაციურ სავარჯიშოს: დათ-ვი-და-თუ-ნა, ფი-სო-ფი-სუ-ნა.

– ახლა ცხოველების მაგივრად მუსიკალურ კიბეზე სიმღერით სამი მხიარული ნოტი ავიყვან-ჩავიყვანოთ!







მასწავლებელი ამ სავაჯიშოთი ბავშვებს ამზადებს ქრომატიზმის აღსაქმელად, რომელსაც V კლასში გაიაზრებენ და შეისწავლიან. ბავშვები ამ სავარჯიშოს ნოტების დასახელებით ზეპირად, სმენით იმახსოვრებენ და მღერიან. ტაქტის ძლიერ დროზე ჰყვებიან ტაშითა და პლასტმასის ჭიქებით.





## „მამლი მუხასა“

**„მამლი მუხასა“:** მასწავლებელს კლასში შეაქვს დოლი. იხსენებენ პირველ კლასში შესწავლილ მესხურ სიმღერას „მამლი მუხასა“. ამჯერად მასწავლებელი ბავშვებს ამ სიმღერის ტექსტს ბოლომდე შეასწავლის.

**მუხა წონწილებს, წონწილებს,**
**მამლი მუხასაო,**
**წონწილებს და წაიქცევა,**
**მამლი მუხასაო.**

**მისამღერი:**
**ჰარალე და მამლი მუხასაო,**
**ჰარალე და მამლი მუხასაო.**

**მუხის ნადგომსა, შენ ბიჭო,**
**მამლი მუხასაო,**
**წყალი დგებოდა, შენ ბიჭო,**
**მამლი მუხასაო.**
**მისამღერი: ჰარალე და...**

**შიგ რომ თევზი მოდიოდა,**
**მამლი მუხასაო,**
**იმასაც დაჭერა უნდა,**
**მამლი მუხასაო.**
**მისამღერი: ჰარალე და...**

**რითა და რითა, შენ ბიჭო,**
**მამლი მუხასაო,**
**მოსეს ბადითა, შენ ბიჭო,**
**მამლი მუხასაო!**
**მისამღერი:**
**ჰარალე და...**



სიმღერას ბავშვები ასრულებენ „დასარტყამი საკრავების ორკესტრის“ თანხლებით. მასწავლებელს შეუძლია აყვეს დოლით და გაახსენოს I კლასში ნასწავლი საკრავი.

**მეთოდური მითითება:** მასწავლებელი ზღაპარივით უყვება ამ სიმღერის უჩვეულო შინაარსს:

**დიდი ქარი ამოვარდა, მუხა ირხეოდა – წონწილებდა – და ფესვიანად ამოითხარა. მუხის ადგილზე დიდი ორმო დარჩა. გაწვიმდა. ორმოში წყალი ჩადგა და შიგ სიცოცხლე გაჩნდა.**
**– რა შეიძლება წყალში გაჩენილიყო? რა ნაყოფს გვაძლევს მუხა? – ეკითხება მასწავლებელი ბავშვებს.**
**ტბორში თევზები ცურავდნენ. პატარა ბიჭი მოსე ბადით თევზაობდა – თევზებს იჭერდა, თევზი კი ულევად მოდიოდა და მოდიოდა.**

ბავშვები სიმღერას ფერხულით ასრულებენ. ასე მხიარულად სრულდება გაკვეთილი. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, სახლში დახატონ ეს ლამაზი ზღაპარი (მუხა რკოთი, თევზები, მოსე ბადით...).

### ინფორმაციისათვის:



„მამლი მუხასა“ უძველესი, წარმართობის დროინდელი სიმღერაა. „მამლის“ შესახებ ეთნოგრაფიასა და ფოლკლორისტიკაში ერთგვაროვანი აზრი არ არსებობს. ბავშვებს შეიძლება განუმარტოთ, რომ დღეს ეს ისეთივე მნიშვნელობადაკარგული სიტყვაა, როგორც „არალე“, „ადილა“, „ორუდილა“, „არულალო“, „ვაჰაჰე“ და სხვა.

ხაზგასმით აღვნიშნავთ: „მამლი მუხასა“ სხვა წარმომავლობისა და სოციალური ფუნქციის მქონე სიმღერაა, „მუმლი მუხასა“ – სხვა; ისინი ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ და არც გავაიგივოთ.

II გაკვეთილის ბოლოს ბავშვები უყურებენ **ვიდეოს** – 20 Amazing Animals და ბაძავენ ცხოველებს და ფრინველებს.

## მამლი მუხასა

მესხური

**Moderato**

დაამუშავა მაია ოთიაშვილმა



# გამომსახველი ინტონაციები 2

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.

**ბავშვებმა ეს სავარჯიშოები ნოტების დასახელებით, ზეპირად, სმენით უნდა დაიმახსოვრონ, გაიმღერონ და აჰყვნენ „საკრავებით“.**







**აქტივობა გუგულებზე:**

მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს სამ ნაწარმოებს: **კ. სენ-სანსის „გუგული ღრმა ტყეში“, ლ. დაკენის საფორტეპიანო პიესა „გუგულსა“ და ბ. ბრიტენის სიმღერა „გუგულს“.** ბავშვები უსმენენ სამივე ნაწარმოებს და ამოიცნობენ, რომელ ფრინველს ეძღვნება ეს ნაწარმოებები.

შემდეგ მსჯელობენ, რომელი უფრო მეტად ჰგავს გუგულის ინტონაციას და რატომ.

მასწავლებელი სვამს კითხვებს და ბავშვები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და გადმოსცემენ განწყობას.

1. რომელ ნაწარმოებში ისმის უფრო მკაფიოდ გუგულის ინტონაცია?
2. რა განსხვავება და მსგავსებაა ამ სამ ნაწარმოებს შორის?
3. როგორი ხასიათისაა გუგულის ინტონაცია: მხიარული თუ სევდიანი?

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ხმით მიჰბაძონ გუგულს და მისი ინტონაცია გამოხატონ გრაფიკული ხაზით ან პიქტოგრამით.

## მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS



**აქტივობა 4:** ამ აქტივობაში მოცემულია სამი ტრეკი: **ბრიტენის „გუგული“, დაკენის „გუგული“, სენსანსის „გუგული“** ბავშვებმა უნდა მოისმინონ, გამოიცნონ გუგულის ინტონაციები და ააჟღერონ სხვადასხვა თანმიმდევრობით.

# ეგზოტიკური ფრინველები

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.

---



მასწავლებელი ბავშვებს კლასში აჩვენებს ორ **ვიდეოს**. პირველი ვიდეო, სადაც ოლივიე მესიანი ფორტეპიანოსთან ერთად ბაძავს ფრინველების ხმებს. ვიდეოზე ასახულია შემოქმედებითი პროცესი, თუ როგორ ქმნის მესიანი ბუნების ხმებით მუსიკას. მეორე ვიდეოში, მესიანი გადის ტყეში და უსმენს ფრინველთა გალობას. მასწავლებელი ბავშვებს ესაუბრება ამ კომპოზიტორზე, თუ რა ადგილი უჭირავს ფრინველთა გალობას მის შემოქმედებაში.

აგრეთვე ახსენებს ჩასაბერ საკრავებს – სალამურს, ფლეიტას, რომელთა ხმოვანებითაც შესაძლებელია მიბაძო ფრინველთა ინტონაციებს.

## ინფორმაციისათვის



ოლივიე მესიანი (1908-1992)

**ოლივიე მესიანი** XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი ფრანგი კომპოზიტორი, ნოვატორია. იგი ხელოვნებაში გაკვალულ გზას არ მისდევდა და მუდამ ახლის ძიებაში იყო, ცდილობდა განეახლებინა მუსიკალური ენა. მესიანი ამბობდა: **„მძიმე და სევდიან ფიქრთა მოძალების ჟამს სხვა რა გზა და გამოსავალი არსებობს, თუ არა მიახლოება ფრინველთა გალობასთან ტყეში, მინდვრებში, მთებსა და ზღვის სანაპიროზე? ჩემთვის სწორედ აქ ცოცხლობს მუსიკა“.**



სწავლობდა ჩიტების გალობას და მათ **„პლანეტის უდიდეს მუსიკოსებად“** მიიჩნევდა. ჩიტები მესიანისათვის ბუნების სულის ასახვაა. მესიანი ყურადღებით უსმენდა და სწავლობდა ჯერ საფრანგეთის, შემდეგ – აფრიკის, აზიის, ამერიკის ფრინველთა გალობას. აკვირდებოდა მათს ქცევას, ფირზე იწერდა ხმებს, შემოქმედებითად ამუშავებდა. მათ საფუძველზე შექმნა არაერთი ნაწარმოები. პირველი პიესა იყო „შავი შაშვი“ – ფლეიტისა და ფორტეპიანოსათვის (1952წ.), შემდეგ – „ჩიტების გაღვიძება“ – ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის, „ეგზოტიკური ფრინველები“ – ფორტეპიანოსა და 18 საკრავისთვის, 13 საფორტეპიანო პიესისგან შემდგარი ციკლი – „ფრინველების კატალოგი“. აქ შეხვდებით კლდის ლურჯ შაშვს, რუხ ბუს, ტყის ტოროლას და სხვ.

მისი ნაწარმოებები გამოირჩევა უჩვეულო რიტმებით, ფერებითა და სხვადასხვა საკრავის ტემბრის უჩვეულო შეხამებით. ხშირად იყენებდა ეგზოტიკურ დასარტყამ საკრავებს, ასევე ელექტროსაკრავებსაც. ახალგაზრდობიდან კომპოზიტორის შთაგონების წყარო იყო რელიგია, ძველინდური ფილოსოფია და მუსიკა, ინდური რიტმები, ეგზოტიკური ქვეყნების კულტურა, თანამედროვე პოეზია.

**მუსიკალური განტვირთვა:** გაკვეთილის ბოლოს, ბავშვები უსმენენ **ო. მესიანის „ეგზოტიკურ ფრინველებს“.** შემდეგ მსჯელობენ და თავიანთ ნააზრევს გადმოსცემენ გრაფიკული ხაზით.

# გარე სამყარო მუსიკაში

## თემა: ცხოველები მუსიკაში

**მიზანი:** ცხოველის/ფრინველის გარეგნობის, ხმისა და მოძრაობის ასახვა ხმით, მოტივით. ხმისა და მოტივის ჩაწერა, მუსიკალური კოლაჟის შექმნა, სიმღერების შესწავლა და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება.

**მისაღწევი შედეგები:** მუს.დაწყ.(I)1,2; მუს.დაწყ.(I)4,5,6; მუს.დაწყ.(I)3

# „მოდი, ვნახოთ ვენახი“

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

მუსიკის ფონზე – სულხან ცინცაძე საკვარტეტო მინიატურა **„ლალე“**, მასწავლებელი ბავშვებს უკითხავს **„მოდი ვნახოთ ვენახი“**

**შემოდგომის მზიანი დღე იდგა. თედო და მიხო თიხის დოქებით ხელში წყაროსკენ მიიჩქაროდნენ. დაბრუნდნენ, ბებოს ცივი წყალი მოუტანეს, თან ბუტბუტებდნენ:**

**– „მოდი, ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი“....**

**ეს ხომ გალექსილი პატარა ხალხური ზღაპარია, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაში“ წერია, ნახატებიც კარგად მახსოვს, თხა, მგელი, თოფი, თაგვი, კატა.... თედომ და მიხომ ხმამაღლა, თითქოს მღერიანო, დაიწყეს:**

**– „მოდი ვნახოთ ვენახი?“**

**– რას ღიღინებთ, შვილებო, რა სიმღერაა? – იკითხა ბებომ.**

**– სიმღერა არა, ლექსია, – უპასუხეს ბიჭებმა.**

**– აბა, ერთი კარგად გამაგონეთ.**

**თედომ და მიხომ ისევ თავიდან უფრო გულიანად დაიწყეს, ერთმანეთს ასწრებდნენ. ბებო კი სიყვარულით უსმენდა თავის შვილიშვილებს.**

**– თედო, მიხო, იცით, მე ამ ლექსზე პატარაობისას სოფელში სიმღერა ვისწავლე. ბავშვები ვმღეროდით, ვთამაშობდით: ხან ერთი ვიყავით თხა, მეორე – მგელი, ხან – თაგვი, ხან – კატა და ასე ვმხიარულობდით.**

**– ბებო, ბებო, ჩვენც გვასწავლე, რა? – შეეხვეწნენ ბიჭები.**

**აბა, ბებო როგორ დაზარდებოდა შვილიშვილებს? ეზოში, დიდი კაკლის ქვეშ ისხდნენ და მღეროდნენ. შემოდგომის მზემ თანდათან ფერი იცვალა, დამუქდა, გორაკებს მიეფარა და კიდეც დაღამდა.**

**მეორე დღეს ბიჭებმა ბებოს ნასწავლი სიმღერა სოფლის ბავშვებს უმღერეს. მთელი დღე სოფელში „მოდი, ვნახოთ ვენახი“ ისმოდა.**

ერთად: აბა, ვთქვათ:
თედო: მოდი, ვნახოთ ვენახი.
მოდი, ვნახოთ ვენახი,
რამ შეჭამა ვენახი,
მიველ, ვნახე ვენახი,
თხამ შეჭამა ვენახი.
ერთად: აბა, ვთქვათ:

მიხო: მოდი, ვნახოთ თხა.
მოდი, ვნახოთ თხა,
რამ შეჭამა თხა,
მიველ, ვნახე თხა,
მგელმა ჭამა თხა.

მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
ერთად: შეგვიჭამა. აბა, ვთქვათ:

თედო: მოდი, ვნახოთ მგელი.
მოდი, ვნახოთ მგელი,
რამ შეჭამა მგელი,







მიველ, ვნახე მგელი,
თოფმა ჭამა მგელი.

თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
ერთად: (შეგვიჭამა) აბა, ვთქვათ:

მიხო: მოდი, ვნახოთ თოფი.
მოდი, ვნახოთ თოფი,
რამ შეჭამა თოფი;
მიველ, ვნახე თოფი,
ჟანგმა ჭამა თოფი;



ჟანგმა თოფი, თოფმა მგელი,
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
ერთად: შეგვიჭამა. აბა, ვთქვათ:
თედო: მოდი, ვნახოთ ჟანგი.
მოდი, ვნახოთ ჟანგი,
რამ შეჭამა ჟანგი,

მიველ, ვნახე ჟანგი,
მიწამ ჭამა ჟანგი.
მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
ერთად: შეგვიჭამა. აბა, ვთქვათ:
მიხო: მოდი, ვნახოთ მიწა.
მოდი, ვნახოთ მიწა,
რამ შეჭამა მიწა,
მიველ, ვნახე მიწა,
თაგვმა ჭამა მიწა.

თაგვმა მიწა,
მიწამ ჟანგი ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი, მგელმა თხა,



თხამ ვენახი შეჭამა.
ერთად: შეგვიჭამა. აბა, ვთქვათ:

თედო: მოდი, ვნახოთ თაგვი.
მოდი, ვნახოთ თაგვი,
რამ შეჭამა თაგვი,
მიველ, ვნახე თაგვი,
კატამ ჭამა თაგვი.

კატამ თაგვი, თაგვმა მიწა,
მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
ერთად: შეგვიჭამა. აბა, ვთქვათ!



**მეთოდური მითითება:** სამხმიანი სიმღერის მოსმენის შემდეგ ბავშვები მღერიან ზედა ხმას, შემდეგ ჯგუფებად დაიყოფიან და მასწავლებელთან ერთად ინსცენირებას გაითამაშებენ. ყოველი ახალი პერსონაჟის გამოჩენისას მასწავლებელი ცვლის ტონალობას დო, რე, მი ეოლიურ კილოებში. სიმღერის ამგვარი შესრულება უფრო სახალისოა ბავშვებისთვის. სიმღერამ „ფერი იცვალა“.

**მუსიკალური განტვირთვა:** ანსამბლი „ლაშარი“ – ქართლური საცეკვაო. მასწავლებელი განუმარტავს: ამ საცეკვაოს ფანდურსა და ჩონგურზე ერთდროულად უკრავენ. ბავშვები უსმენენ და „ცეკვავენ“.

# მოდი, ვნახოთ ვენახი

## იმერული

ზომიერად, გამოკვეთილად




II გუნდი
ვე - ნა - ხი.
ა - ბა, ვთქვათ!
მო-დი, ვნა-ხოთ
თხა!
მო-დი, ვნა-ხოთ
ვე - ნა - ხი.
ა - ბა, ვთქვათ!
მო-დი, ვნა-ხოთ
თხა!
მო-დი, ვნა-ხოთ
თხა,
რამ შე - ჭა - მა
თხა?
მი - ველ, ვნა - ხე
თხა,
თხა,
რამ შე - ჭა - მა
თხა?
მი - ველ, ვნა - ხე
თხა,
მგე-ლმა ჭა - მა
თხა.
მგე-ლმა თხა,
თხამ ვე - ნა - ხი
შე - ჭა -
მგე-ლმა ჭა - მა
თხა.
მგე-ლმა თხა,
თხამ ვე - ნა - ხი
შე - ჭა -
I გუნდი
1.2.3...
II გუნდი
საბოლოოდ
მა, შე-გვი-ჭა-მა, ა - ბა, ვთქვათ!
მა, შე-გვი-ჭა-მა, ა - ბა, ვთქვათ!
მა, შე-გვი-ჭა-მა, ა - ბა, ვთქვათ!
მა, შე-გვი-ჭა-მა, ა - ბა, ვთქვათ!

# რიტმული სავარჯიშოები

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.







მასწავლებელი გაკვეთილზე რიტმული მოთელვის შემდეგ ბავშვებს უჩვენებს ცხოველებისა და ფრინველების ფერად ნახატებს. ბავშვები ნიმუშის მიხედვით ითვლიან.

**ცხენი-დათვი-თუთიყუში-თხა.**

**ზღარბი-კუ-მელაკუდა-ბუ.**

1. ითვლიან და აჰყვებიან ტაშით მარცვლების მიხედვით.
2. ასახელებენ ცხოველებს და აჰყვებიან ტაშით.

ამ სავარჯიშოს ასრულებენ ჯერ ნელა, შემდეგ – ჩქარა. სხვადასხვა ცხოველის დასახელებისას იცვლება რიტმული ფიგურაციები. მრავალმარცვლიან სიტყვებს უფრო სწრაფად წარმოთქვამენ, ორ ან სამმარცვლიანს – ნელა. მოსწავლე ტაშით გამოხატული რიტმული ფიგურაციით უნდა მიხვდეს, რომელი ცხოველია. მაგ: ცხე-ნი – სრულდება ნელა, თუ-თი-ყუ-ში – ჩქარა. ბავშვები ადვილად ხვდებიან ამ განსხვავებას. როდესაც ვუკრავთ ტაშს და ვასახელებთ ცხოველებს, ამით შემოგვაქვს ერთგვარი ინტონაცია. ინტონაცია იცვლება იმის მიხედვით, რამდენ მარცვლიანია ცხოველისა თუ ფრინველის სახელი. ბავშვი უნდა მიხვდეს და გააცნობიეროს, რომ რიტმის ცვალებადობა იწვევს ინტონაციის შეცვლას. ასეთი აქტივობები გაუადვილებს მას, უკეთ გააცნობიეროს რიტმისა და მეტრის ცნება და რომ ინტონაცია იცვლება რიტმის მრავალფეროვნებით. შემდგომ ამ სავარჯიშოებს უკვე ვასრულებთ კონკრეტული ინტონაციებით, ნოტების დასახელებით. ეს ყველაფერი ბავშვებს განუვითარებს რიტმს, სმენას, მეხსიერებას. ისინი ადვილად შეძლებენ ვიზუალისა და ინტონაციის შეთანხმებასა და შეგრძნებას. მსგავსი სავარჯიშოები სრულდება რამდენიმე გაკვეთილზე.

# მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა
# LMMS



**აქტივობა 5:** ამ აქტივობაში მოცემულია ცხოველების და ფრინველების ხმები: **კატა, ლომი, მამალი, ქათამი, სპილო, ვირი, წიწილები.** დაალაგეთ ეს ხმები ნებისმიერი თანმიმდევრობით და ააჟღერეთ. ბავშვებმა უნდა მოისმინონ და გამოიცნონ რომელი ცხოველის, ან ფრინველის ხმა ჟღერს. აგრეთვე ამ ინტონაციებით ბავშვები მიხვდენენ, რომელი ცხოველი ან ფრინველი არის უფრო დიდი ზომის ან პატარა.

## მუსიკალური ლექსიკონი:

**რიტმი** – ბგერების გრძლიობათა თანაზომიერ მონაცვლეობას რიტმი ეწოდება. მუსიკაში ბგერების გრძლიობათა მონაცვლეობა ქმნის მუსიკალური ნაწარმოების საერთო რიტმულ სურათს. ხშირად სწორედ რიტმი განსაზღვრავს მუსიკის ხასიათს და მის ჟანრსაც.

**მეტრი** – თანაბარი ბგერების მონაცვლეობა მუსიკაში ქმნის თანაბარ მოძრაობას – პულსაციას. ბგერების ამ მოძრაობაში ზოგიერთი მათგანი პერიოდულად გამოიყოფა მახვილებით – აქცენტებით. დროის იმ ნაწილს, რომელზედაც აქცენტი მოდის, ძლიერი დრო ჰქვია, იმ ნაწილს კი, რომელზედაც აქცენტი არ კეთდება – სუსტი. ძლიერი და სუსტი დროების თანაბარ მონაცვლეობას მეტრი ეწოდება. მეტრის დრო შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა გრძლიობით. მეტრის სანოტო გრძლიობებით გამოსახვას **ზომა** ეწოდება.

## ინფორმაციისათვის:

**ჭიანური** უძველესი ქართული ხალხური ხემიანი სიმებიანი საკრავია, რომელიც თითქმის მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. საცერივით მორკალულ ხის კორპუსზე ცალი მხრიდან ტყავია გადაკრული, ტარზე ორი ან სამი სიმია გაბმული. ჭიანურს მუხლებზეა ჩაიდგამენ და სიმებზე ხემის გასმა-გამოსმით უკრავენ. სვანურ ჭიანურს ჭუნირი ჰქვია.

ბავშვები უსმენენ ჩანაწერს. მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს ჭიანურის ფოტოს და ახსენებს ჩონგურსა და ფანდურს.



**ჭიანური**



**ჩონგური**



**ფანდური**

გაკვეთილი – 12-13



# თეთრი ჩოჩორი

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ, იო-იო-იო**. ამ პატარა მოტივების გამღერებით უნდა შეასრულონ რიტმული მოთელვა.

**სიმღერის შესწავლა – „თეთრი ჩოჩორი“.**



მასწავლებელი დაფაზე ხატავს ჩოჩორს – ბაკუნას. ბავშვები ეძახიან:

– ბაკუნა, ბაკუნა!

მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:

– ბავშვებო, რისი შვილია ჩოჩორი?

– ვირის! – უპასუხებენ ბავშვები.

– როგორ ხმას გამოსცემს ვირი? ბავშვები ბაძავენ ვირის ხმას.

– ეს ჩოჩორი ყველასაგან გამორჩეული და ზღაპრულია, რადგან თეთრია!..

მღერის თეთრი ჩოჩორი:



**მე მყავს თეთრი ჩოჩორი,**
**ფეხებბაკუნა,**
**ერთი ციდა ქოჩორით,**
**ყურებპარტყუნა.**

**მისამღერი: ბაკუნა, ბაკუნა, ბაკუნა,**
**ყურებპარტყუნა,**
**ჩვენი თეთრი ჩოჩორი,**
**ფეხებბაკუნა.**

**ბაკიბუკით დავხტივარ**
**და მიხარია,**
**ყვავილები, პეპლები**
**ჩემთან არიან.**
**(მისამღერი)**

**მალე დიდი გავხდები,**
**თეთრი, ხატულა,**
**ჩემისთანა ლამაზი**
**არ დახატულა.**
**(მისამღერი)**

„პლუს“ და „მინუს“ ფონოგრამაზე მასწავლებელი რამდენჯერმე მღერის, შემდეგ ბავშვებიც აჰყვებიან. ასე ტექსტი და მელოდია ერთდროულად ისწავლება. ინსტრუმენტულ ეპიზოდებში ბავშვები ფეხზე დგებიან და დოინჯშემოყრილნი, ჩოჩორის მიბაძვით, ხან ერთ ფეხს აბაკუნებენ, ხან – მეორეს. შეიძლება სხვა სახის მსუბუქი მოძრაობების შესრულებაც.

**მეთოდური მითითება:** სასურველია, მასწავლებელმა ისაუბროს ფრინველებისა და ცხოველების ნაშიერებზე – შვილებზე: კატა – კნუტი, ძაღლი – ლეკვი, ცხვარი – ბატკანი, ძროხა – ხბო, ცხენი – კვიცი, კამეჩი – ზაქი, აქლემი – კოზაკი, სპილო – სპლიყვი, ლომი – ბოკვერი, მტრედი – ხუნდი (ლაპი), ბატი – ჭუკი, არწივი – მართვე, შველი – ნუკრი... მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს ხმით მიბაძონ ნაცნობი ცხოველებისა და ფრინველების ინტონაციებს.

# მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS



**აქტივობა 6:** ამ აქტივობაში მოცემულია სიმღერა **„თეთრი ჩოჩორის“** პატარა მონაკვეთი, რომელიც დაყოფილია ოთხ პატარა მოტივად. სიმღერის ნაწილები ბავშვებმა უნდა დაალაგონ სწორი თანმიმდევრობით. ნიმუში მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.



**მეთოდური მითითება:** მასწავლებელი გამოყოფს სიმღერის მისამღერის ოთხტაქტიან ფრაგმენტს, რამდენჯერმე გაამღერებს ბავშვებს და სთხოვს, დაითვალონ რამდენი ბგერისაგან შედგება ეს მოტივი. შემდგომ მელოდიას ბავშვები ააწყობენ LMMS პროგრამაში.

## თეთრი ჩოჩორი

**ტექსტი და მუსიკა**
**მაია ოთიაშვილი**

**Tempo di marcia**






**ბავშვები სიმღერას აჰყვებიან „დასარტყამი საკრავებით“**



რა ხერხებით შეუძლია მუსიკას ცხოველის გარეგნობა, ხმა ან ქცევა აღწეროს

# კატების ვალსი

## შემაჯამებელი გაკვეთილი

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ, იო-იო-იო** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.







ამ სავარჯიშოს ასრულებენ ჯერ ნელა, შემდეგ – ჩქარა. სხვადასხვა ცხოველის დასახელებისას იცვლება რიტმული ფიგურაციები. მრავალმარცვლიან სიტყვებს უფრო სწრაფად წარმოთქვამენ, ორ ან სამმარცვლიანს – ნელა. მოსწავლე ტაშით გამოხატული რიტმული ფიგურაციით უნდა მიხვდეს, რომელი ცხოველია: მაგ: ვი-რი – სრულდება ნელა, სი-რაქ-ლე-მა – ჩქარა. ბავშვები ადვილად ხვდებიან ამ განსხვავებას. როდესაც ვუკრავთ ტაშს და ვასახელებთ ცხოველებს, ამით შემოგვაქვს განსხვავებული ინტონაცია. ინტონაცია იცვლება იმის მიხედვით, რამდენ მარცვლიანია ცხოველისა თუ ფრინველის სახელი. ბავშვი უნდა მიხვდეს და გააცნობიეროს, რომ რიტმის ცვალებადობა იწვევს ინტონაციის შეცვლას. ასეთი აქტივობები გაუადვილებს მას, უკეთ გააცნობიეროს რიტმისა და მეტრის ცნება და რომ ინტონაცია იცვლება რიტმის მრავალფეროვნებით.

რიტმულ სავარჯიშოებს ცხოველებზე ასრულებენ ტაშითა და ასო-ბგერების დასახელებით. ასო-ბგერებს ბავშვები აჰყვებიან **„დასარტყამი საკრავების ორკესტრი“.**



ამით იქმნება მრავალფეროვანი რიტმულ-ინტონაციური კომპოზიციები, სადაც ერთმანეთთან არის შერწყმული ვიზუალი, ინტონაცია, რიტმი და ასო-ბგერები.

## ლეროი ანდერსონის „კატების ვალსი“

მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს ლ. ანდერსონის „კატების ვალსს“ და სთხოვს მათ, გამოიცნონ:

1. რომელი ცხოველის ხასიათს ჰგავს ეს მუსიკა?
2. რომელი ცხოველის ხმის ინტონაცია ესმით ამ ნაწარმოებში?
3. რა ადგილას ისმის ეს ინტონაცია – დასაწყისში თუ მუსიკალური ფრაზის დასასრულს?

ბავშვები უსმენენ მუსიკას, ხმით ბაძავენ და აჰყვებიან კატის ინტონაციას ნაწარმოების შესაბამის ადგილას, ანუ მუსიკალური ფრაზის დასასრულს.

ამ სავარჯიშოს რამდენჯერმე გამეორების შემდეგ შეიძლება მიუსადაგონ თავიანთი საგნების ხმები. მაგალითად: „მიაუს“ – პენალი-„ჟღარუნა“ ან სხვა რომელიმე საგანი სურვილისამებრ...

მასწავლებელს ვიდეოდისკზე მოცემული აქვს თავად ლეროი ანდერსონის მიერ შესრულებული ეს ნაწარმოები. ვიდეო დაეხმარება მას ამ აქტივობის ჩატარებაში. შემდგომში ეს სადღესასწაულო ხასიათის ვალსი შეიძლება გამოიყენონ სხვადასხვა საკლასო ღონისძიებაზე.

**ვიდეოს** ჩვენება – ლ. ანდერსონი ასრულებს სიმღერას.

## მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS



**ლ. ანდერსონის „კატების ვალსიდან“** ამოვჭრათ მთავარი თემა – მუსიკალური ფრაზა და ავაჟღეროთ პროგრამაში, სპილოს, მამლის და გუგულის ინტონაციებთან მონაცვლეობით. შეიქმნება პატარა მუსიკალური კოლაჟი, რომელიც აგებული იქნება პატარა მოტივსა და ცხოველთა ინტონაციებზე.

მასწავლებელს შეუძლია ეს სავარჯიშო კომპიუტერული პროგრამის გარეშეც განახორციელოს. მაგ.: მასწავლებელი მღერის მთავარი თემის პატარა მოტივს, ბავშვები მორიგეობით აჰყვებიან ცხოველთა ინტონაციებით.

**აქტივობა 7:** ამ აქტივობაში გვაქვს **ლეროი ანდერსონის „კატების ვალსის“** პატარა მონაკვეთის ორი ნაწილი. ასევე სპილოს, მამლის და გუგულის ხმები. მოუსმინეთ ნიმუშს, რომელიც აუდიო ფაილის სახით არის წარმოდგენილი ამავე აქტივობის ფოლდერში. დაალაგეთ ტრეკები ჯერ ნიმუშის მიხედვით და მიიღეთ მუსიკალური კოლაჟი, ხოლო შემდეგ დაალაგეთ ტრეკები თქვენი სურვილისამებრ. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს გრაფიკული ხაზით გამოხატონ კატის, სპილოს, მამლის, გუგულის ინტონაციები. მასწავლებელი ბავშვებს ნიმუშად აჩვენებს ამ პიქტოგრამებს, თუმცა შესაძლებელია მათ უფრო უკეთესად გამოხატონ ეს ინტონაციები.



მიაუ



გუ-გუ



სპილოს ხმა



ცხენის ჭიხვინი



ყიყლიყოო

რა ხერხებით შეუძლია მუსიკას ცხოველის გარეგნობა, ხმა ან ქცევა აღწეროს

# კატების დუეტი

## შემაჯამებელი გაკვეთილი

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ, იო-იო-იო** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** ბავშვები მასწავლებელთან ერთად ასრულებენ სავარჯიშოებს „დასარტყამი საკრავებითა" და ასო-ბგერების დასახელებით. აგრეთვე სთხოვს, ნაცნობი ცხოველების და ფრინველების ინტონაციები გამოხატონ ხმით.







**აქტივობა თემაზე – „კატები":** მასწავლებელი ასმენინებს კლასს კატების სამ დუეტს სამი სხვადასხვა ეპოქის კომპოზიტორების შემოქმედებიდან – **ჯ. როსინისა** და **მ. რაველის „კატების დუეტსა"** და **პ. ჩაიკოვსკის ბალეტ „მძინარე მზეთუნახავიდან"** კატების საორკესტრო ფრაგმენტს. ბავშვები ყურადღებით უსმენენ მუსიკას და ამოიცნობენ, ამ სამი ნაწარმოებიდან რომელი უფრო მეტად ჰგავს კატის ინტონაციას – კნავილს (პ. ჩაიკოვსკის ნაწარმოები ყველაზე ნაკლებად ჰგავს, რადგან იგი ორკესტრისათვის არის დაწერილი, დანარჩენი ორი კი – ადამიანის ხმისათვის. ადამიანის ხმა უკეთესად ბაძავს კატის ხმას).

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ამოიცნონ პ. ჩაიკოვსკის ნაწარმოებში კატის კნავილის ინტონაცია, რომელიც ორკესტრში ჟღერს (ამ ინტონაციის ამოცნობასა და გამღერებაში მასწავლებელი აუცილებლად დაეხმარება ბავშვებს).

მასწავლებელი სთხოვს კლასს, დააკვირდნენ და იმსჯელონ, დანარჩენ ორ დუეტს შორის რომელი უფრო ბუნებრივად წარმოაჩენს კატების კნავილს – მ. რაველის თუ ჯ. როსინის?

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ხმით მიბაძონ კატის კნავილს და გრაფიკული ნახატით – პიქტოგრამით – გამოხატონ კატის ინტონაცია.

# მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS



კლასში ბავშვები მასწავლებელთან ერთად ასრულებენ შემდეგ დავალებას: **პ. ჩაიკოვსკის** ბალეტიდან კატის ინტონაციას მიუსადაგებენ დანარჩენი ნაწარმოების – **ლ. ანდერსონის, მ. რაველისა** და **ჯ. როსინის** – კატების ინტონაციებს. ამ ინტონაციებს კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ში ავაჟღერებთ, ისე რომ შეიქმნას ერთი პატარა დამოუკიდებელი მუსიკალური კომპოზიცია. მრავალფეროვნებისთვის ამ კომპოზიციაში შეგვიძლია ჩავრთოთ სხვა ცხოველების ხმათა ინტონაციებიც.

**აქტივობა 8:** ამ აქტივობაში მოცემულია **მ. რაველის, ჯ. როსინის, პ. ჩაიკოვსკის და ლ. ანდერსონის** ნაწარმოებების პატარა ფრაგმენტები. ბავშვებმა ჯერ ნიმუშის მიხედვით, ხოლო შემდეგ სურვილისამებრ უნდა ააწყონ **მუსიკალური კოლაჟი**. ნიმუში მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.

გაკვეთილის ბოლოს ბავშვები უყურებენ ორ **ვიდეოს** – **მ. რაველის და ჯ. როსინის „კატების დუეტებს“**.





## ინფორმაციისათვის

**ლეროი ანდერსონი** (1908-1975) – ამერიკელი კომპოზიტორი, დირიჟორი, პიანისტი, საორკესტრო არანჟირებების ავტორი. ჰარვარდის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ხელმძღვანელობდა კემბრიჯის უმაღლესი მუსიკალური სკოლის ორკესტრს. პარალელურად სწავლობდა ძალიან ბევრ უცხო ენას (სკანდინავიური – დანიური, ნორვეგიული, ისლანდიური, შვედური; გერმანული, ფრანგული, იტალიური, პორტუგალიური ენები). 1929 წლიდან ხელმძღვანელობდა ჰარვარდის სასულე ორკესტრს, უკრავდა ორგანზე. 1934 წლიდან იწყება მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა. ლ. ანდერსონის ნაწარმოებები გამოირჩევა ორიგინალური საკომპოზიციო სტილით. პირველი ნაწარმოებია „ჯაზ პიციკატო“, რომელსაც დიდი ყურადღება მიაქცია დირიჟორმა არტურ ფიდლერმა. სწორედ ა. ფდლერი და ორკესტრი „ბოსტონ პოპსი“ გახდნენ მისი ნაწარმოებების პირველი შემსრულებლები.



**ლეროი ანდერსონი**

ლეროი ანდერსონის პოპულარული ნაწარმოებებია: „მებუკეების დღესასწაული“, მარხილით სრიალი“, „საბეჭდი მანქანა“, „ზუმფარა“, „საათი“, საფორტეპიანო კონცერტი C-Dur ს. რახმანინოვის სტილში და სხვა.

# ჩელო

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ, იო-იო-იო** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები: ბავშვები მასწავლებელთან ერთად ასრულებენ სავარჯიშოებს „დასარტყამი საკრავებითა“ და ასო-ბგერების დასახელებით. აგრეთვე სთხოვს ნაცნობი ცხოველების და ფრინველების ინტონაციები გამოხატონ ხმით.**









**ჩელო**

ჩელო, ანუ ვიოლონჩელო, ვიოლინოს მსგავსი ოთხსიმიანი საკრავია, მოცულობით – გაცილებით დიდი. მასზე ხემით იკვრება. სიდიდის გამო საკრავი ფეხებშუა იდგმება. ჩელოს ჟღერადობა მსუყეა, ხავერდოვანი, ადამიანის ხმის მსგავსი.

ახლა თვალები დავხუჭოთ და მოვუსმინოთ ჩელოს, რომელიც მთვარის ზღაპარს მოგვიყვება...



ჩელო XVI საუკუნიდან დამკვიდრდა, ნელ-ნელა დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა. ჩელოს კლასიკური ნიმუშები დაამზადეს გამოჩენილმა იტალიელმა ოსტატებმა: **ანდრია ამატიმ, ჯუზეპე გვარნერიმ** და **ანტონიო სტრადივარიუსმა.** მათვე ეკუთვნით მსოფლიოში საუკეთესო ვიოლინოები, რომელთა მხატვრული ღირებულება შეუფასებელია.

**მუსიკალური განტვირთვა:** ბავშვები თვალდახუჭული უსმენენ **ვახტანგ კახიძის „მთვარის ცეკვის“** I ნაწილის ფრაგმენტს. (რელაქსაცია) მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, შეადარონ ერთმანეთს ვიოლინოსა და ჩელოს ჟღერადობა-ტემბრი. აგრეთვე მასწავლებელი ახსენებს და ასმენინებს **კ. დებიუსის „მთვარის შუქს“.** ბავშვები ადარებენ ამ ნაწარმოებებს ერთმანეთს.



**მეთოდური მითითება:** ბავშვები II კლასში ემზადებიან ნოტების მართლწერისათვის. მასწავლებელი ურიგებს ფურცლებს, სადაც გამოხატულია ნოტები ერთ, ორ და სამ სწორ ხაზზე და ხაზებს შორის.ბავშვები უსმენენ მუსიკას – ვ. კახიძის „მთვარის ცეკვა“, ხატავენ და აფერადებენ ნოტებს.

სტანდარტის მიხედვით, ნოტების შესწავლას III კლასიდან ვიწყებთ. III კლასში თავიდან, ბავშვები კვლავ გრაფიკულად გამოსახავენ და აფერადებენ ნოტებს, შემდეგ კი ჯერ ვასწავლით ნოტების ხაზებზე წერას, ბოლოს – ხაზებს შორისაც. ბავშვებს ნოტებს მუსიკალური ტესტების საშუალებით შევასწავლით, მაგალითად: გამოიცნონ, რა ნოტი იწერება მი-სა და სოლ-ს შორის; მათ უნდა თავად იფიქრონ, გააცნობიერონ და გამოიცნონ, რომელი ნოტია ჩასახატი. ასეთი მეთოდი უფრო გაუადვილებთ მათ ნოტების გააზრებულად შესწავლასა და დამახსოვრებას. ამავე დროს, ბავშვებს გამოუმუშავდებათ დამოუკიდებელი აზროვნების, ფიქრის, სირთულეების დაძლევისა და დავალების წარმატებით შესრულების უნარ-ჩვევები, რაც დაეხმარებათ ნებისმიერი სასწავლო დისციპლინის დაძლევაში.

აღსანიშნავია ნოტების გრაფიკული ზომებიც: ბავშვებს ვთავაზობთ ნოტების დაწერას ჩვეულებრივ სანოტო რვეულებში კი არა, არამედ პირველ ეტაპზე ვაწვდით დიდი ზომის ნოტებს წიგნში ჩახატული სპეციალური სავარჯიშოების სახით. ამგვარი მეთოდი მათ ეხმარებათ ნოტების იოლად აღქმა-დამახსოვრებასა და სწორად გამოსახვაში. დიდი ზომის ნოტების გამოსახვა ვიზუალურ სივრცეში ამ ასაკის ბავშვებისათვის უფრო თვალსაჩინოდ აღსაქმელია, ვიდრე ჩვეულებრივ სანოტო რვეულებში წვრილად დაწერილისა. ვფიქრობთ, ეს არის ნოტების შესწავლის ახალი მეთოდი, ნოვატორული მიგნება.



ლექსიკონი:

**პიქტოგრამა** – (ლათ. **pictus**, დახატული და ბერძნ. **grapho**, ვწერ) – „გრაფიკული ნახატი“, „პიქტოგრაფია“, რაიმე ცნობის, შინაარსის გადმოცემა ნახატის ან თანმიმდევრული ნახატების საშუალებით.











# ბეთჰოვენის „ზაზუნა“

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ, იო-იო-იო** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.

---



მასწავლებელი მუსიკის ფონზე – **ლ.ვ. ბეთჰოვენი „ზაზუნა“** – კითხულობს მოთხრობას.

**პატარა პეტრე დედიკომ სამუსიკო სკოლაში შეიყვანა. მას ვიოლინოზე დაკვრა უნდა ესწავლა, ისე, როგორც პატარა მოცარტი და ბეთჰოვენი უკრავდნენ. მუსიკის მასწავლებელმა პეტრეს ერთ ხელში ვიოლინო დააჭერინა, მეორეში – ხემი. პეტრემ ხემი ვიოლინოს ოთხ სიმზე გაუსვ-გამოუსვა და საკრავმაც საოცარი ხმა გამოსცა. დაიწყო ყოველდღიური რეპეტიციები. თავიდან პეტრეც შვიდ მხიარულ ნოტს უკრავდა. მთელი დღე ვიოლინოს ხმა ეზოში მოთამაშე ბავშვებს ესმოდათ და ერთხელაც ია-გოგო, კატო და დათა-ბათა პეტრეს ესტუმრნენ. პეტრემაც თავი მოიწონა: დო, რე მი, ფა, სოლ, ლა, სი, დო – უკრავდა და ისევ უკან ბრუნდებოდა. ვიოლონოს ხმას ბავშვებიც აჰყვნენ:**



**– ჩვენც ვისწავლეთ პირველ კლასში მხიარული ნოტები! – გაიხსენეს მათ.**

**ვიოლინოზე დაკვრა დათა-ბათამაც ინატრა – ნადვილმა დათუნიამ. იცით, რატომ გახდა დათა-ბათა ბუთხუზა? მასაც დათუნიასავით თაფლი და კარაქი უყვარს და ყოველდღე მიირთმევს, ზედ რძესაც აყოლებს და შედეგიც სახეზეა: ფუმფულა და პუნტულაა ჩვენი დათა-ბათა.**

**დედიკომ შეუსრულა ნატვრა დათა-ბათას და სამუსიკო სკოლის დირექტორთან მიიყვანა. როგორც კი დათა-ბათა დირექტორმა დაინახა, არაფერი უკითხავს, სკამზე დასვა, ხელში რაღაც საკრავი მიაწოდა და ღიმილით უთხრა:**

**– აი შენი საკრავი! შენ ვიოლინოზე უფრო მეტად ჩელო შეგეფერება!**

**იმ დღის შემდეგ პეტრე და დათა-ბათა სწავლობდნენ ნოტებს, სიმღერებს, ვიოლინოსა და ჩელოზე დაკვრას. ერთხელ მასწავლებელმა პეტრეს ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის „ზაზუნა“ შეასწავლა – სიმღერა მინდვრის პატარა თეთრ თაგვზე. დათა-ბათასაც მოეწონა ეს სიმღერა. დაუძახეს ია-გოგოს და კატოს, რომლებიც კარგად უკრავდნენ ფორტეპიანოზე, მშვენიერი ანსამბლი შექმნეს და გადაწყვიტეს, „ზაზუნას“ შესრულებით სოფელში მეგობრებთანაც მოეწონებინათ თავი. ზაფხულის არდადეგებზე პეტრე, დათა-ბათა, ია-გოგო, კატო სოფლის სკოლის დარბაზში წარდგნენ თანატოლების წინაშე და დიდებული კონცერტი გამართეს. კონცერტის ბოლოს თედომ და მიხომ დარბაზში ჭიანური შემოიტანეს:**



**– აი, ჩვენც გვაქვს თქვენნაირი ჩელო და შეგვიძლია „ჩელოზე“ დაკვრა!**

**ბავშვები საოცრად გამხიარულდნენ: – ეს ხომ ჭიანურია! – იცინოდნენ ისინი.**

**კონცერტმა ძალიან კარგად ჩაიარა. ბავშვებს ყველაზე მეტად ბეთჰოვენის „ზაზუნა“ მოეწონათ და ადვილადაც ისწავლეს.**

ახლა ბეთჰოვენის სიმღერა „ზაზუნას“ გერმანულ ენაზე მოვისმენთ – კომპოზიტორის მშობლიურ ენაზე.

## მუსიკალური ლექსიკონი

**ანსამბლი** ფრანგული სიტყვაა და ერთობლიობას ნიშნავს. მუსიკაში – ერთად, შეთანხმებულად დაკვრასა და სიმღერას.

**აკომპანემენტი** – ფრანგული სიტყვაა და მუსიკალური ნაწარმოების, მელოდიის ინსტრუმენტულ თანხლებას ნიშნავს.

# ზაზუნა

ლ.ვ. ბეთჰოვენი

Cantabile (მღერადად)



## აქტივობა – რიტმული მოთელვა

**მეთოდური მითითება:** თითქმის ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით, რომელიც რიტმულ სავარჯიშოებზეა დაფუძნებული. ეს აქტივობა განაწყობს ბავშვებს მუსიკის გაკვეთილისათვის. მაგალითად: მასწავლებელი შედის კლასში, იწყებს ტაშის დაკვრას. ტაშით გამოხატავს მარტივ რიტმულ სავარჯიშოს, ბავშვებს სთხოვს აჰყვნენ. თანდათანობით მასწავლებელი ცვლის რიტმულ სურათს და ისინიც ბაძავენ მას. აგრეთვე, ცვლის რიტმული სურათის ტემპს, ხან ანელებს ქმედებას, ხან აჩქარებს. შემდგომ გაკვეთილებზე მასწავლებელს შეუძლია ეს აქტივობა მუსიკის თანხლებითაც შეასრულოს, გამომდინარე იქიდან, ამა თუ იმ გაკვეთილზე რა მუსიკალურ ნაწარმოებს ასმენინებს.

### რიტმული სავარჯიშო 3/4 ზომაში

მასწავლებელი 1-20 გაკვეთილისთვის რიტმულ მოთელვას ასრულებს 3/4 ზომაში




**მეთოდური მითითება:** სახელმძღვანელოში ნაწარმოებების გამეორება განპირობებულია მეთოდიკით – ნაწარმოების რამდენჯერმე მოსმენით ხდება ცოდნის განმეორება-განმტკიცება.

# E-I-E-I-O – ია-ია-ო

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

**ახალი სიმღერის შესწავლა:** ინგლისური ხალხური სიმღერა E-I-E-I-O. ფერმერი მაკდონალდი თავისი ფერმის ცხოველებს სიყვარულით უვლის. ძროხა, ცხენი, იხვი, წიწილა და სხვა შინაური ცხოველები ერთად მეგობრულად ცხოვრობენ და მხიარულ სიმღერასაც მღერიან:

**Old Macdonald had a farm E-I-E-I-O**
**And on that farm he had a horse E-I-E-I-O**
**With a neigh, neigh here**
**Here a neigh, there a neigh.**
**Old Macdonald had a farm E-I-E-I-O**
**And on that farm he had a cow E-I-E-I-O**
**With a moo, moo here...**

**Old Macdonald had a farm E-I-E-I-O**
**And on that farm he had a duck E-I-E-I-O**
**With a quack, quack here...**
**Old Macdonald had a farm E-I-E-I-O**
**And on that farm he had a chick E-I-E-I-O**
**With a chick, chick here...**



**მუსიკალური განტვირთვა:** ინგლისური ხალხური სიმღერა E-I-E-I-O. ბავშვები მღერიან და მხიარულობენ. ბავშვები დაითვლიან, რამდენი ბგერისგან შედგება სიმღერის ძირითადი **მოტივი**. გაკვეთილის ბოლოს, მასწავლებელი ასმენინებს მეგრულ სახუმარო სიმღერას **„არამი დო შარიქა“**. არამი და შარიქა ძაღლებს ჰქვიათ. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს ამოიცნონ სიმღერაში ძაღლის ინტონაციები.

**ია-ია-ო**



# ცხოველთა კარნავალი – 1

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები, დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ, იო-იო-იო** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** ბავშვები მასწავლებელთან ერთად ასრულებენ სავარჯიშოებს „დასარტყამი საკრავებითა“ და ასო-ბგერების დასახელებით. აგრეთვე სთხოვს ნაცნობი ცხოველების და ფრინველების ინტონაციები გამოხატონ ხმით.









**აქტივობა1:** მასწავლებელი ასმენინებს **კ. სენ-სანსის „ცხოველთა კარნავალიდან“** ორ პიესას: **„სპილო“** და **„ვირი“.** სთხოვს ბავშვებს, დაუკვირდნენ, მათი აზრით, რომელი ნაწარმოები რომელ ცხოველს გამოსახავს.

1. რით განსხვავდება ეს ორი ნაწარმოები ერთმანეთისგან (**ტემპი, ინტონაცია, რეგისტრი**)?
2. მოუსმინეთ და გაიმეორეთ ხმით ვირის და სპილოს ინტონაციები.
3. როგორ მიხვდით, რომელი ნაწარმოები რომელ ცხოველზეა?
4. კიდევ რომელ ცხოველს მოგაგონებთ ეს ნაწარმოებები და რატომ?



---

### მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა
### LMMS



**აქტივობა 9 ამ აქტივობაში მოცემულია ექვსი ტრეკი. ლეროი ანდერსონის „კატების ვალსის“ ფონზე** ბავშვები ამოიცნობენ ცხოველების ინტონაციებს: ვირი, კატა, ძაღლი, ცხვარი, ცხენი, სპილო.
მიბაძავენ ამ ინტონაციებს და დაალაგებენ რეგისტრის მიხედვით: დაბალი, საშუალო, მაღალი.



# ბროლია და ფისო

ტექსტი: ჩ.ლეზგიშვილისა
მუსიკა: მ.ოთიაშვილისა









ხარ-კამეჩშს და ჭირნახულს,
დღე და ღამე ვდარაჯობ,
გარჯითა და სიმარდით
ქვეყანაზე ვინა მჯობს.

ცეკვაც ვიცი, სიმღერაც,
კოხტა ვარ და ლამაზი,
ჩემი შიშით თაგვიც ხომ
ვერ გამოდის დარბაზში.

ამოიცანი რომელი გმირის ლაიტმოტივია და
დაითვალე, რამდენი ბგერისგან შედგება.



# ცხოველთა კარნავალი – 2

**შემაჯამებელი გაკვეთილი**

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ, იო-იო-იო** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** ბავშვები მასწავლებელთან ერთად ასრულებენ სავარჯიშოებს „დასარტყამი საკრავებითა“ და ასო-ბგერების დასახელებით. აგრეთვე სთხოვს, ნაცნობი ცხოველების და ფრინველების ინტონაციები გამოხატონ ხმით.









**აქტივობა 2:** მასწავლებელი ასმენინებს **კ. სენ-სანსის „ცხოველთა კარნავალიდან“** ორ პიესას:

**„კენგურუს“** და შესავალს – **„ლომების სამეფო მარში“**. სთხოვს ბავშვებს, დაუკვირდნენ, მათი აზრით, რომელი ნაწარმოები რომელ ცხოველს გამოსახავს.



1. რით განსხვავდება ეს ორი ნაწარმოები ერთმანეთისგან (**ტემპი, ინტონაცია, რეგისტრი**)?
2. როგორ მიხვდით, რომელი ნაწარმოები რომელ ცხოველზეა?
3. კიდევ რომელ ცხოველს მოგაგონებთ ეს ნაწარმოებები და რატომ?
4. მოუსმინეთ მუსიკას და გრაფიკული ხაზით ან პიქტოგრამით გადმოეცით ცხოველების ინტონაცია.

**მუსიკალური განტვირთვა:** გაკვეთილის ბოლოს ბავშვები უსმენენ **ვ. ა. მოცარტის „ღამის სერენადის“** I ნაწილს და „დირიჟორობენ“. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ამოიცნონ რომელი პერსონაჟის ლაიტმოტივია ეს მუსიკა?

# მოვიარე სიმღერით...

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ, იო-იო-იო** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო:**



კა - ტა ბა - ტი ი - ხვი ბუ



ბა - ყა - ყი წი - წი - ლა ჩო - ჩო - რი თხა

**მოვიარე სიმღერით...**



**პატარა დირიჟორი:** – მთელი ზაფხული საქართველოს ყველა კუთხე მოვიარე სიმღერით.

მოგზაურობა სვანეთიდან დავიწყე: საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე კავკასიონის თოვლიან-ყინულიან მწვერვალებშია მოქცეული.

სვანეთში ორი პატარა ტყუპი გოგო გავიცანი – კესო და ტასო, ცისფერი თვალებით და წითური თმებით. გოგოები ერთ-ერთი კოშკის ძირას ისხდნენ და ხელში უცნაური საკრავები ეჭირათ – ხის სამკუთხედზე რამდენიმე სიმი იყო გაბმული. ჩამოჰკრავდნენ სიმებს პატარა თითებს და ზედ საოცარ სიმღერებს ამღერებდნენ. ეს ქართული ხალხური სიმებიანი საკრავი ჩანგია. ხის სამკუთხედში რამდენიმე სიმია გადაჭიმული და ორივე ხელით უკრავენ. გავრცელებულია უმეტესად სვანეთში. კესო და ტასოც ხომ სწორედ ამ საკრავზე უკრავდნენ! კესომ და ტასომ პატარა დირიჟორს ძველი სვანური ლეგენდა უამბეს ჩანგზე:



**– როგორც დღეს, ძველადაც იშვიათ ცხოველებზე ნადირობა იკრძალებოდა, განსაკუთრებით – ვეფხვსა და ჯიხვზე. მათი მოკვლით ნადირთ ღვთაება განრისხდებოდა და მონადირეს დასჯიდა. ამაზე მრავალი ხალხური ლექსი და ლეგენდა მოგვითხრობს: „ლექსი ვეფხისა და მოყმისა", „ჯარჯი", „თეთრი თამბი"...**

**ძველი სვანების რწმენით, ნადირსა და მონადირეებს ქალღმერთი დალი მფარველობდა: უყვარდა მამაცი მონადირეები, მაგრამ თავისი საყვარელი ცხოველის მოკვლას არავის აპატიებდა. ერთხელ ერთი მონადირე ნადირობამ გაიტაცა და**



**დალის რჩეული თეთრი ჯიხვის მოკვლა განიზრახა. ის-ის იყო მშვილდ-ისარი მოზიდა, რომ ქალღმერთმა დალიმ მშვილდ-ისარი საკრავად აქცია. მას შემდეგ მონადირე სოფელ-სოფელ დადიოდა და თავის თავგადასავალს ჩანგზე ამღერებდა... ასე გაჩენილა ჩანგი. მისი ნარნარი ხმა ამ თქმულებას გვახსენებს.**

**გაუფრთხილდეთ ბუნებას!**

მასწავლებელი ასმენინებს ჩანგის ჩანაწერს. ბავშვები, მიბაძვით, ჩანგზე ორივე ხელით „უკრავენ“.

რუბრიკა **„მოვიარე სიმღერით“** მთელ სახელმძღვანელოს გასდევს. საქართველოს კუთხეებში დირიჟორის მოგზაურობა ერთი ლამაზი ზღაპარია.



ჩანგი

## ქართული ხალხური საკრავები



ჩონგური



სალამური



წიკო-წიკო



ძვლის სალამური



ფანდური



დაირა



ჭიანური



დიპლიპიტო



დოლი

### ლექსიკონი

**ლეგენდა** ლათინური სიტყვაა. 1. ხალხური ზეპირი გადმოცემა, უპირატესად რელიგიური ხასიათისა, თქმულება; 2. არაჩვეულებრივი ამბავი, შელამაზებული მოთხრობა ვისიმე ცხოვრების ან რაიმე ამბის შესახებ.

# მუსიკალური კოლაჟი – 1

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ, იო-იო-იო** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო:**







**აქტივობა:** ბავშვები ნახატის მიხედვით ახმოვანებენ ცხოველებს: ძროხას, ძაღლს, კატას, ცხენს, მამალს, ქათამს, ინდაურს და გრაფიკული ხაზით გამოხატავენ შესაბამის ინტონაციებს.





## მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS



**აქტივობა 10 – ინტონაციური ფაზლი:** დოკუმენტურ ფოტოებზე წარმოდგენილია სხვადასხვა ცხოველის მოქმედებები. ისინი გამოხატავენ თითოეული მათგანის ხასიათს, მოძრაობას. ამ ფოტოების მიხედვით იქმნება პატარა ისტორია, ამბავი. თავდაპირველად ბავშვები ხმით ახმოვანებენ ფოტოებს. შემდგომ მასწავლებელი ასმენინებს სხვადასხვა ინტონაციას და სთხოვს ბავშვებს, მიუსადაგონ ეს ინტონაციები ფოტოებზე გამოსახული ცხოველების ქმედებას. ბავშვები ფოტოებს ალაგებენ ისე, რომ პატარა ამბავი შეიკრას. შემდეგ კი შერჩეულ ინტონაციებს მიუსადაგებენ ფოტოებს. ახლა ეს პატარა ისტორია შეგვიძლია „მოვყვეთ“ მუსიკით. ასე იქმნება **მუსიკალური კოლაჟი**.









ლომი ეპარება ანტილოპებს, ანტილოპები ძოვენ ბალახს, ლომი დაიღრიალებს და ანტილოპები გარბიან.

ამ ქმედებებს შევუსაბამოთ მუსიკაური ფრაზები და ხმები. ეს ხმები – „სემპლები“ – შევიყვანოთ კომპიუტერულ მუსიკალურ პროგრამა LMMS-ის გრაფაში. თითოეულ „სემპლს“ აქვს თავისი ფერი. ფერები დაგვეხმარება მუსიკალური კოლაჟის აწყობაში: მაგალითად, ლომი – ყვითელი, ანტილოპები – ვარდისფერი. იქმნება ფერადოვანი მუსიკალური კოლაჟი.

ასეთი აქტივობები ბავშვებს უვითარებს შემოქმედებით უნარებს: გამოსახულებისა და მუსიკის ერთობლივად აღქმასა და დაკავშირებას, რაც შემდგომ IV-V კლასებში გაუადვილებს მათ მხატვრული ნაწარმოების მუსიკალურ გაფორმებას.

# ეთნოგრაფია და მუსიკა

**თემა: სხვადასხვა ქვეყნის ხალხური მუსიკა**

**მიზანი:** ხალხური მუსიკის როლის განსაზღვრა სხვადასხვა ხალხის ცხოვრებაში, საერთო ნიშნების ამოცნობა, ხალხური სიმღერების შესწავლა და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება.

**მისაღწევი შედეგები:** მუს.დაწყ.(I)4,5,6

## ინტონაციის ამოცნობა ხალხურ სიმღერაში

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ, იო-იო-იო** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.



### მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS

**აქტივობა 11 ინტონაციის ამოცნობა ხალხურ სიმღერაში:** მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საბავშვო ხალხურ სიმღერებს. მათ შორის მრავლადაა საბავშვო სიმღერები ცხოველებზე, ფრინველებზე, სადაც სხავდასხვა მუსიკალური ხერხით, ხმაბაძვითი ბგერებითა და ინტონაციებითაა გადმოცემული ცხოველის, ფრინველის მოძრაობა და მათი ინტონაცია. გაახსენებს ქართულ ხალხურ სიმღერებს: „მოდი, ვნახოთ ვენახი“, „არამი დო შარიქა“ და სთხოვს ბავშვებს, ჩამოთვალონ, კიდევ რომელი სიმღერები იციან ცხოველებსა და ფრინველებზე.





მასწავლებელი ყურადღებას შეაჩერებს ინგლისურ ხალხურ სიმღერაზე – Little Lap Dog და უჩვენებს **ვიდეოს.** რამდენჯერმე ასმენინებს სიმღერას და სთხოვს ბავშვებს, გამოყონ ერთი დამახასიათებელი მოტივი, გაიმღერონ და აჰყვნენ ტაშით. გამოხატონ ცხენის მოძრაობა და ჩამოთვალონ ვიდეოში ნაჩვენები ცხოველები. შემდგომ ეს პატარა მელოდია დავყოთ ოთხ ნაწილად. შევიტანოთ LMMS-ში და თითოეული მონაკვეთი მივუსადაგოთ გრაფაში მოცემულ ფერებს. ფერები, ანუ „სემპლები“ – ხმები, ავურიოთ და ვთხოვოთ ბავშვებს, დაალაგონ ფერები სიმღერის ინტონაციის მიხედვით ისე, რომ მივიღოთ ნასწავლი სიმღერის პატარა მოტივი. ბავშვები მღერიან ფერებად დალაგებული სიმღერის პატარა მოტივებს. მათ უნდა გაიაზრონ, რომ ამ პატარა მოტივების ნაკრები წარმოადგენს მელოდიას – სიმღერას.

**მეთოდური მითითება:** ასეთი აქტივობა **LMMS**-ში შეგვიძლია გავაკეთოთ სხვა ხალხურ საბავშვო სიმღერებზეც, აგრეთვე, ნებისმიერ საბავშვო სიღერაზე. გაკვეთილის ბოლოს, მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს **ფერადოვან ვიდეოკლიპებს**, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის საბავშვო ხალხურ სიმღერებზეა გადაღებული: **„The Animal Boogie“, „The Farmyard Jamboree“, „A mi Burro“, „Kuckuck rufts aus dem Wald“, „Summ, summ, summ“, „Alle meine Entchen“**.

მასწავლებელი ამ ვიდეოების ჩვენებას გადაანაწილებს რამდენიმე გაკვეთილზე.

# Ding dong Bell

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ, იო-იო-იო** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** ამ სავარჯიშოებს უკვე მუსიკალურად ვასრულებთ ნოტების გამღერებით – სიმღერები ცხოველებზე. **როდესაც ბავშვები კარგად გაითავისებენ ამ მოტივებს, ჰყვებიან „დასარტყამი საკრავებით“,** რაც ძალზე ხალისიანს ხდის ამ აქტივობებს.







**Ding dong Bell** – მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს **ვიდეოს** ფისოზე. ეს არის ინგლისური ხალხური სიმღერა – Ding dong Bell. ფისოს ბოროტი ბიჭი ჯონი ჩააგდებს ჭაში, ხოლო ტომი გადაარჩენს, ამოიყვანს ჭიდან და დაუმეგობრდება მას. ამ სიმღერას ბავშვები ასრულებენ **„მინუს“ ფონოგრამაზე** (იხ. ელექტრონული რესურსი).



**მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS**



**აქტივობა 12:** ამ აქტივობაში მოცემულია სიმღერის პატარა მოტივი, რომელიც ოთხ ნაწილადაა დაყოფილი. სიმღერის ნაწილები ბავშვებმა უნდა ააჟღერონ დაააწყონ სიმღერის მოტივი. ნიმუში მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.

# Dind-Dong Bell

ინგლისური ხალხური სიმღერა






Ding, dong, bell,
Pussy's in the well!
Who put her in?—
Little Tommy Lin.
Who pulled her out?—
Litte Johnny Stout.
What a naughty boy was that
To try to drown poor pussy cat,
Who never did any harm,
But killed the mice in his father's barn.

**მუსიკალური განტვირთვა:** ბავშვები უსმენენ **ვ.ა. მოცარტის „ღამის პატარა სერენადის“** IV ნაწილს და „დირიჟორობენ“.

# გარე სამყარო მუსიკაში

**თემა: ცხოველები მუსიკაში**

**მიზანი:** ცხოველის/ფრინველის გარეგნობის, ხმისა და მოძრაობის ასახვა ხმით, მოტივით. ხმისა და მოტივის ჩაწერა, მუსიკალური კოლაჟის შექმნა, სიმღერების შესწავლა და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება.
**მისაღწევი შედეგები:** მუს.დაწყ.(I)1,2; მუს.დაწყ.(I)4,5,6; მუს.დაწყ.(I)3

## მუსიკალური კოლაჟი – 2

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ, იო-იო-იო**. ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** ამ სავარჯიშოებს უკვე ვასრულებთ ნოტების დასახელებით იქმნება პატარა მოტივები – სიმღერები ცხოველებზე. **როდესაც ბავშვები კარგად გაითავისებენ ამ მოტივებს, ჰყვებიან „დასარტყამი საკრავებით“, რაც ძალზე ხალისიანს ხდის ამ აქტივობებს.**







### მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა
### LMMS



**აქტივობა 13:** ამ აქტივობაში მოცემულია სამი ფოტო და სამი ტრეკი: ბავშვმა უნდა მოისმინოს და დაადგინოს რომელი ტრეკი შეესაბამება ფოტოზე ასახულ მოქმედებას. კატა ეპარება თაგვს, თაგვი გარბის, ხმაურზე ფრინველები მიფრინავენ. თქვენ შეგიძლიათ ტრეკები დაალაგოთ ფოტოზე მოცემული მოქმედებების მიხედვით და შექმნათ მუსიკალური კოლაჟი. მოტივებით მოყევით პატარა ისტორია. ნიმუში აუდიო ფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.





# არფა

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.



**არფა** – ამ საკრავს ბავშვებს ფერია დრაჟე გააცნობს. მასწავლებელი ასმენინებს **ფერია დრაჟეს** ცეკვას **პ. ჩაიკოვსკის ბალეტიდან „მაკნატუნა“** და სთხოვს, გაიხსენონ:

– ვინ ცეკვავს ამ მუსიკაზე?

– ფერია დრაჟე, – უპასუხებენ ბავშვები. სწორედ ფერია დრაჟე მიიწვია ჩვენმა პატარა დირიჟორმა თავის სიმფონიურ ორკესტრში არფაზე დამკვრელად, თვითონ კი რეპეტიციაზე წავიდა. ერთ-ერთ სკოლაში ბავშვებმა საბავშვო სიმფონიური ორკესტრი ჩამოაყალიბეს და დირიჟორს დახმარება სთხოვეს, ისიც არ დაზარდა, ასწავლის, დირიჟორობს და საინტერესო მუსიკალურ ნაწარმოებებს ურჩევს.

პატარა დირიჟორი ბავშვებს განუმარტავს: ორკესტრი ეწოდება მუსიკოსთა დიდ ჯგუფს, რომლებიც სხვადასხვა საკრავებზე ერთდროულად უკრავენ, ორკესტრის შეხმატკბილებული ჟღერადობა კი მის ხელმძღვანელზე – დირიჟორზეა – დამოკიდებული. სწორედ დირიჟორის ჯოხის მოძრაობით „ცოცხლდება“ მუსიკა.

**მუსიკის ფონზე – პ. ჩაიკოვსკი – „ფერია დრაჟეს ცეკვა“ – ფერია დრაჟე ბავშვებს უყვება:**



**...ბავშვებო, არფა უძველესი სიმებიანი საკრავია. მასზე ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე სამი ათასი წლის წინათ, ეგვიპტესა და ბაბილონში უკრავდნენ, შუა საუკუნეებში კი არფა ტრუბადურების – ფრანგი მოხეტიალე მუსიკოსების – საყვარელი საკრავი გახდა. დადიოდნენ ტრუბადურები საფრანგეთის სოფლებსა და ქალაქებში, უკრავდნენ არფაზე და უმღეროდნენ ბუნების მშვენიერებას, სიკეთეს, სიყვარულს. მუსიკასა და ლექსებს – „კუპლეტებს“ – თვითონვე თხზავდნენ. ფრანგული სიტყვა „ტრუბადურიც“ შექმნას, თხზვას, გამოგონებას ნიშნავს.**

**დროთა განმავლობაში, საკრავი დაიხვეწა, განვითარდა და სრულყოფილი გახდა: ფორმით მოგვაგონებს დიდ სამკუთხედს, რომელზეც 47 სიმია გაბმული. მას ჰაეროვანი და გამჭვირვალე ხმოვანება აქვს. ამაში თვითონ დარწმუნდებით. მე შეგისრულებთ ნაწყვეტს „მაკნატუნადან“.**

სიმფონიური ორკესტრი



**მუსიკალური განტვირთვა: პ. ჩაიკოვსკი – ბალეტი „მაკნატუნა“ – „ყვავილების ვალსი“.** ბავშვები უსმენენ მუსიკას და ასრულებენ ნახატს – არფა. სწორი ხაზებით შეავსებენ არფის კონტურს და გააფერადებენ. მასწავლებელი ბავშვებს ურიგებს ფურცლებს.

## ლექსიკონი

**კუპლეტი** – ფრანგული სიტყვაა და ლექსის, სიმღერის სტროფს ნიშნავს
**სტროფი** – ოთხტაეპიანი (ოთხსტრიქონიანი) ლექსი
**რეპეტიცია** – ფრანგული სიტყვაა და განმეორებას ნიშნავს

## არფა



რამდენი სიმი აქვს არფას?

# მუსიკალური კოლაჟი – 3

**შემაჯამებელი გაკვეთილი**

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ, იო-იო-იო** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** ამ სავარჯიშოებს უკვე ვასრულებთ ნოტების გამღერებით. იქმნება პატარა მოტივები – სიმღერები ცხოველებზე. **როდესაც ბავშვები კარგად გაითავისებენ ამ მოტივებს, ჰყვებიან „დასარტყამი საკრავებით“, რაც ძალზე ხალისიანს ხდის ამ აქტივობიბს.**







---

**აქტივობა:** მასწავლებელი ასმენინებს კლასს **კ. სენ-სანსის „აკვარიუმს“**, ისე რომ არ ეუბნება ნაწარმოების დასახელებას. ბავშვები მუსიკას თვალდახუჭულნი უსმენენ. შემდეგ გამოთქვამენ თავიანთ შთაბეჭდილებებსა და ასოციაციებს.

1. რა განწყობას გიქმნით ნაწარმოები?
2. თქვენი აზრით, რას მოგვითხრობს ეს ნაწარმოები?

ბავშვები გამოთქვამენ თავიანთ ვარაუდებს. რა თქმა უნდა, ყველას აზრი იქნება განსხვავებული. განიხილავენ თითოეულ მოსაზრებას და ცდილობენ გამოიცნონ, რაზეა ეს ნაწარმოები.

1. როგორ აქვს კომპოზიტორს გადმოცემული და აღწერილი წყალქვეშა სამყარო და მისი ბინადრების ხასიათი?
2. როგორია მუსიკა – სევდიანი, მხიარული თუ ზღაპრული?



მეორედ მოსმენის შემდეგ ბავშვები თავიანთ განწყობას გადმოსცემენ პიქტოგრამებით.

**სიმღერების განმეორება:** „**Dind-Dong Bell**“, „თეთრი ჩოჩორი“, „ბროლია და ფისო“, „მოდი ვნახოთ ვენახი“ „დილა მშვიდობისა“.

ბავშვები ამ სიმღერებს ჰყვებიან „დასარტყამი საკრავების ორკესტრით“.





**მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა**
# LMMS



**ინტონაციური ფაზლი:**

**აქტივობა 14:** ამ აქტივობაში მოცემულია ოთხი ტრეკი: მუსიკალური მონახაზები და ეფექტები. აღწერილია მოქმედება: თაგვი იმალება, ანტილოპა შეხტა, ანტილოპა გარბის, თაგვი გარბის. ბავშვმა უნდა მოისმინოს და დაადგინოს რომელი ტრეკი შეესაბამება ფოტოზე არსებულ მოქმედებას. თქვენ შეგიძლიათ ტრეკები დაალაგოთ ფოტოზე მოცემული მოქმედებების მიხედვით და ინტონაციებით მოვყვეთ ამბავს. ნიმუში აუდიო ფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.









# გოგო-ანას სიმღერა

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ, იო-იო-იო** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** ამ სავარჯიშოებს უკვე მუსიკალურად ვასრულებთ ნოტების გამღერებით – სიმღერები ცხოველებზე. **როდესაც ბავშვები კარგად გაითავისებენ ამ მოტივებს, ჰყვებიან „დასარტყამი საკრავებით“,** რაც ძალზე ხალისიანს ხდის ამ აქტივობებს.







**ახალი სიმღერის შესწავლა: იაკობ ბობიხიძე – „გოგო-ანა“.**

...პატარა ანას პირის დაბანა არ უყვარდა და სულ მოთხუპნული დადიოდა. გოგო-ანა ბებო ანამ ცივ წყაროზე ჩაიყვანა – საპნითა და სახეხით „ხელი ბანა, პირი ბანა“.

**I სოლისტი:**
გოგო-ანა ბებო ანამ
ცივ წყაროზე ჩაიყვანა.
**გუნდი:**
გოგო-ანა ბებო ანამ
ცივ წყაროზე ჩაიყვანა.
**II სოლისტი:**
რვა საპნით და რვა სახეხით
ხელი ბანა, პირი ბანა.
**გუნდი:**
რვა საპნით და რვა სახეხით
ხელი ბანა, პირი ბანა.
**III სოლისტი:**
როგორ ფიქრობთ, როგორ ფიქრობთ,
ეყო განა? ეყო განა?



**გუნდი:**
როგორ ფიქრობთ, როგორ ფიქრობთ,
ეყო განა? ეყო განა?
**IV სოლისტი:**
ვინ ყოფილა ამისთანა
მოთხუპნული გოგო-ანა
**გუნდი:**
ვინ ყოფილა ამისთანა
მოთხუპნული გოგო-ანა.
(ბოლოსთვის:)
მოთხუპნული გოგო-ანანო...
ბავშვები ფონოგრამის დახმარებით სწავლობენ სიმღერას.

**მეთოდური მითითება:** სიმღერის შესრულებაში ჩაბმულია მთელი კლასი: სოლისტები იცვლებიან, გუნდი აყვება მისამღერში. სიმღერა სრულდება „მინუს“ ფონოგრამაზე.

**მუსიკალური განტვირთვა: ჟორჟ ბიზე, ოპერა „კარმენის“ უვერტიურა**. გაკვეთილის ბოლოს ბავშვები უსმენენ მუსიკას და „დირიჟორობანას“ თამაშობენ.

# გოგო ანა

**მუსიკა იაკობ ბობოხიძისა**








**გაიმღერე და დაითვალე, რამდენი ბგერისგან შედგება მოტივი.**



# ორფეოსი და სირინოზები

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ, იო-იო-იო** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** ამ სავარჯიშოებს უკვე მუსიკალურად ვასრულებთ ნოტების გამღერებით – სიმღერები ცხოველებზე. **როდესაც ბავშვები კარგად გაითავისებენ ამ მოტივებს, ჰყვებიან „დასარტყამი საკრავებით“, რაც ძალზე ხალისიანს ხდის ამ აქტივობებს.**







**მუსიკის ფონზე:** – ვ. კახიძე „მთვარის ცეკვა“ მასწავლებელი ბავშვებს უკითხავს უძველეს ლეგენდას:



**ძალიან დიდი ხნის წინ, სამეგრელოს მიწაზე კოლხეთის დიდებული სამეფო არსებობდა, რომელიც ყველაზე მდიდარი და სახელგანთქმული მეფე აიეტის დროს ყოფილა.**

**ოქროთი მდიდარ კოლხეთს „ოქროს საწმისი“ განასახიერებდა: მდინარეებს დიდი რაოდენობით ჩამოჰქონდა ოქროს ქვიშა. კოლხები ცხვრის ტყავებს მდინარეში აფენდნენ და ტყავს ოქრო ამოჰყვებოდა. ოქროს პატარა ფირფიტებზე კოლხები ქვეყნების, ზღვებისა და მათზე ხმელეთის საზღვრებს გამოსახავდნენ – რუკებს ამზადებდნენ...**

**ერთხელ ხომალდ „არგოთი“ „ოქროს საწმისის“ ხელში ჩასაგდებად მამაცი ბერძენი უფლისწული კოლხეთში გამოეშურა. „არგოს“ მეზღვაურებს არგონავტები ერქვათ. საბერძნეთიდან კოლხეთამდე დიდი გზა იყო. მათ უამრავი წინააღმდეგობა და ხიფათი გადახდათ თავს.**

**არგონავტებს შორის გამოირჩეოდა ყმაწვილი, სახელად ორფეოსი, რომელიც უძველეს სიმებიან საკრავზე – ქნარზე უკრავდა და მღეროდა. მის სიმღერას მომაჯადოებელი ძალა ჰქონდა. არგონავტებს სირინოზე-**

**ბის კუნძულთან უნდა გაევლოთ. სირინოზები დიდი ლამაზი ჩიტები იყვნენ ქალის თავებით, რომლებიც მეზღვაურებს თავიანთი სიმღერით იტყუებდნენ და ხომალდიანად ზღვის ფსკერზე ძირავდნენ. როგორც კი არგონავტები სირინოზების კუნძულს მიუახლოვდნენ, ორფეოსმა ქნარზე დაუკრა, დაამღერა და მოხდა სასწაული: სირინოზები დაატყვევა ორფეოსის სიმღერამ და არგონავტებიც სიკვდილს გადაურჩნენ... აი, ასეთი ძალა აქვს სიმღერას.**



**ქნარი**



**არფა**



**ჩანგი**



დავით მეფსალმუნე. ფრესკა

**მეთოდური მითითება:** მასწავლებელი ბავშვებს შეახსენებს ჩანგს, არფას და პარალელს ავლებს ორფეოსის ქნართან. ქნარის წინამორბედი ფსალმუნია. მასზე უკრავდნენ და ამღერებდნენ რელიგიურ-ლირიკული ხასიათის ჰიმნებს. შემდეგ საკრავის სახელი საქებარ ჰიმნებს დაერქვა. ფსალმუნსა და ქნარს ჩვენამდე არ მოუღწევია, მისი გამოსახულება უძველეს თიხის ჭურჭელზე, ფრესკებსა და გრავიურებზე შემორჩა. დღეს ქნარი, ანუ ლირა, ხელოვნებისა და მუსიკის სიმბოლოა.

**ინფორმაცია: ფსალმუნები** (ძველბერძნულად – საქებარი სიმღერა) რელიგიური ლირიკული ხასიათის ჰიმნები, რომლებიც სრულდებოდა ღვთისმსახურების შემდეგ იერუსალიმის ძველ ტაძარში. 150 ასეთი სიმღერა (ფსალმუნი) შესულია ქრისტიანულ და იუდეურ კანონიკურ წიგნებში. ფსალმუნების ავტორობა ძირითადად მეფე დავითს (X ს-ის დასასრული, დაახლოებით 950 წ. ჩვ. წ.-აღ-მდე) მიეწერება. ქართულად ფსალმუნების კრებულს „დავითნი" ეწოდება.



## ლექსიკონი

**სირინოზი** – ზღვის ნიმფა, რომელიც თავისი სიმღერით ხიბლავდა და ღუპავდა მეზღვაურებს; წარმოდგენილი ჰყავდათ თევზისბოლოიანი ქალის ან ქალისთავიანი ფრინველის სახით.
**ნიმფა** – ბერძნულ მითოლოგიაში მეორეხარისხოვანი ქალღმერთი, რომელიც ბუნების ამა თუ იმ ძალას განასახიერებს.
**გრავიურა** – ქიმიური საშუალებით ლითონზე, ხეზე, ქვასა და მინაზე ნახატის ან წარწერის ამოჭრა.
**ფრესკა** – (იტალიურად) წყლის საღებავებით დახატული სურათი კედელზე ან ჭერზე.

**მეთოდური მითითება:** მუსიკის ფონზე მოთხრობებისა და ლეგენდების წაკითხვა – ამ აქტივობებით ბავშვებს ვაჩვევთ და ვამზადებთ მაღალი კლასებისთვის, სადაც სტანდარტის მიხედვით უკვე მოცემულია ახალი უნარ-ჩვევების განვითარება: ლიტერატურული ნაწარმოების მუსიკალურად გაფორმება.

## მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS



**ინტონაციური ფაზლი:**

**აქტივობა 15:** ამ აქტივობაში მოცემულია ოთხი ტრეკი: მუსიკალური მონახაზები და ეფექტები. მოცემული მოქმედებები: ძაღლი ყეფს, კატა გარბის, კურდღელი გარბის, იხვები აფრინდებიან. ბავშვმა უნდა მოისმინოს და დაადგინოს, რომელი ტრეკი შეესაბამება ფოტოზე არსებულ მოქმედებას და ინტონაციებით მოყვეს პატარა ისტორიას. ნიმუში აუდიო ფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.









# ორმოში ფეტვი ჩავყარე

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ, იო-იო-იო** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** ამ სავარჯიშოებს უკვე მუსიკალურად ვასრულებთ ნოტების გამღერებით – სიმღერები ცხოველებზე. **როდესაც ბავშვები კარგად გაითავისებენ ამ მოტივებს, ჰყვებიან „დასარტყამი საკრავებით“,** რაც ძალზე ხალისიანს ხდის ამ აქტივობებს.









**მოვიარე სიმღერით...**
ლიხის ქედი გადმოვლახე და ქართლში გადმოვედი, ჯვარი და სვეტიცხოველი მოვინახულე. მთიულეთი, ხევი, ხევსურეთი, ფშავი და თუშეთი შემოვიარე, ცხენითაც კარგად ვიჯირითე და ფანდურზე დაკვრაც ვისწავლე... კახეთში რთველში ვიყავი – ყურძენი დავწურეთ და ღვინო დავაყენეთ.

**ახალი სიმღერის შესწავლა: „ორმოში ფეტვი ჩავყარე“** – ქართლური საფერხულო სიმღერა. ბავშვები ჰყვებიან ჩანაწერს და „მამლი მუხას" მსგავსად, ფერხულით ასრულებენ. შეიძლება, მასწავლებელმა ბანიც „შეაპაროს“.

**დირლი დალალი, დალალე,**
**დირლი დალალეო,**
**ორმოში ფეტვი ჩავყარე შესანახადაო.**

**დირლი დალალი, დალალე,**
**დირლი დალალეო,**
**ორმოდან ამოვყარე გასაშრობადაო.**

**დირლი დალალი, დალალე,**
**დირლი დალალეო,**
**ორმოში წყალი ჩასულა დასალპობადაო.**

**დირლი დალალი, დალალე,**
**დირლი დალალეო,**
**ჩიტი ღობეზე შემოჯდა ასაკენკადაო.**

**დირლი დალალი, დალალე,**
**დირლი დალალეო,**
**ჩიტსა სახრე წამოუსვი დასაფრთხობადაო.**

**დირლი დალალი, დალალე,**
**დირლი დალალეო,**
**ჩიტი ბატონთან გაიქცა საჩივლელადაო.**

**დირლი დალალი, დალალე,**
**დირლი დალალეო,**
**ჩიტმა კაცი მოიყვანა დასარბევადაო.**

**დირლი დალალი, დალალე,**
**დირლი დალალეო,**
**იმან სრულიად წამართვა, რაც რამ მებადაო.**

**დირლი დალალი, დალალე,**
**დირლი დალალეო,**
**ნეტაი ჩიტს აეკენკა, შენ გენაცვალეო.**





**I love Sixpence**

**მეთოდური მითითება:** სასურველია, მასწავლებელმა ბავშვებს ყურადღება გაამახვილებინოს სიმღერის შინაარსზე და სთხოვოს აზრის გამოხატვა:

– როგორი კაცია ფეტვის პატრონი?

– რა მოხდებოდა, ფეტვის პატრონს ჩიტისათვის სახრე რომ არ მოექნია?

მასწავლებელს შეუძლია, ბავშვებს სულხან-საბას არაკი „ძუნწი და ოქრო“ უამბოს.

ბავშვები სიმღერას ასრულებენ ინსცენირებით, მოძრაობით. შესაძლებელია ფერხულის ჩაბმაც.

**ანდაზა:** ძუნწს მეტი ეხარჯებაო.

**მუსიკალური განტვირთვა: ა. ვივალდი – „წელიწადის დრონი“ – „შემოდგომა“.** გაკვეთილის ბოლოს ბავშვები მუსიკას თვალდახუჭული უსმენენ (რელაქსაცია).

## მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS



**აქტივობა16:** ამ აქტივობაში მოცემულია სიმღერის **I love Sixpence** პატარა მონაკვეთი, რომელიც დაყოფილია ოთხ პატარა ნაწილად. სიმღერის ნაწილები ბავშვებმა უნდა დაალაგონ სწორი თანმიმდევრობით. ნიმუში მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.

**მეთოდური მითითება:** მასწავლებელი ახსენებს ბავშვებს I კლასში მოსმენილ სიმღერას **I love Sixpence** და უჩვენებს **ვიდეოს.** ეს სიმღერაც თავისი ფორმითა და შინაარსით მსგავსია სიმღერებისა **„ორმოში ფეტვი ჩავყარე“, „ჩიტის ნალი მიპოვნია“**, სადაც გადმოცემულია სხვადასხვა ქმედება. ბავშვები გაიმღერებენ სიმღერის მოტივს და LMMS პროგრამაში დაშლილი მონაკვეთებისგანააწყობენ სიმღერის ინტონაციას.

# ორმოში ფეტვი ჩავყარე

ქართლური










# წითელქუდა

## თოჯინების თეატრი

### შემაჯამებელი გაკვეთილი

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ, იო-იო-იო** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** ამ სავარჯიშოებს უკვე მუსიკალურად ვასრულებთ ნოტების გამღერებით – სიმღერები ცხოველებზე. **როდესაც ბავშვები კარგად გაითავისებენ ამ მოტივებს, ჰყვებიან „დასარტყამი საკრავებით“,** რაც ძალზე ხალისიანს ხდის ამ აქტივობებს.







**წითელქუდა:**



პატარა დირიჟორმა კლასში ძალიან ლამაზი, ფერადნახატებიანი წიგნი შემოიტანა და კითხვა დაიწყო:

– იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი პატარა გოგო, რომელსაც ბებიამ წითელი ქუდი აჩუქა და ამიტომ წითელქუდა შეარქვეს.

ერთხელაც ბებია ავად გახდა და დედიკომ...

– წითელქუდა, წითელქუდა! ჩვენ ვიცით ეს ზღაპარი, ძალიან კარგად გვახსოვს. – შეაწყვეტინეს ბავშვებმა კითხვა.

– რა თქმა უნდა გახსოვთ, წითელქუდას ზღაპარი მსოფლიოს ნებისმიერმა ბავშვმა იცის! მე იმიტომ გაგახსენეთ, რომ კლასში თოჯინები უნდა დავამზადოთ და თოჯინური სპექტაკლი დავდგათ.

გაოცებულმა ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს.

– ნუ გეშინიათ, ნახეთ, რა ადვილია! გადაშალეთ თქვენი წიგნები და მონახეთ ზღაპრის პერსონაჟები: წითელქუდა, მგელი, ბებია, დედა, ტყის მცველი... სახლში კი ფერადი ნახატები – ზღაპრის გმირები – მუყაოზე დააწებეთ და ლამაზად შემოჭერით, შემდეგ ფანქარი ან პა-

ტარა ჯოხი უკან მიაკარით, გაუკეთეთ ხელის მოსაკიდებელი, რომ ადვილად ათამაშოთ და... თოჯინებიც მზად გვექნება.

თოჯინების თეატრში ყველა მონაწილეობთ. ახლა წითელქუდას სიმღერა მოვისმინოთ და შევისწავლოთ. ქართველმა კომპოზიტორმა **ვანო გოკიელმა** შარლ პეროს ამ ზღაპრის მიხედვით საბავშვო **ოპერა „წითელქუდა“** დაწერა. ჩვენი თეატრისათვის ოპერის მუსიკას გამოვიყენებთ და სპექტკლსაც დავდგამთ.

**– რა არის ოპერა? – იკითხეს ბავშვებმა – ოპერა მუსიკალური თეატრია, სადაც ზღაპარი, ამბავი სიმღერით გადმოიცემა. გახსოვთ ბალეტი? – ბალეტში მხოლოდ ცეკვა და მოძრაობაა. ოპერისათვის ამბავი სპეციალურად იწერება – ილექსება – და შემდეგ კომპოზიტორი წერს მუსიკას, რომელსაც ოპერის მომღერლები ასრულებენ. ოპერის ყველა გმირი თავის სიმღერას – არიას – მღერის... გარდა ამისა, ოპერაში აუცილებელია გუნდი, ანსამბლები, ცეკვები.**

– მეორე დღეს ბავშვებმა თავიანთი ხელით დამზადებული პერსონაჟები მოიტანეს.

დირიჟორმა კლასში ორი სკამი შემოიტანა, ერთად დადგა, ზედ ფერადი ნაჭერი გადააფარა და „სცენა“ გაამზადა. ბავშვებმა როლები გაინაწილეს, მუსიკა ჩართეს და... კლასიდან ბავშვების ჟრიამული და სიმღერის ხმა დიდხანს გამოდიოდა.

ბავშვებო, თქვენც შეგიძლიათ, თქვენს კლასში მოაწყოთ თოჯინების თეატრი!

**მეთოდური მითითება:** გაკვეთილის ასეთი ფორმა ხელს უწყობს ბავშვებში ფანტაზიის, შემოქმედებითი ნიჭის, არტისტული ბუნების გაღვიძებას, სიკეთის, სილამაზის, სიყვარულის აღქმას. ბავშვებს უჩნდებათ სურვილი რაიმე ახლის შექმნისა, კეთებისა... თეატრალური წარმოდგენა, რომელშიც თვითონ მონაწილეობენ, დადებით ემოციას იწვევს და ხდება თვითგანტვირთვა (რელაქსაცია). ბავშვები მღერიან, ცეკვავენ, მსახიობობენ, ხატავენ, თოჯინებს ამზადებენ და თამაშობენ.

„წითელი ქუდი მახურავს,
წითელი კაბა მაცვია,
ბებიკოს მოქსოვილია,
ბებიკოს ნაჩუქარია“.



## ინფორმაციისათვის

იტალიურად „ოპერა“ ნაწარმოებს ნიშნავს.

XVI–XVII საუკუნეები ოპერის წარმოშობის ხანაა. მისი სამშობლო იტალია, ქალაქი ფლორენციაა. პირველი ოპერების ავტორები იყვნენ ჯაკომო პერი, ჯულიო კაჩინი, კლაუდიო მონტევერდი და სხვები. მათ სურდათ აეღორძინებინათ ძველი ბერძნული თეატრი, რადგან ანტიკური ტრაგედია მიაჩნდათ მუსიკის, დრამისა და პოეზიის იდეალურ სინთეზად. თავიანთ ქმნილებებს ისინი უწოდებდნენ „დრამას მუსიკით“, რითაც საფუძველი ჩაუყარეს ახალ მუსიკალურ ჟანრს – ოპერას. 1594 წელს ჯაკომო პერიმ და ოტავიო რინუჩინიმ დაწერეს პირველი საოპერო ნაწარმოები „დაფნა“, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. 1600 წელს პერი რინუჩინისავე ტექსტზე წერს ახალ ოპერას – „ევრიდიკე“. მას საფუძვლად დაედო ანტიკური მითი ორფეოსზე, რომელმაც დაკარგა თავისი მეუღლე ევრიდიკე და სიყვარულისა და თავისი ხელოვნების წყალობით კვლავ დაიბრუნა: ორფეოსი ჩავიდა ქვესკნელში, ქნარზე დაკვრითა და სიმღერით მოაჯადოვა ბოროტი სულები – ფურიები – და გაათავისუფლა ევრიდიკე.

შემდეგ საოპერო ხელოვნების მსოფლიო მნიშვნელობის ნიმუშები შექმნეს ვ.ა. მოცარტმა, ჯ. როსინიმ, ჯ. ვერდიმ, პ. ჩაიკოვსკიმ, ჯ. პუჩინიმ. საქართველოში – ზ. ფალიაშვილმა, ვ. დოლიძემ, ო. თაქთაქიშვილმა, რ. ლაღიძემ...

ტრადიციულად ყველა ქვეყანაში ოპერა იტალიურ ენაზე იწერებოდა. მოცარტმა ეს ტრადიცია დაარღვია და ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა“ გერმანულად ააჟღერა.

## მუსიკალური ლექსიკონი

**ოპერა** – 1. თეატრი, სადაც მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები იდგმება. 2. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, რომელშიც ერთმანეთს ეხამება ვოკალური (სოლო, გუნდი, ანსამბლი) და ინსტრუმენტული მუსიკა, ცეკვა, მხატვრობა, სცენოგრაფია.

**არია** – იტალიურად ჰაერს, ქარს ნიშნავს, ოპერაში კი, სოლო სიმღერას.

გაამრავლეთ და დაურიგეთ ბავშვებს თოჯინების დასამზადებლად













# გარე სამყარო მუსიკაში

ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ – 34-35

**თემა: ბუნებრივი მოვლენები მუსიკაში**

**მიზანი:** მუსიკალური ინტონაციით და მუსიკალური ენის ელემენტებით (რიტმი, ტემპი) ბუნების მოვლენების გადმოცემა, ამოცნობა, ჩაწერა. მუსნების მოვლენების ამსახველი ხმებითა და მოტივებით კოლაჟის შექმნა. სიმღერების შესწავლა და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება.

**მისაღწევი შედეგები:** მუს.დაწყ.(I)1,2; მუს.დაწყ.(I)4,5,6; მუს.დაწყ.(I)3

## მოუსმინე სამყაროს ყურით!

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით. ამ აქტივობის შესრულებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნაცნობი ფრინველების ინტონაციები დაფუძნებული ცალკეულ მარცვლებზე, მაგ.: **წიპ-წიპ, კო-კო-კო, ყიყ-ლი-ყოო, გუ-გუ-გუ-გუ, იო-იო-იო** და ამ პატარა მოტივების გამღერებით შეასრულონ რიტმული მოთელვა.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** ამ სავარჯიშოებს უკვე მუსიკალურად ვასრულებთ ნოტების გამღერებით – სიმღერები ცხოველებზე. **როდესაც ბავშვები კარგად გაითავისებენ ამ მოტივებს, ჰყვებიან „დასარტყამი საკრავებით“,** **რაც ძალზე ხალისიანს ხდის ამ აქტივობებს.**




**ბუნების მოვლენები**

თუ ოლივიე მესიანი ტყეში გადიოდა, ფრინველთა ჭიკჭიკს, გალობას უსმენდა და ისე ქმნიდა ეგზოტიკურ მუსიკას, სხვა კომპოზიტორები თავიანთ ნაწარმოებებში იყენებდნენ ბუნების მოვლენების: ქარის, ჭექა-ქუხილის, წვიმის, ზღვის ტალღების, ქარიშხლის ხმებს. ბუნების ამ მოვლენებს კომპოზიტორები უძღვნიან თავიანთ ნაწარმოებებს, სადაც სხვადასხვა ხმა-ბგერითი ხერხით ახდენენ მუსიკალურ იმიტაციას.



მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ხმით მიბაძონ ქარს და ყურადღება მიაქციონ ხმის მოძრაობას, რომელიც შეიძლება გრაფიკული ხაზით გამოისახოს (ნიმუში).

1. როგორი ხასიათისაა ქარიშხლის ხმა – ბოროტი თუ კეთილი?
2. რომელი საგან-საკრავით გამოსახავდით ქარის ღმუილს? (მასწავლებელი ახსენებს სავარცხელს და ქაღალდს, რომლებიც ბავშვებმა პირველ კლასში ააჟღერეს.) ბავშვები სავარცხლითა და ფურცლით ქარის ხმას ბაძავენ.

მასწავლებელი ასმენინებს **მ. მუსორგსკის სიმფონიურ სურათს „ღამე შიშველ მთაზე“** და სთხოვს ბავშვებს, ამოიცნონ ქარის ღმუილის ინტონაციები და გრაფიკული ხაზით გამოსახონ ქარის მოძრაობა.

# ქარის მოძრაობის გრაფიკული ნიმუშები



**ახალი სიმღერის შესწავლა: „ფიფქის სიმღერა“.**

საახალწლოდ, ბავშვებთან სათამაშოდ და ახალი წლის მოსალოცად ციდან ფიფქები ცვივა. ისინი თოვლის ბაბუას ასწრებენ მოსვლას. თოვს და მთა-ბარი თეთრად იმოსება, თითქოს ვიღაცამ დიდი ფუნჯი აილო და მთელი გარემო თეთრად მოხატაო. პაწაწინა ფიფქიც ჩამოვიდა ბავშვებთან და ახალი სიმღერა უმღერა:



**მე ვარ ფიფქი, ფიფქი,**
**ფიფქი პაწაწინა,**
**მოვალ, მომაქვს თქვენთვის**
**თეთრი თოვლი ციდან.**

**მისამღერი: გამარჯობა, ბავშვებო,**
**ლამაზებო, კარგებო,**
**მოდით, მოდით ჩემთან,**
**ვიცეკვოთ და ვიმღეროთ.**

**ნაძვის ხეო, ნაძვის ხე,**
**ანათე და აშუქე,**
**გაახარე ბავშვები,**
**სიხარული აჩუქე.**

მისამღერი: გამარჯობა, ბავშვებო…

ბავშვები რამდენიმეჯერ ისმენენ სიმღერის ფონოგრამას და ჰყვებიან; თავიანთ რვეულებში ფიფქებს აფერადებენ.

**მუსიკალური განტვირთვა: ვიქტორ დოლიძე — ცეკვა „ქართული“ ოპერიდან „ქეთო და კოტე“.**

ბავშვები ცეკვავენ და მხიარულობენ.

# ფიფქის სიმღერა

ტექსტი და მუსიკა
მაია ოთიაშვილისა

ზომიერად




**მეთოდური მითითება:** გაიმღერეთ სიმღერის დასაწყისი მოტივი და დაითვალეთ რამდენი ბგერისაგან შედგება.

# ჩიჩილაკი



**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.

მუსიკის ფონზე – **ჟ. ბიზე. ოპერა „კარმენის" მესამე აქტის შესავალი** – მასწავლებელი ბავშვებს უყვება ზღაპარს. შემდგომ სთხოვს ბავშვებს ხმით, „დასარტყამი საკრავებით" გაახმოვანონ და გადმოსცენ ზღაპრის შინაარსი. საშობაო დღესასწაულისათვის მასწავლებელს შეუძლია სცენარად გაწეროს ზღაპარი, გაანაწილოს პერსონაჟები, გააფორმოს მუსიკალურად და კლასში დადგან სპექტაკლი, ისევე, როგორც „სკოლობანა" დადგეს პირველ კლასში.

**„ჩიჩილაკი" – საშობაო ზღაპარი**

...იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. ერთ ტყეში შობის დილა თენდებოდა. მთელი ტყე თეთრად შემოსილიყო. ფიფქები ნაზად ეცემოდა მიწაზე. მყუდროებას ტყის ბინადართა ფუსფუსი არღვევდა – ფრინველები და ცხოველები შობის დღესასწაულისთვის ემზადებოდნენ. დედა კურდღელი თავის ბაჭიებით ერთ დიდებულ ნაძვთან გამოსულიყო და ყველას ხმამაღლა მოუწოდებდა: „არც ერთი მოჭრილი ნაძვი ჩვენს ტყეში! გავუფრთხილდეთ ჩვენს ტყეს, ჩვენს ბუნებას!" ირგვლივ თანდათან შემოიკრიბნენ დათვები, მელიები, ციყვები, მგლები, ირმები, კურდღლები, ოფოფები, ზღარბები, თხუნელები... თეთრი ჩოჩორიც მოვიდა თავის დედიკოსთან ერთად. ყველას ერთი საფიქრალი გასჩენოდა – რა ექნათ, ნაძვს თუ არ მოჭრიდნენ, ახალ წელს როგორ შეხვდებოდნენ, მათ ხომ ნაძვის ხე უნდა მოერთოთ და მის გარშემო საახალწლო ლხინი გაეჩაღებინათ?..

ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ ისევ დედა კურდღელმა ამოიღო ხმა: – ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ბებიისაგან გამიგია, იქ, დაბლა სოფელში, ერთი კეთილი კაცი ცხოვრობს – თედო პაპა, რომელიც თურმე ხისგან ჩონგურებს, ფანდურებს, დოლებს, სათამაშოებს და საშობაო ხესაც კი აკეთებს. რომელსაც ადამიანები „ჩიჩილაკს" უწოდებენ. წინათ ჩიჩილაკით ხვდებოდნენ ახალ წელს, მერე კი თანდათან დაივიწყეს და ნაძვის მოჭრა დაიწყეს. მოდით, ჩვენც თედო პაპას მივაკითხოთ, ერთი კარგი ჩიჩილაკი გაგვიკეთოს!

– რა კარგია, რა კარგი! – გაუხარდათ ტყის ბინადართ.

– დაიცათ, დამამთავრებინეთ, – შეაწყვეტინა დედა კურდღელმა, – შემდეგ ამ ჩიჩილაკს მოვრთავთ ვაშლებით, ჩირით, ჩურჩხელებით, სათამაშოებით, სანთლებით და ლამაზ საშობაო დღესასწაულს მოვაწყობთ!

– ჰო, მაგრამ ვინ გავაგზავნოთ თედო პაპასთან, ვინ მოგვიტანს ჩიჩილაკს, ჩვენ რომ გზა არ ვიცით?

– ვინ და ბაკუნა, ჩვენი თეთრი ჩოჩორი, – თქვა დათუნამ, – მან სოფლის გზაც იცის და თედო პაპასაც კარგად იცნობს!



გადაწყდა, ჩიჩილაკის მოსატანად ბაკუნა გაეგზავნათ. თეთრი ჩოჩორი სოფლის გზას გაუდგა. მიბაკუნობდა და თან თავის სიმღერას მიიმღეროდა.

მასწავლებელი: – ბავშვებო, ჩვენც ხომ ვიცით თეთრი ჩოჩორის სიმღერა, მოდით, მივეხმაროთ!

ბავშვები მასწავლებელთან ერთად მღერიან „თეთრ ჩოჩორს".

ასე, სიმღერ-სიმღერით მიადგა თეთრი ჩოჩორი თედო პაპას კარ-მიდამოს და გაოცდა: ეზო ჩიჩილაკებით იყო სავსე. ამ სილამაზით დაბნეულმა ბაკუნამ კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო. თედო პაპამ შენიშნა ჩოჩორი, თავისთან მოუხმო და ჰკითხა:

– საიდან მოხვედი, რა გაგჭირვებია, ბაკუნა?

ბაკუნამ ყველაფერი უამბო. თედო პაპამ მოიწონა ცხოველების გადაწყვეტილება, ამოურჩია ყველაზე დიდი და ლამაზი ჩიჩილაკი, გადაჰკიდა პატარა ჩოჩორს, გზა დაულოცა და თან საშობაო-საახალწლოდ გამომცხვარი „ბასილა-კვერებიც" გაატანა.

წამოვიდა ჩოჩორი, მაგრამ გზაში დაუღამდა და, აი, რა შეემთხვა: კუდიანმა ვარსკვლავებმა შეამჩნიეს ჩიჩილაკი და მისი მოტაცება განიზრახეს. მათაც უნდოდათ თურმე ნამდვილი საშობაო ზეიმის მოწყობა, მაგრამ ჩიჩილაკი არ ჰქონიათ.

– ხი-ხი-ხი, ხა-ხა-ხა, – ხითხითებდნენ ისინი, – ჩიჩილაკიც ჩვენი იქნება და ჩოჩორიც.

ვარსკვლავები დაეშვნენ ციდან, დასტაცეს ხელი თეთრ ჩოჩორს და ცაში აიტაცეს. ბევრი იყვირა ბაკუნამ, – მიშველეთ, მიშველეთო, – მისი ხმა ჰაერში დაიკარგა და თვითონაც გაუჩინარდა...

ტყეში ცხოველები გულისფანცქალით ელოდნენ ბაკუნას, ის კი არსად ჩანდა. შებინდებისასაც რომ არ გამოჩნდა, შეფიქრიანდნენ: „რა ვქნათ, სად მოვძებნოთ პატარა, ნეტავ მარტო არ გაგვეშვაო!"– ინანეს.

ამ საფიქრალში რომ იყვნენ, მოფრინდა ბუ და უამბო ღამის წყვდიდში ნანახი (ბავშვებო, ბუები ხომ მხოლოდ ღამით ხედავენ!). შეწუხდნენ ტყის ბინადარნი.

– ახლა რა ვქნათ, როგორ გადავარჩინოთ ჩოჩორი?

– რა ვქნათ, რა გვეშველება, – ბურდღუნებდა დედა დათვი, – აქედან როგორ მოვერიოთ კუდიან ვარსკვლავებს?

– როგორ და ჭკუით და მოხერხებით! – თქვა ისევ დედა კურდღელმა, – ბებიამ ერთი საოცარი სიმღერა იცოდა: როცა ავად გავხდებოდი ან არ ვიძინებდი, ამ სიმღერას მიმღეროდა. მოდი, ჩვენც ვუმღეროთ კუდიან ვარსკვლავებს, იქნებ ჩაეძინოთ და ბაკუნას ხელი გაუშვან.



– „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო", – ეშმაკურად ჩაიღიმა მელაკუდამ.

– რა ჰქვია ამ სიმღერას? – იკითხეს ცხოველებმა

– რა და „იავნანა"!

– გვასწავლე, დედა კურდღელო! – სთხოვეს ცხოველებმა.

დედა კურდღელმა სიმღერა დაიწყო. თანდათან ყველა აჰყვა....

მასწავლებელი: ბავშვებო, მოდით, ჩვენც მივეხმაროთ ცხოველებს!

ბავშვები მღერიან „იავნანას".

ყველა ერთად გაემართა ბაკუნას გასათავისუფლებლად. დადგნენ გუნდად, წინამძღოლად დედა კურდღელი ამოირჩიეს და ამღერდნენ... მათი ხმა ზეცას მისწვდა და... ჰოი, საოცრებავ! ნელ-ნელა კუდიანმა ვარსკვლავებმა, რომელთაც თავიდან სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ ცხოველების სიმღერა, ჯერ დაამთქნარეს, შემდეგ თვალები დახუჭეს და ბოლოს ისეთი ხვრინვა ამოუშვეს, აღარც სიმღერა ესმოდათ და აღარც ჩოჩორი ახსოვდათ: ხელი გაუშვეს ბაკუნას, ის კი ქოლგასავით გაშლილი ჩიჩილაკით ნელ-ნელა დაეშვა დედამიწაზე...

ცხოველებმა გაიხარეს, გავიდნენ დიდ ტრიალ მინდორზე, დადგეს ჩიჩილაკი, მორთეს, მოკაზმეს და მთელი ღამე იმხიარულეს. თეთრი ჩოჩორი კი, შობის ღამის გმირად გამოაცხადეს. და ყველაზე ლამაზი საჩუქრით დააჯილდოეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა...

**მუსიკალური განტვირთვა:** ზღაპრის დასასრულს, ბავშვები **„წიკო-წიკოს"** ან **ზ. ფალიაშვილის „ქართულის"** მუსიკაზე ცეკვავენ. მასწავლებელს შეუძლია სპექტაკლი გააფორმოს სხვა მუსიკალური ნაწარმოებებითაც: **ე. გრიგის „დილა", კ. დებიუსის „მთვარის შუქი", ლ. ბოკერინის „მენუეტი", ვ. დოლიძის „ცეკვა ქართული", პ. ჩაიკოვსკის „ყვავილების ვალსი"** და სხვა.

სასურველია, მასწავლებელმა გაკვეთილზე ჩიჩილაკი მიიტანოს.



## ინფორმაციისათვის

„ბასილას კვერები" ძველი ახალწლისთვის, ანუ 14 იანვრისათვის, ცხვებოდა. ამ დღეს არის IV საუკუნის კაბადოკიელი საეკლესიო მოღვაწის, ქართველთათვის განსაკუთრებით საყვარელი წმიდანის, ბასილი დიდის ხსენება. ბასილი დიდი არა მარტო თავისი წმინდა ცხოვრებით და სათნო გარეგნობითა, განსაკუთრებული გრძელი წვერითაც იყო ცნობილი. „ქართველი" თოვლის პაპასა და ბასილი დიდის გარეგნობაში ძნელი არაა საერთოს პოვნა; „ბასილას კვერებიც" და ჩიჩილაკის თეთრი ბურბუშელაც ბასილის წვერებს განასახიერებს და მისი მსგავსია.

# რაჭული ალილო

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** ამ სავარჯიშოებს უკვე მუსიკალურად ვასრულებთ ნოტების გამღერებით – სიმღერები ცხოველებზე. **როდესაც ბავშვები კარგად გაითავისებენ ამ მოტივებს, ჰყვებიან „დასარტყამი საკრავებით“,** რაც ძალზე ხალისიანს ხდის ამ აქტივობებს.







## მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS



**აქტივობა 17:** ამ აქტივობაში მოცემულია ორი ტრეკი: წვიმა და ზღვის ტალღები. ეს ხმები შეგიძლიათ დაალაგოთ ნებისმიერი თანმიმდევრობით, აგრეთვე შეგიძლიათ ხმები დაადოთ ერთმანეთზე და მიიღოთ ორი ხმა ერთად. ბავშვმა წვიმისა და ზღვის ტალღების ხმები უნდა გაარჩიოს ერთმანეთისგან. ნიმუში აუდიოფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს გაახმოვანონ ეს ფოტოები.







# რაჭული ალილო

**მოვიარე სიმღერით:** ახალი სიმღერის შესწავლა – რაჭული ალილო.

მოგზაურობისას რაჭაშიც გადავედი. რაჭულ სიმღერებსა და ცეკვა-თამაშთან ერთად რაჭველებმა თონეში პურის ჩაკვრა მასწავლეს... რაჭაში საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მდინარე რიონი პირველად ვნახე. იგი კავკასიონზე, ფასის მთიდან იღებს სათავეს. ძველად რიონს ფაზისი ერქვა.

პატარა დირიჟორი ახსენებს ბავშვებს ქრისტეშობის დიდებულ ამბავს და მათთან ერთად მღერის წინა წელს ნასწავლ ქალაქურ „ალილოს“. შემდეგ ბავშვებს ეკითხება:

– რას ნიშნავს სიტყვა „ალილო“?

– რას აკეთებენ მეალილოე ბავშვები?

ბავშვები ჩანაწერის დახმარებით სწავლობენ ახალ სიმღერას – რაჭულ „ალილოს“:

**ალილო! ბალილო!**
**შობა გათენებულო!**
**შობა ღმერთმა გაგითენოთ,**
**შობა-ახალწელიწადი,**
**არიელი, მარიელი,**
**ნუ გაგვიშვებთ ცარიელი,**
**გამოგვიტანეთ ჩირები,**
**სიცივემ დაგვზრა ფრჩხილები,**
**ჩვენ მათხოვრები არა ვართ,**
**ქრისტეს მახარობლები ვართ,**
**თქვენი ოჯახი აივსოს**
**პურითა და ქონებითა.**



რაჭული გუდასტვირი

## რაჭული ალილო




**მუსიკალური განტვირთვა:** მასწავლებელი ასმენინებს **„საახალწლო დალოცვას“** გუდასტვირის თანხლებით. ბავშვები ამ ჩანაწერს ერთხელ კიდევ მოისმენენ შობის დღესასწაულზე.

ბავშვები უყურებენ **ვიდეოს Merry Christmas From Young Scottish Bagpipers In Scotland** და ადარებენ შოტლანდიურ გუდასტვირს რაჭულს.

# ერთი ლამაზი სიმღერა

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** ამ სავარჯიშოებს უკვე მუსიკალურად ვასრულებთ ნოტების გამღერებით – სიმღერები ცხოველებზე. როდესაც ბავშვები კარგად გაითავისებენ ამ მოტივებს, ჰყვებიან **„დასარტყამი საკრავებით“,** რაც ძალზე ხალისიანს ხდის ამ აქტივობებს.







**ერთი ლამაზი სიმღერა.** სიმღერა „ფიფქების“ ფონზე მასწავლებელი უკითხავს ამ ჩანახატს.

**პატარა მაიკოს მამიკო გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორია. მაიკოს კიდევ სამი დაიკო ჰყავს. ოთხივეს ძალიან უყვარს სიმღერა, ცეკვა, ხატვა, მუსიკის მოსმენა, მათ მამიკოს კი თევზაობა და ნადირობა. ერთხელაც მეგობრებთან ერთად კავკასიონზე წავიდა დათვებზე სანადიროდ. ზამთრის პირი იდგა, ბუნება საავდროდ ემზადებოდა. მონადირეებმა ძაღლები ტყეში გაუშვეს, თვითონ კი დათვებს სხვადასხვა ადგილას ჩაუსაფრდნენ. ასეთ ადგილებს სარეკს უწოდებენ. სწორედ სარეკში იჯდა დიდ ლოდზე მაიკოს მამიკო და ნადირის გამოჩენას ელოდებოდა. მის თვალწინ კავკასიონის ბუმბერაზი მთები ალმართულიყო. უყურებდა ამ მშვენიერებას, დაავიწყდა დათვებიც, ძაღლებიც... უცებ გათოვდა, უზარმაზარი ფიფქები ცვიოდა და ცვიოდა. კომპოზიტორის თვალი ამ სანახაობამ გაიტაცა და უნებურად ამღერდა:**



**თოვლი მოდის,**
**თოვლი მოდის,**
**ცვივა თეთრი**
**ფიფქები...**

**იმ დღეს დათვები არ გამოჩენილან. გულდაწყვეტილი მონადირეები ხელცარიელი დაბრუნდნენ შინ. მაიკოს მამიკომ კი იმ ზღაპრულ ადგილას ეს ლამაზი სიმღერა შექმნა.**

**– მამიკო, მამიკო, რა ქენით, ჩამოიყვანეთ დათვები? — შეეკითხა პატარა მაიკო.**

**– შვილო, დათვებს ბუნაგში ეძინათ. დათვები არა, მაგრამ კავკასიონიდან ერთი ლამაზი სიმღერა კი ჩამოგიტანე. ახლა მომისმინე, დავუკრავ და ერ-**

თად ვიმღეროთ! – უთხრა მამამ და პიანინოს მიუჯდა.

ასე დაიბადა ყველასათვის საყვარელი „ერთი ლამაზი სიმღერა“, რომელსაც „ფიფქები“ ჰქვია.

მაიკოს მამიკო გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი იაკობ ბობოხიძეა.



თოვლი მოდის,
თოვლი მოდის,
ცვივა თეთრი ფიფქები.

მისამღერი: ფიფქები ცვივა და
ფიფქები მღერიან,
გამოდით, გამოდით,
ნაძვები გველიან.

**მუსიკალური განტვირთვა: იაკობ ბობოხიძის „ფიფქები“** – ბავშვები უსმენენ „პლუს“ და „მინუს“ ფონოგრამას და მღერიან.

## ფიფქები

მუსიკა: იაკობ ბობოხიძისა
ლექსი გივი ჭიჭინაძისა











გაკვეთილის ბოლოს ბავშვები უყურე-ბენ **ვიდეოს „O Holy Night“ Kings College, Cambridge _ „წმინდა ღამე“**
კომპოზიტორი: **ადოლფ ადამი** (1803-56),
არანჟირება: **ჯონ რუთერი.**
საუნდტრეკი ფილმიდან **„მარტო სახლში“**

გაკვეთილი – 40-41

# საშობაო-საახალწლო სიმღერები



**შემაჯამებელი გაკვეთილი**

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** ამ სავარჯიშოებს უკვე მუსიკალურად ვასრულებთ ნოტების გამღერებით – სიმღერები ცხოველებზე. **როდესაც ბავშვები კარგად გაითავისებენ ამ** მოტივებს, ჰყვებიან **„დასარტყამი საკრავებით“,** რაც ძალზე ხალისიანს ხდის ამ აქტივობებს.




**საახალწლო-საშობაო სიმღერები:**

ბავშვებს განსაკუთრებით გიყვართ შობა-ახალი წელი. გულისფანცქალით ელოდებით მის დადგომას, წინა წელს სათუთად ჩალაგებული სათამაშოების ამოლაგებას, ხელახლა მათს ნახვას – თითქოს არც არასოდეს გენახოთ და ნაძვის ხეც არასოდეს მოგერთოთ.

ყველა ბავშვისათვის განსაკუთრებული თოვლის ბაბუასთან შეხვედრაა. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ბავშვები მოუთმენლად ელოდებიან ამ წუთს. თოვლის ბაბუას შორეულ ყინულოვან ლაპლანდიაში წერენ წერილებს: სთხოვენ საჩუქრებს, სურვილების, ოცნებების ასრულებას. თოვლის ბაბუაც წერილებს ყურადღებით კითხულობს და დიდი სიყვარულით ასრულებს მათს თხოვნას: შეაბამს თავის ოქროსფერ მარხილში ირმებს და შემოუვლის მთელ დედამიწას, ყველა ქვეყანაში მას თავისი მეგობარი თოვლის ბაბუები ჰყავს, დაუტოვებს საჩუქრებს და გზას გააგრძელებს.

ლაპლანდიელ თოვლის ბაბუას სანტა კლაუსი ჰქვია, საქართველოში კი – თოვლის ბაბუას, თოვლის პაპასაც ვეძახით. ქართველი თოვლის პაპა-ბაბუა სულაც არა ჰგავს სანტა კლაუსს. მას თქვენ ყველანი იცნობთ თავისი თეთრი ნაბდით, ყაბალახით, ჩოხით, ქალამნებითა და საჩუქრებით სავსე ჭრელი ხურჯინით.

**ჩვენმა დათა-ბათამაც მისწერა თოვლის პაპას წერილი:**

თოვლის პაპამ ყურადღებით წაიკითხა დათა-ბათას წერილი და გაოცდა.

– პირველად ვკითხულობ ასეთ წერილს, ბავშვები უმეტესად საჩუქრებს მთხოვენ... მიხარია, შვიდი წლის ბიჭს მთელი მსოფლიოს გასაჭირი რომ ადარდებს, როცა გაიზრდება, ნამდვილად დიდი ადამიანი გახდება, საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი ან სულაც შესანიშნავი მუსიკოსი. ნეტა რომელი ქვეყნიდანაა?! (მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება: – რომელი ქვეყნიდანაა დათა-ბათა? – ბავშვები უპასუხებენ: – საქართველოდან!) აუცილებლად მივწერ წერილს, – დაბეჯითებით ჩაილაპარაკა თოვლის პაპამ და კიდევაც აასრულა:



**თოვლის პაპას წერილი:**

დათა-ბათა საათის ხმამ გააღვიძა, მიხვდა, ყველაფერი სიზმარში ნახა. კარადაზე წითელი საშობაო ბაფთებით მორთული თაფლის ქილა შენიშნა. გაკვირვებულმა დათა-ბათამ აღტაცებით წამოიძახა:

– არა, ნამდვილად არსებობენ თოვლის პაპები, – თაფლს გემო გაუსინჯა და თითები გემრიელად გაილოკა. შობა თენდებოდა და დათა-ბათა ალილოზე უნდა წასულიყო.





**მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:** რა არის ალილო? რას აკეთებენ მეალილოე ბავშვები? რა არის ჩიჩილაკი? რისგან აკეთებენ ჩიჩილაკს?

თედო პაპა ხისგან თლის ჩიჩილაკებს, მაგრამ რამდენ ჩიჩილაკსაც გამოთლის, იმდენ ხეს რგავს.

**გავუფრთხილდეთ ბუნებას!**

ძველად, საქართველოში საშობაოდ ჩიჩილაკებს რთავდნენ. ზედ ტკბილეულსა და ხილს აბამდნენ. ხოლო მსოფლიოს სხვა ქვეყნებში და ამჟამად, საქართველოშიც, საახალწლოდ ნაძვის ხეს რთავენ.





**მუსიკალური განტვირთვა:** ბავშვები ისმენენ სხვადასხვა ქვეყნის საშობაო-საახალწლო სიმღერებს: ქართულს, ინგლისურს, გერმანულს, რუსულს, იტალიურს, ამერიკულს, შოტლანდიურ სიმღერებს: **Deck the Halls • Kids Christmas Songs • Children Love to Sing, Jingle Bells • Kids Christmas Songs • Children Love to Sing, We Wish You a Merry Christmas with Lyrics Christmas Carol & Song Kids Love to Sing.** ვ. კახიძე „ალილო“, მ. დავითაშვილი „თეთრი ციდან ფიფქი ცვივა“, გერმანული საშობაო სიმღერა „წყნარი წმინდა ღამე“, რაჭული „მრავალჟამიერი“.

აგრეთვე უჩვენებს **ვიდეოებს: O Holy Night Kings College, Cambridge, The Ferryboat _ a Scottish dance using Christmas music**

## ლექსიკონი

**სანტა კლაუსი** უკავშირდება IV საუკუნის უდიდეს მღვდელთმთავარს, წმინდა ნიკოლოზს: „სანტა“ – წმინდა, „კლაუს“ – ნიკოლოზი. წმინდა ნიკოლოზი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მფარველია.

# დათა-ბათას წერილი



„გამარჯობა, თოვლის პაპა! მე დათა-ბათა მქვია. შვიდი წლისა ვარ – მეორე კლასელი. დავდივარ სამუსიკო სკოლაში – ნოტებს, სიმღერებს, ჩელოზე დაკვრას ვსწავლობ. ვუსმენ კლასიკურ მუსიკას. საშობაოდ ხალხური სიმღერა „ალილო“ ვისწავლე. ისე მომწონს, სულ ვღიღინებ! ბავშვები მეუბნებიან, თოვლის პაპა არ არსებობსო, მაგრამ მე მინდა, რომ არსებობდე და მჯერა, ჩემს სურვილებსა და ნატვრას შეასრულებ. საჩუქრებს არ გთხოვ – წელს დედიკო და მამიკო დამასაჩუქრებენ...

ჩემი სურვილია, ქვეყნად არ არსებობდნენ მშიერი და ობოლი ბავშვები, ბოროტი ადამიანები, რომლებიც ბომბებს ამზადებენ, ქალაქებსა და სოფლებს აფეთქებენ. მინდა, ყოველთვის მშვიდობა იყოს და ბავშვებმა ბედნიერად ვიცხოვროთ.

დიდი მადლობა ყურადღებისთვის. ველი პასუხს...”

დათა-ბათა

# თოვლის პაპას წერილი

„გამარჯობა, დათა-ბათა! გამაოცა შენმა წერილმა, გახარებული ვარ, ასეთი კარგი ბიჭი რომ ხარ. მართალია, შენი სურვილის ასრულებას დიდი დრო სჭირდება, მაგრამ გპირდები, ყველაფერს ვიღონებ ქვეყნად სიკეთისა და სიყვარულის გასამარჯვებლად... ისე, ამაში შენ და შენი მეგობრებიც უნდა დამეხმაროთ. პირველ რიგში, კარგად უნდა ისწავლოთ, ერთმანეთი გიყვარდეთ, პატივს სცემდეთ დედიკოს, მამიკოს, ბებიას, ბაბუას. გავიგე, სიმღერა „ალილო“ გისწავლია, ალბათ მეალილოეთა გუნდში იმღერებ და ალილოზე შეგროვებულ ტკბილეულსა და ტანსაცმელს ობოლ და უპატრონო ბავშვებს დაურიგებ. ეს პირველი ნაბიჯი იქნება შენი სურვილის ასახდენად. ძალიან მინდა შენი გაცნობა. გავიგე, თაფლიან-კარაქიანი პური გყვარებია, ამიტომ გიგზავნი ერთ ქილა თაფლს...“

თოვლის პაპა



გაამრავლეთ და დაურიგეთ ბავშვებს

გაკვეთილი – 42-43

# როგორ გადმოიცემა სხვადასხვა მუსიკალური ინტონაციით, რიტმითა და ტემპით ბუნების მოვლენები

## მუსიკალური კოლაჟი – 5

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** ამ სავარჯიშოებს უკვე მუსიკალურად ვასრულებთ ნოტების გამღერებით – სიმღერები ცხოველებზე. **როდესაც ბავშვები კარგად გაითავისებენ ამ მოტივებს, ჰყვებიან „დასარტყამი საკრავებით“, რაც ძალზე ხალისიანს ხდის ამ აქტივობებს.**




**აქტივობა – მოუსმინე ბუნების ხმებს**: მასწავლებელი ასმენინებს ბავშვებს ორ ნაწარმოებს – **ჯ. როსინის ოპერას „ვილჰელმ ტელი“ – II მოქმედება, „ქარიშხალი“ და ე. გრიგის სიუიტას „პერ გიუნტი“ – „დილა“.** ბავშვები უსმენენ მუსიკას და ამოიცნობენ, ბუნების რა მოვლენებია ამ ნაწარმოებებში გადმოცემული. ისინი მსჯელობენ, გამოთქვამენ თავიანთ შთაბეჭდილებებს და გადმოსცემენ სახატავ რვეულებში პიქტოგრამებით. მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს **ვიდეოებს** – ჯ. როსინისა და მ. რაველის ნაწარმოებებზე, სადაც გადმოცემულია ბუნებრივი მოვლენები.

### მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS



**აქტივობა18:** ამ აქტივობაში მოცემულია ოთხი ტრეკი: მუსიკალური მონახაზები და ეფექტები: მზე ამოდის, წვიმს, ჭექა-ქუხილი, ცისარტყელა. ბავშვმა უნდა მოისმინოს და დაადგინოს რომელი ტრეკი შეესაბამება ფოტოზე არსებულ მოქმედებას, შექმნას **მუსიკალური კოლაჟი.** ნიმუში აუდიო ფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.






ახალი სიმღერის შესწავლა: **ალექსანდრე ბასილაია – „ცისარტყელები“**

**ცისარტყელები, ათასფერები,**
**ვირბინოთ, ვიცინოთ,**
**პატარა ქალო, ჯერ გავითვალოთ –**
**იწილო-ბიწილო!**

მისამღერი: **მთებს, თოვლიან მთებს**
**ვუმღერებთ ლამაზ სიმღერებს,**

**შორს გავივლით გზებს**
**და ზედ დაგიკრეფ ყვავილებს**
**დახუჭობანა, დაჭერობანა,**
**დელია, დელია,**
**ამდენი რბენა, ამდენი დევნა**
**ცოტათი ძნელია!**
მისამღერი: **მთებს, თოვლიან მთებს...**

**მეთოდური მითითება:** სიმღერის შესწავლა „პლუს“ ფონოგრამით. მასწავლებელი ეკითხება:
– სად გაგიგონიათ ეს სიმღერა? (გაიხსენებენ მულტფილმს)
– რა შეიძლება ვიცეკვოთ ამ სიმღერაზე? – მოაგონებს ვალსს და ბავშვებიც ცეკვავენ.

## ცისარტყელები

**მუსიკა ალექსანდრე ბასილაიასი**
**ტექსტი ავთანდილ გელოვანისა**




mp
ცი - სა - რტყე - ლე - ბი, ა - თა - სფე - რე - ბი,
ვი - რბი - ნოთ, ვი - ცი - ნოთ.
პა - ტა - რა ქა - ლო, ჯერ ვი - თვა - ლა - ოთ,
ი - წი - ლო, ბი - წი - ლო.


მისამღერი
mf
მთებს, თო - ვლი - ან მთებს, ვუ - მღე -
რებთ ლა - მაზ სი - მღე - რებს.
შორს გა - ვი - ვლით გზებს, მთა - ზე
და - გი - კრებთ ყვა - ვი - ლებს.

გაკვეთილი – 44-45

# როგორ გადმოიცემა სხვადასხვა მუსიკალური ინტონაციით რიტმითა და ტემპით ბუნების მოვლენები

## მუსიკალური კოლაჟი – 6

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** ამ სავარჯიშოებს უკვე მუსიკალურად ვასრულებთ ნოტების გამღერებით – სიმღერები ცხოველებზე. **როდესაც ბავშვები კარგად გაითავისებენ ამ მოტივებს, ჰყვებიან „დასარტყამი საკრავებით“,** რაც ძალზე ხალისიანს ხდის ამ აქტივობებს.




**აქტივობა – მოუსმინე ბუნების ხმებს:** მასწავლებელი ასემნინებს ბავშვებს ორ ნაწარმოებს – **ა. ვივალდის „წელიწადის დრონი“. „ზაფხული“. „ქარიშხალი“** და **მ. რაველის „დაფნისი და ქლოეს“ დასაწყისი – „მზის ამოსვლა“.** ბავშვები უსმენენ მუსიკას და ამოიცნობენ, ბუნების რა მოვლენებია ამ ნაწარმოებში გადმოცემული. ისინი მსჯელობენ, გამოთქვამენ თავიანთ შთაბეჭდილებებს და გადმოსცემენ სახატავ რვეულებში პიქტოგრამებით.

### მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS



**აქტივობა19:** ამ აქტივობაში მოცემულია ოთხი ტრეკი: მუსიკალური მონახაზები და ეფექტები. ბუნების მოვლენები: მზის ამოსვლა, წვიმა, ტალღები, შტორმი. ბავშვმა უნდა მოისმინოს და დაადგინოს, რომელი ტრეკი შეესაბამება ფოტოზე ასახულ მოვლენას. თქვენ შეგიძლიათ ტრეკები დაალაგოთ ფოტოზე მოცემული თანმიმდევრობით. ნიმუში აუდიოფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.






**ახალი სიმღერის შესწავლა:** ხევსურული სარიტუალო სიმღერა – **„ახ, ლაზარე, ლაზარე“**

უძველეს დროში ქართველები მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს ეთაყვანებოდნენ:

**„მზე დედაა ჩემი,**
**მთვარე მამაა ჩემი,**
**ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები**
**და და ძმაა ჩემი“.**



მასწავლებელი გაახსენებს „მზე შინას“. ბავშვები მღერიან.

ერთ-ერთი თქმულების თანახმად, ერთმა კაცმა თავის გარდაცვლილ ძმას მზის სხივები და სითბო დააპკურა და გააცოცხლა, ამიტომ მზის გამოჩენა სიცოცხლის დაბრუნებას ნიშნავდა:

**„მზეო, ამოდი, ამოდი,**
**ნუ ეფარები გორასა,**
**სიცივეს კაცი მოუკლავს,**
**საწყალი აგერ გორავსა“...**



ჩვენი წინაპრები ელია-ლაზარეს დარსა თუ ავდარს შესთხოვდნენ და შესაბამის რიტუალსაც ასრულებდნენ: შეიკრიბებოდნენ სოფლის ქალები, გააკეთებდნენ თოჯინა-ლაზარეს, უბან-უბან დაივლიდნენ და „ახ, ლაზარე, ლაზარეს“ სიმღერით ღმერთს სასურველ ამინდს ევედრებოდნენ:

**ახ, ლაზარე, ლაზარე,**
**ცას ღრუბელი აჰყარე,**
**აღარ გვინდა ცის ნამი,**
**ღმერთო, მოგვეც მზის თვალი,**
**აღარ გვინდა ტალახი,**
**ღმერთო, მოგვეც გორახი.**
**ლაზარ მოდგა კარსაო,**
**აბრიალებს თვალსაო,**
**მიდგა-მოდგა თაროსა,**
**დეემზგავსა მთვარესა.**
**მიდგა-მოდგა თაროსა,**
**დეემზგავსა მთვარესა.**



ხევსურული თოჯინა-ლაზარე

**მეთოდური მითითება:** ბავშვები ჩანაწერის დახმარებით სწავლობენ ახალ სიმღერას. მასწავლებელი ბანს „შეაპარებს“. ბავშვები ჩააბამენ ფერხულს და ასრულებენ სიმღერის ზედა ხმას.

– ბავშვებო, ჩვენც გავაკეთოთ თოჯინა-ლაზარეები! იცით, რა ადვილია?! ავიღოთ ორი პატარა ჯოხი და ერთმანეთზე გადავაჯვარედინოთ, შემდეგ კი ძონძ-კონკები – ფერადი ნაჭრები – შემოვახვიოთ, ბამბით თავი გავუკეთოთ, ცხვირ-პირი მივუხატოთ, გავუმუროთ და „ლაზარეც“ მზად იქნება!

## ახ, ლაზარე, ლაზარე



# მუსიკალური კოლაჟი – 7

## შემაჯამებელი გაკვეთილი

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** ამ ახალ სავარჯიშოს ვასრულებთ ნოტების დასახელებით. იქმნება პატარა მოტივი – სიმღერა. **როდესაც ბავშვები კარგად გაითავისებენ ამ მოტივს, ჰყვებიან „დასარტყამი საკრავებით“, რაც ძალზე ხალისიანს ხდის ამ აქტივობას.**




**აქტივობა 6:** მასწავლებელი კლასში უჩვენებს **ვიდეოს**, სადაც გუნდი ხელების „შრიალითა“ და სხვა ხმაბაძვითი ხერხებით გადმოსცემენ წვიმისა და ქარის ინტონაციებს. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, გაიმეორონ გუნდის მსგავსი ქმედება – „ააშრიალონ“ ხელები და მიჰბაძონ ქარის ხმას, რომელიც თანდათანობით გადაიზრდება წვიმის წვეთების რაკარუკში. ბავშვების ერთი ჯგუფი ფანქრებს დააკაკუნებს მონაცვლეობით მერხზე და გამოსახავს წვიმის წვეთების ხმას – რაკარუკს. მეორე ჯგუფი ხელებს ააშრიალებს და ამ ფონზე შეასრულებენ სიმღერას „ახ, ლაზარე, ლაზარე“. ამგვარად, ბავშვები კლასში ერთობლივად მიბაძავენ ქარისა და წვიმის წვეთების ხმებს.

## მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS



**აქტივობა20:** ამ აქტივობაში მოცემულია სამი ტრეკი:
კ. დებიუსი – „მთვარის შუქი“
ა. ვივალდი – „ქარიშხალი“
ე. გრიგი – „პერ-გიუნტი“ – „დილა“
ბავშვმა უნდა მოისმინოს და დაადგინოს რომელი ტრეკი შეესაბამება ფოტოზე ასახულ მოქმედებას. ამ პატარა მოტივებისგან შექმნას **მუსიკალური კოლაჟი.**
ნიმუში აუდიო ფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.





# ინტონაციის ამოცნობა ხალხურ მუსიკაში

## ABCD

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** ამ ახალ სავარჯიშოს ვასრულებთ ნოტების დასახელებით. იქმნება პატარა მოტივი – სიმღერა. **როდესაც ბავშვები კარგად გაითავისებენ ამ მოტივს, ჰყვებიან „დასარტყამი საკრავებით", რაც ძალზედ ხალისიანს ხდის ამ აქტივობას.**







**პატარა დირიჟორი:**

– ბავშვებო, გახსოვთ მწყემსი ბიჭის სალამური? მე ძალიან ხშირად ვფიქრობ მასზე და მინდა წარმოვიდგინო, როგორი ჟღერადობა ჰქონდა გედის ძვლისაგან დამზადებულ საკრავს. მწყემს ბიჭს ჩემთვის საყვარელი ძველქართული სახელი რატი დავარქვი, მაგრამ რატის დიდი ხნის წინ ნამღერმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. აი, საფრანგეთში კი დღესაც მღერიან პატარა მწყემსი ბიჭის სიმღერას. ეს ლამაზი მელოდია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აიტაცეს – მღერიან და კომპოზიტორებიც იყენებენ თავიანთ ნაწარმოებებში.

...დილაადრიან ამდგარა მწყემსი ბიჭი, სალამურს უკრავს და ცხვრის ფარას საძოვარზე მოუხმობს. მზე არემარეს სხივებს ჰფენს, ირგვლივ ყველაფერი ილვიძებს, ჩიტები გალობენ, მწყემსი ბიჭის დაკვრა-სიმღერა კი მთელ სოფელს ეფინება...

ამ ლამაზ მელოდიაზე საფრანგეთში, გერმანიასა და ინგლისში ბავშვები სიმღერით სწავლობენ ანბანს. ახლა მოვისმინოთ სიმღერის გერმანული და ინგლისური ვარიანტი, რომლებიც მომავალში, ალბათ, თქვენც დაგეხმარებათ გერმანული და ინგლისური ანბანის დამახსოვრებაში – მეორე კლასში ხომ ბევრი თქვენგანი იწყებს უცხოური ენების შესწავლას.

**მუსიკალური განტვირთვა:** სიმღერა **„ABCD"** – საკრავის ამოცნობა. ბავშვები უსმენენ სიმღერას გიტარის თანხლებით, ამოიცნობენ უკვე ნასწავლ ინტონაციურ სავარჯიშოს. დაითვლიან რამდენი ბგერისაგან შედგება მოტივი და ჰყვებიან „დასარტყამი საკრავების ორკესტრით".





**მოცარტის ვარიაციები:**

მასწავლებელი ასმენინებს ბავშვებს მოცარტის **C-dur ვარიაციებს** და ეკითხება:

– გამოიცანით, რომელ საკრავზე სრულდება ეს ნაწარმოები?

– თქვენთვის ნაცნობი რომელი სიმღერა ჟღერს ფორტეპიანოზე?



ბავშვები იხსენებენ ფრანგი მწყემსი ბიჭის სიმღერის გერმანულ ვარიანტს – **„ABCD“**-ს – და საფორტეპიანო ვარიაციას ტაშითა და სიმღერით ჰყვებიან.

მასწავლებელი მათ პატარა მოცარტს გაახსენებს და უხსნის: მოცარტმა ხალხური სიმღერა გამოიყენა თავისი ნაწარმოების მთავარ მელოდიად, მთავარ თემად და ფორტეპიანოზე სხვადასხვა სახით – ვარიაციებით ააჟღერა.

**მუსიკალური განტვირთვა:** ბავშვები რიგ-რიგობით გამოდიან და **მოცარტის ვარიაციებს „დირიჟორობენ“.**

**მეთოდური მითითება:** ბავშვებს ამ ნაწარმოებს ვაცნობთ, როგორც მოცარტის საფორტეპიანო პიესას, რომელშიც მათთვის ნაცნობი ფრანგული, მწყემსური სიმღერის თემაა გამოყენებული. არ ვახსენებთ სიტყვა ვარიაციას, რადგანაც ვარიაციული ფორმის ახსნა არ არის გათვალისწინებული II კლასის სტანდარტით.

## მუსიკალური ლექსიკონი

**მელოდია** ბერძნულად სიმღერას ნიშნავს.

**ვარიაცია** ლათინური სიტყვაა: **variatio** შეცვლას, ცვლილებას ნიშნავს, ამ შემთხვევაში – მელოდიის ცვლილებას სხვადასხვა სახით. ვარიაციული ფორმა ხალხურ მუსიკაში წარმოიშვა: ერთსა და იმავე სიმღერას მომღერლები სხვადასხვა სახეცვლილებით (ვარიანტით) მღერიან. პროფესიულ მუსიკაში ვარიაციული ფორმა მე-15 საუკუნეში გაჩნდა და მე-16-17 საუკუნეებში განვითარდა. კომპოზიტორები ხშირად ვარიაციული ფორმის მთავარ თემად ხალხური ცეკვის ან სიმღერის მელოდიას იყენებენ.

# როგორ გადმოიცემა სხვადასხვა მუსიკალური ინტონაციით, რიტმითა და ტემპით ბუნების მოვლენები

## წვიმის წვეთები

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** მასწავლებელი **გაამღერებს** ამ სავარჯიშოს და სთხოვს ბავშვებს, ამოიცნონ ეს მოტივი რომელი პერსონაჟის **ლაიტმოტივია.**




**აქტივობა 3:** მულტიპლიკაციურ ფილმ „ბემბიდან" მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს პატარა **ვიდეოფრაგმენტს**, სადაც ბემბი პირველად ხვდება წვიმაში. წვიმის წვეთები მას ეთამაშებიან და უმღერიან სიმღერას. ამ სიმღერაში მკაფიოდ ისმის წვიმის წვეთების ინტონაცია, რომელთა ხასიათი რამდენჯერმე იცვლება. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ამოიცნონ წვიმის წვეთების ინტონაციები, დაახასიათონ, სად ჟღერს მშვიდად, სად – ძლიერად, ამოიცნონ ჭექა-ქუხილის ინტონაცია. ბოლოს ისევ გაისმის წვიმის წვეთების მშვიდი ხმა. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ ეს პატარა ინტონაცია, გაიმღერონ და გამოსახონ გრაფიკული ხაზით ან პიქტოგრამით.



### მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS



**აქტივობა 21:** მასწავლებელი აჩვენებს ბავშვებს პატარა ნახატებს, რომლებზედაც სხვადასხვა ზომის წვიმის წვეთებია გამოსახული. **LMMS** პროგრამაში ასმენინებს ამ წვეთების შესაბამის ინტონაციებს. ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, რომელ წვეთს რომელი ხმა შეესაბამება. მასწავლებელი ავალებს ბავშვებს, სხვადასხვა ზომის წვეთები აურიონ და დაალაგონ სხვადასხვა თანმიმდევრობით. ააჟღერონ და შექმნან პატარა წვიმის წვეთების **მუსიკალური კოლაჟი.**



ახალი სიმღერის შესწავლა: მერაბ მერაბიშვილის „შხაპუნა“.

დიდი წვიმა მოვიდა,
შხაპი-შხუპი შხაპუნა,
ყველა სახლის ფანჯარას
მიდგა, მიუკაკუნა.
მისამღერი: კაპ, კაპ, კაპ, კაპ,
მიდგა, მიუკაკუნა. /2-ჯერ/

გულმა ვერ მოუთმინა,
გამოვარდა პაპუნა,
ჩაირბინა ეზოში,
წყალი ააშხაპუნა.
მისამღერი: კაპ, კაპ, კაპ, კაპ,
მიდგა, მიუკაკუნა. /2-ჯერ/

დაედევნენ ქოლგებით
ქეთინო და ხათუნა,
უჰ, რა წვიმა მოსულა,
შხაპი-შხუპი შხაპუნა.
მისამღერი: კაპ, კაპ, კაპ, კაპ,
მიდგა, მიუკაკუნა. /2-ჯერ/



## შხაპუნა

მუსიკა მ. მერაბიშვილისა
ტექსტი ც. ცქიტიშვილისა






ბავშვები უსმენენ სიმღერის „პლუს“ და „მინუს“ ფონოგრამას, მღერიან და თან აჰყვებიან **„დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“.**



გაკვეთილი – 50-51

# წყლის თამაში

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** მასწავლებელი ბავშვებს ამღერებს ინტერვალებს. ამ ცნებას არ ვსწავლობთ II კლასში, ბავშვები ამ ინტონაციას იმახსოვრებენ ზეპირად, სმენით. ამ აქტივობით ბავშვებს ვამზადებთ III-IV კლასებისთვის.




**აქტივობა: მ. რაველის „წყლის თამაში“.**

მასწავლებელი ასმენინებს ბავშვებს მ. რაველის „წყლის თამაშს“ და სთხოვს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, შთაბეჭდილებები; ბუნების რომელ მოვლენებს მოაგონებს მათ ეს მუსიკა. ბავშვები უსმენენ თვალდახუჭულნი და შემდეგ გამოთქვამენ თავიანთ შთაბეჭდილებებს, რომლებსაც რვეულებში გრაფიკული ხაზით ან პიქტოგრამით ასახავენ.

**მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა**
**LMMS**



**აქტივობა22:** ამ აქტივობაში მოცემულია სამი ტრეკი:

ე. გრიგი – „პერ გიუნტი“ – „დილა“

მ. რაველი – „წყლის თამაში“

ა. ვივალდი – „ქარიშხალი“

ბავშვმა უნდა მოისმინოს და დაადგინოს რომელი ტრეკი შეესაბამება ფოტოზე ასახულ მოქმედებას და ამ პატარა მოტივებისგან შექმნას „მუსიკალური კოლაჟი“.

თქვენ შეგიძლიათ ტრეკები დაალაგოთ ფოტოზე მოცემული მოქმედებების მიხედვით.

ნიმუში აუდიოფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.





# ქსილოფონი

– ბავშვებო, ეს ქსილოფონია, – დირიჟორმა ბავშვებს ახალი საკრავი უჩვენა, – ძალიან უცნაური და ორიგინალური საკრავი. ბავშვობაში ყველას გვქონია ფერად-ფერადი სათამაშო ქსილოფონები – ლითონის, ხისა თუ პლასტმასის.

– ქსილოფონი ბერძნული სიტყვაა და „ხის ხმას“ ნიშნავს. სხვადასხვა სიგრძის ხის ფირფიტებზე ხისავე ორი პატარა ჯოხით უკრავენ. რაც უფრო მოკლეა ფირფიტა, მით უფრო წვრილია ხმოვანება.

– ბავშვებო, ახლა წარმოვიდგინოთ: ხელში ორი ჯოხი გვიჭირავს და ქსილოფონზე მხიარულ ნოტებს ვუკრავთ. აბა, მოემზადეთ – სიმღერით ავყვეთ და ჩამოვყვეთ: **დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი, დო...**

– ახლა დავითვალოთ, რამდენი ფირფიტაა ქსილოფონზე?

**I საფეხური – დო**
**II — რე**
**III — მი**
**IV — ფა**
**V — სოლ**
**VI — ლა**
**VII — სი**
**VIII — ისევ დო**





– თქვენს დახატულ ქსილოფონზე თითოეული საფეხური – ფირფიტა – ცისარტყელას ფერებს შეესაბამება – გახსოვთ ცისარტყელას ფერები?

წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, იისფერი.

– ახლა ისევ ვიმღეროთ მხიარული ნოტები და შემდეგ ახალი ინტონაციური სავარჯიშო გავიმღეროთ. ყურადღებით მომისმინეთ: ორივე ხელში ქსილოფონზე დასარტყმელი „ჯოხები“ დაიჭირეთ, მარცხენა და მარჯვენა ხელის მონაცვლეობით შეასრულეთ მოცემული სავარჯიშო. მარცხენათი დაუკარით დო, მარჯვენათი – დანარჩენი:

დო — დო
დო — რე
დო — მი
დო — ფა
დო — სოლ
დო — ლა
დო — სი
დო — დო




სავარჯიშო რამდენიმეჯერ გავიმეოროთ

– ბავშვებო, ჩვენ უკვე ვისწავლეთ ქსილოფონზე „დაკვრაც და სიმღერაც“. სახლში დახატეთ და გამოჭერით ფერადი ფირფიტები – დაამზადეთ ლამაზი ფერადი ქსილოფონი. სასურველია, მასწავლებელმა გაკვეთილზე შემოიტანოს სათამაშო ქსილოფონი, დაუკრას და მოასმენინოს მისი ხმოვანება. მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს **ვიდეოს ქსილოფონზე – flight of the bumblebee(marimba). ნ. რიმსკი-კორსაკოვი – „ბზიკი“.**

**მუსიკალური განტვირთვა: არამ ხაჩატურიანი – „ხმლებით ცეკვა“.** მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებინებს მელოდიაში ქსილოფონის ჟღერადობაზე. ბავშვები „დირიჟორობენ“.

## ინფორმაციისათვის

**ქსილოფონი** ხის უძველესი დასარტყამი საკრავია. შუა საუკუნეებში გვხვდებოდა აზიაში, მოგვიანებით ევროპაშიც გავრცელდა. მე-19 საუკუნემდე ქსილოფონი ხალხურ საკრავად ითვლებოდა. მე-20 საუკუნეში ვირტუოზი შემსრულებლების მიერ მასზე კლასიკური მუსიკისა და რეგთაიმების შესრულებით იგი პოპულარული გახდა. თანამედროვე სიმფონიურ ორკესტრში ქსილოფონი ერთ-ერთი ძირითადი დასარტყამი ინსტრუმენტია. მისი დიაპაზონია სამ-ნახევარი ან ოთხი ოქტავა. როგორც ხალხური საკრავი, დღესაც გვხვდება ინდონეზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში.

ქსილოფონი



# პატარა ჰაიდნი

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.

**მუსიკის ფონზე – ი. ჰაიდნის „გამოსათხოვარი სიმფონია“ №45, IV ნაწილი.** მასწავლებელი ბავშვებს უკითხავს ი. ჰაიდნის ბიოგრაფიას



პატარა ჰაიდნი:

**ავსტრიის სოფელ რორაუში პატარა იოზეფ ჰაიდნი ცხოვრობდა. მამამისი ხელოსანი იყო – ეტლებს, ურმებს აკეთებდა და თავისი შრომით ოჯახს არჩენდა. საღამოობით სოფლის მცხოვრებნი ჰაიდნების ოჯახში იკრიბებოდნენ; მამა არფაზე უკრავდა, პატარა იოზეფი კი მღეროდა. ავსტრიელ გლეხებს ძალიან უყვარდათ სიმღერები, ცეკვები, განსაკუთრებით პატარა ჰაიდნის საოცარი ხმა იზიდავდა. ხუთი წლის იოზეფი მღეროდა სოფელში გაგონილ ხალხურ სიმღერებსა თუ ქალაქურ მელოდიებს. ოჯახის ხელმოკლეობის გამო ჰაიდნმა ვერ მიიღო მუსიკალური განათლება – ის მხოლოდ ეკლესიის გუნდში გალობდა. ყველაზე მნიშვნელოვანი იოზეფის ცხოვრებაში ვენაში ჩასვლა და ვენის ტაძრის გუნდში სიმღერა იყო: ის სოლისტი გახდა და ურთულეს პარტიებს ასრულებდა. სწორედ ვენაში გაიცნო მან მოცარტი (გახსოვთ, ბავშვებო, პატარა მოცარტი?!). ჰაიდნი ვიოლინოზე უკრავდა, მოცარტი – ფორტეპიანოზე. მუსიკის სიყვარულმა დაამეგობრა ეს ორი უდიდესი კომპოზიტორი. მათი მუსიკა – სიმღერები, ოპერები, სიმფონიები – დღესაც აღაფრთოვანებს მსმენელს.**



ბავშვებო, დღეს ჩვენ მოვისმინეთ ი. ჰაიდნის ერთ-ერთ მუსიკალური ნაწარმოები – **სიმფონია**. **სიმფონია** ბერძნული სიტყვაა და სხვადასხვა საკრავის ერთდროულად, შეთანხმებულად ჟღერას ნიშნავს. მას დირიჟორის ხელმძღვანელობით სიმფონიური ორკესტრი ასრულებს. ორკესტრში ერთდროულად ჟღერს ჩვენთვის ნაცნობი საკრავები: ვიოლინოები, ჩელოები, ფლეიტები, საყვირები, არფა, ქსილოფონი, დიდი დოლი და სხვა...

**მუსიკალური განტვირთვა: ი. ჰაიდნის „გამოსათხოვარი სიმფონია“ №45, IV ნაწილი.** ბავშვები „დირიჟორობანას“ თამაშობენ.

**მეთოდური მითითება:** ჩვენ უკვე გავეცანით სამი უდიდესი კომპოზიტორის – ჰაიდნის, მოცარტისა და ბეთჰოვენის ბავშვობას. ეს კომპოზიტორები ბავშვების თანატოლები და საყვარელი გმირები გახდნენ. ამ გაკვეთილით ბავშვებს ვამზადებთ IV კლასისათვის, სადაც ახალი სტანდარტის მიხედვით მათ თავად უნდა დაამზადონ **მუსიკალური ქუდები** სხვადასხვა კომპოზიტორთა შემოქმედებაზე.

## ინფორმაციისათვის

**იოზეფ ჰაიდნი** (1732-1809) ვენის კლასიკური სკოლის ფუძემდებელია. სწორედ მან შექმნა პირველი კლასიკური სიმფონია, კვარტეტი. ჰაიდნი 104 სიმფონიის ავტორია. მათგან მნიშვნელოვანია: „ლონდონის 12 სიმფონია“, „6 პარიზული სიმფონია“ და „გამოსათხოვარი სიმფონია“ (1772 წ.). ჰაიდნი 30 წელი ევროპის ერთ-ერთი მდიდარი უნგრელი თავადის ესტერჰაზის კარზე მსახურობდა და თავადის სიმფონიურ ორკესტრს ხელმძღვანელობდა. ჰაიდნი და მუსიკოსები დამამცირებელ, მონურ პირობებში მუშაობდნენ – არ ჰქონდათ დასვენებისა და ოჯახის წევრების ნახვის უფლება. ჰაიდნმა „გამოსათხოვარი სიმფონია“ დაწერა. სიმფონიის ბოლო ნაწილის შესრულებისას მუსიკოსები რიგ-რიგობით აქრობდნენ სანთელს და დარბაზიდან გადიოდნენ. ბოლოს ჰაიდნი და ერთი მევიოლინელა დარჩნენ: დაასრულეს თავიანთი პარტია, ჩააქრეს სანთლები და დარბაზი დატოვეს. ამით აგრძნობინეს ესტერჰაზს, რომ ასე აღარ გააგრძელებდნენ. თავადმა მოუწონა ჰაიდნს გონებამახვილობა და ორკესტრის წევრებს თავისუფლება უბოძა. მასწავლებელს შეუძლია, ეს ამბავი ბავშვებს მოკლედ მოუყვეს.

## ჩასაბერი საკრავები

**საყვირი** – უძველესი ჩასაბერი ხალხური საკრავია. მისი უმარტივესი ფორმა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე გვხვდება. საყვირს იყენებდნენ ნადირობის, ბრძოლის, თამაშობებისა და სპორტული შეჯიბრებების დროს. მე-17 საუკუნიდან ის პროფესიულ მუსიკაშიც მკვიდრდება. ჩვენს დროში საყვირი სამხედრო და ჯაზ-ორკესტრებშიც გამოიყენება.


**საყვირი**


**გაიხსენე ფლეიტა**







## ხალხური ჩასაბერი საკრავები


**ბუკი**

**ბუკი** – ქართული ჩასაბერი საკრავი:

– ბავშვებო, გახსოვთ ჩასაბერი საკრავები – სალამური, გუდასტვირი... გაიხსენეთ ის სათამაშო „საკრავებიც“, ბალახის ღეროსაგან ან ხის ტოტის „ტყავისაგან“ რომ ამზადებთ ხოლმე.

ძველად ხმის გასაძლიერებლად, მოწოდება-დაძახება-შეკრებისათვის სასიგნალო საკრავებს იყენებდნენ. ამგვარ საკრავთაგან საქართველოში, კერძოდ, სვანეთში მხოლოდ ბუკი შემორჩა, რომელსაც დღეს ყოფაში აღარ იყენებენ (არ აჟღერებენ). ძველად ბუკს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ: სამეფო კარზე საპატიო სტუმრებისა და ელჩების მიღებისას, ნადირობისას, ბრძოლის დაწყებისას...

საერთოდ, ბუკზე დაკვრა – მებუკეობა – იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ საქართველოში დღემდე შემორჩენილია გვარები „მებუკე“ და „ბუკია“. ბუკი ერთადერთი ლითონის ჩასაბერი საკრავია საქართველოში.

**გაიხსენე საკრავები**


**სალამური**


**რაჭული გუდასტვირი**


**ძვლის სალამური**

**თემა: წვეულებები და დღესასწაულები სახლში და გარეთ**

**მიზანი:** სადღესასწაულო განწყობის შექმნა, მელოდიის, რიტმის, ტემპის შერჩევა. სადღესასწაულო ღონისძიებების მუსიკალური გაფორმება, შემოქმედებითი უნარების წარმოჩენა, სიმღერების შესწავლა და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება.

**მისაღწევი შედეგები:** მუს.დაწყ.(I)1,2; მუს.დაწყ.(I)3

# აღდგომის დღესასწაული

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:** ამ სავარჯიშოებს უკვე ვასრულებთ ნოტების დასახელებით, იქმნება პატარა მოტივები – სიმღერები ცხოველებზე. როდესაც ბავშვები კარგად გაითავისებენ ამ მოტივებს, ჰყვებიან „დასარტყამი საკრავებით“, რაც ძალზე ხალისიანს ხდის ამ აქტივობებს.




**მუსიკის ფონზე** – სააღდგომოდ ბავშვები უსმენენ საგალობელს „წმიდაო ღმერთო“, მასწავლებელი კი უკითხავს სააღდგომო ზღაპარს.

**„ჭონა“** – სააღდგომო ზღაპარი:



**...გაზაფხულის თბილი დღე იყო. თედო, კატო, ია-გოგო, მიხო და პეტრე ვიწრო ბილიკს ღიღინით მიუყვებოდნენ. დიდ კალათაგადაკიდებული თეთრი ჩოჩორიც მათთან იყო.**

**– ხვალ აღდგომა გათენდება! აღდგომა ძალიან მიყვარს, – სიხარულს ვერ მალავდა პეტრე.**

**– იჩქარეთ, სოფლის შემოვლა, ყველასთან მისვლა უნდა მოვასწროთ, რაც შეიძლება ბევრი კვერცხი შევაგროვოთ, თან კარგადაც ვიმღეროთ, რომ უხვად დაგვასაჩუქრონ! – არიგებდა თანატოლებს ია.**

**„ალათასა, ბალათასა,**
**ჩამოვკიდებ კალათასა,**
**დედი, ერთი კვერცხი მომე,**
**ღმერთი მოგცემს ბარაქასა...“**

**– სიმღერით განაგრძეს გზა ბავშვებმა. კარდაკარ დადიოდნენ და კვერცხებს აგროვებდნენ. ის კი არავინ იცოდა, მიხოს რა ოინი მოეფიქრებინა:**

**წინა დღით მიხომ თედო პაპას ხის კვერცხის გამოთლა სთხოვა. დურგალი რას იფიქრებდა, თუ ბიჭი ამას საეშმაკოდ გამოიყენებდა: ის ხომ ბავშვებს უარს არაფერზე ეუბნებოდა. აკი საშობაოდ ჩიჩილაკიც გაუკეთა! სახლში მიხომ ხის კვერცხი ენდროში შეღება, ზეთით გააპრიალა ისე, რომ ნამდვილისაგან ვერ გამოარჩევდი, და სახვალიოდ „გაემზადა“...**



გათენდა აღდგომის მშვენიერი დილა. ბავშვები წითელი კვერცხებით სოფელს მოეფინენ და ატყდა ერთი ჩახაჩუხი: ხან ვისი კვერცხი ტყდებოდა, ხან – ვისი. მიხომ ყველას აჯობა და „მოგებული“ კვერცხებით ჩოჩორს კალათა გაუვსო. მოწყენილი ბავშვები გულდაწყვეტილი დაჰყურებდნენ ჩამსხვრეულ კვერცხებს.

– მიხო, აბა შენი კვერცხი მაჩვენე, ძალიან მინდა, ხელით შევეხო, მართლა ასეთი მაგარია? – სთხოვა თედომ.

მიხო შეცბა, აღარ იცოდა, რა ექნა. ახლა კი მიუხვდებოდნენ ბავშვები ეშმაკობას! რაც იქნება, იქნებაო, – გაიფიქრა, – და კვერცხი თედოს გაუწოდა. თედომ გამოართვა „ჩემპიონი“ კვერცხი და ვერც კი მიხვდა, როგორ გაუვარდა ხელიდან... კვერცხმა იგორა, იგორა, წყაროსთვალში შეგორდა და პატარა ნავივით ატივტივდა! ბავშვები ერთხანს გაოცებული ადევნებდნენ თვალს კვერცხს, რომელიც არც ტყდებოდა და არც იძირებოდა, მერე კი ყველაფერს მიხვდნენ და აჟრიამულდნენ:

– მატყუარა! მატყუარა! – დასცინოდნენ ბავშვები...

– „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“, – ჩაიხვიხვინა ჩოჩორმა.

– კარგი, კარგი, ბავშვებო, ამ ერთხელ ვაპატიოთ, დღეს ხომ აღდგომაა, ჩხუბი არ შეიძლება, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ – გავიზრდებით და ეს დღეც ტკბილად მოგვაგონდება! – თქვა თედომ და დაღონებულ მიხოს ხელი გაუწოდა. ბავშვებმა ხელი ხელს ჩაჰკიდეს, ეკლესიაში წავიდნენ, სააღდგომო კვერცხები ღარიბ და ობოლ ბავშვებს დაურიგეს. თეთრმა ჩოჩორმაც შვებით ამოისუნთქა და ბაკიბუკით გაჰყვა უკან...

**სააღდგომო საგალობლის მოსმენა:**

– ბავშვებო, ახლა ჩვენ მოვისმენთ აღდგომის საგალობელს **„ქრისტე აღსდგა“.** მას თბილისის სიონის სამრევლო სკოლის ბავშვები ასრულებენ. აბა, ხელისგულები ერთმანეთს დაადეთ, თავი მერხზე ჩამოდეთ, თვალები დახუჭეთ და მოუსმინეთ!

**მეთოდური მითითება:** მიგვაჩნია, რომ 7-8 წლის ბავშვს არ შეუძლია ჩაწვდეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის საიდუმლოს, ამიტომ ჯობს, საშობაო ზღაპრის მსგავსად, მათი ასაკისათვის გასაგები ენით ავუხსნათ.



**ნ. ფიროსმანი – აღდგომა**

## მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS



**აქტივობა 23 – ბუნების მოვლენები** ამ აქტივობაში მოცემულია ბუნების ხმები: წვიმა, ქარი, ზღვის ტალღები, ქუხილი. ასევე ორი ხმის ეფექტი. ბავშვებმა უნდა დაალაგოთ ეს ხმები ისე, რომ მიიღოთ პატარა მუსიკალური **კოლაჟი**. ნიმუში აუდიოფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.




**LMMS**-ის ეკრანი სადაც ტრეკებია მოცემული

# გაზაფხულდა...

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.



ბავშვები აკაკი წერეთლის ლექსის – **„გაზაფხულის“** – ორ სტრიქონზე გაიმღერებენ **ახალ ინტონაციურ სავარჯიშოს**:

„გაზაფხულდა. ბუჩქის ძირას
თავს იწონებს ნაზი ია“.



**მეთოდური მითითება:** მასწავლებელი კლასს სამ რიგად ყოფს:
I მღერის – „გაზაფხულდა“,
II – „ბუჩქის ძირას“,
III – „თავს იწონებს“,
ყველა ერთად – „ნაზი ია“

ლექსის დახმარებით ბავშვები სავარჯიშოს ხალისით სწავლობენ და რამდენიმეჯერ ასრულებენ. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს გაიმღერონ მოტივები და დაითვალონ, რამდენი ბგერისაგან შედგება თითოეული.

## გაზაფხულდა

**შეადგინა**
**მაია ოთიაშვილმა**



**ახალი სიმღერის შესწავლა:** „ეს ლამაზი მთები“. ბავშვები სიმღერას ასრულებენ „მინუს“ ფონოგრამაზე.



**ეს ლამაზი მთები,**
**ყვავილების მდელო**
**მოვიარე სიმღერით**
**მთელი საქართველო**

მისამღერი:
**გაზაფხულდა იხარა**
**ამერმა და იმერმა**
**საქართველოს სიმღერა**
**გაზაფხულმა იმღერა**

**ეს ლამაზი ქვეყანა**
**მზის და მთვარის სადარი**
**საქართველო მეორე**
**სხვაგან არსად არ არის**

მისამღერი:
**გაზაფხულდა იხარა**
**ამერმა და იმერმა**
**საქართველოს სიმღერა**
**გაზაფხულმა იმღერა**

## ეს ლამაზი მთები...

**მუსიკა და ტექსტი**
**მაია ოთიაშვილის**




ლო,
მო - ვი - ა - რე სი - მღე - რით
მთე - ლი სა - ქა - რთვე -
ლო.
გა - ზა - ფხუ - ლდა, ი - ხა - რა
ა - მე - რმა და ი - მე -
რმა,
სა - ქა - რთვე - ლოს სი - მღე - რა
გა - ზა - ფხუ - ლმა ი - მღე -
რა,
გა - ზა - ფხუ - ლდა, ი - ხა - რა
ა - მე - რმა და ი - მე -




ბავშვები უყურებენ **ვიდეოს „ეს ლამაზი მთები“**, სტუდია **„ბასტი-ბუბუს“** შესრულებით.

მეორე გაკვეთილის ბოლოსათვის მასწავლებელი ბავშვებს ესაუბრება სახალხო დღესასწაულზე „ჭიდაობა“

**ჭიდაობას რა უნდა?!..**



საქართველოში ჭიდაობა ოდითგანვე ძალიან პოპულარული სახალხო დღესასწაული ყოფილა – ყველა სოფელსა თუ მხარეს თავისი განთქმული ფალავანი – მორკინალი – ჰყოლია. შერკინება-ჭიდაობა ერთი და იგივეა. ჭიდაობა მუდამ ხალხური საკრავებისა და სიმღერის თანხლებით იმართებოდა. ბევრ სოფელში (განსაკუთრებით ქართლში, კახეთსა და სვანეთში) ჭიდაობის ხალხური ტრადიცია მუსიკალური თანხლებით დღემდე შემორჩა.

**მუსიკალური თამაში-განტვირთვა:** „ჭიდაობას რა უნდა?!..“

ბავშვები ჯერ „წიკო-წიკოზე“ შესრულებულ **ხალხურ საჭიდაოს** ისმენენ, შემდეგ – **რევაზ ლაღიძის სიმფონიურ სურათს – „საჭიდაო“**. ისინი „ჭიდაობენ“, თამაშობენ, „დირიჟორობენ“.



როგორ იქმნება სადღესასწაულო განწყობა მელოდიის, რიტმისა და ტემპის მეშვეობით.

# მეჯლისი – 1

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.



**მეჯლისი 1:** პატარა დირიჟორმა კლასში ბავშვებს მულტფილმი „კონკია“ უჩვენა. ბავშვებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უფლისწულის სასახლეში გამართულმა მეჯლისმა, სადაც სხვადასხვა ცეკვებს ასრულებდნენ. ბავშვებმა გადაწყვიტეს თვითონაც მოეწყოთ მეჯლისი კლასში. სანამ მეჯლისის სამზადისს შეუდგებოდნენ, დირიჟორმა მათ რამდენიმე ვიდეო უჩვენა სხვადასხვა ცეკვებზე.

**1 – გ.ფ. ჰენდელის სიუიტა „მუსიკა წყალზე“ – მენუეტი** (ცეკვა გამოხატავს მისალმებას);

**2** – ბაროკოს სტილის ცეკვა **სარაბანდა** (ჩანს სადღეგრძელოს რიტუალი).

ბავშვები უყურებენ ამ ვიდეოებს და მასწავლებელი სთხოვს ამოიცნონ, რა ქმედებას, რა რიტუალს გამოხატავს თითოეული ცეკვა. შეიძლება ბავშვებს ჰქონდეთ განსხვავებული პასუხები, მათ უნდა ახსნან, რატომ ფიქრობენ ასე?

1. რომელ ცეკვაში ჩნდება მისალმების რიტუალი?
2. რომელში ჩანს სადღეგრძელოს რიტუალი?

**მასწავლებელი ამ აქტივობას ბავშვებისათვის გასაგები და მარტივი ფორმით მიაწოდებს, ასაკისათვის შესაბამისად.**

კლასში ბავშვები მსჯელობენ დირიჟორთან ერთად თავიანთ მოსაზრებებზე.



**მენუეტი**

მეჯლისისათვის დირიჟორმა გაიარა რეპეტიცია: დირიჟორმა თავისი ჯადოსნური ჯოხი ასწია და მეჯლისიც დაიწყო... ხელიხელჩაკიდებულმა წყვილებმა ერთ მწკრივში დაიწყეს სვლა-ცეკვა... მეჯლისზე სხვა ცეკვებიც შეასრულეს: შტრაუსისა და ჩაიკოვსკის „ვალსები“, „ფერია დრაჟეს ცეკვა“... მეჯლისის რეპეტიცია გვიანობამდე გაგრძელდა.

## ინფორმაციისათვის

მენუეტი, ალემანდა, პავანა და სარაბანდა XVI-XVII საუკუნეების სამეჯლისო ცეკვებია, რომლებიც სამეფო კარზე სრულდებოდა. ისინი სათავეს ხალხური მუსიკიდან იღებენ.

**მენუეტი** — ფრანგული ხალხური გრაციოზული ცეკვაა (წარმოდგება ფრანგული სიტყვიდან **menu** – და „მცირეს“, „პატარას“ ნიშნავს). ის წარმოიშვა ნელი საფერხულო ცეკვიდან. ერთგვარი სადღესასწაულო სვლაა. ევროპაში პოპულარული იყო XVII-XVIII საუკუნეებში, როგორც სამეჯლისო ცეკვა. სრულდება 3/4 ტემპში. მენუეტი სიმფონიის, კვარტეტის, სიუიტის შუა ნაწილებად გვხვდება ბახის, ჰაიდნის, მოცარტის ნაწარმოებებში.


სარაბანდა

**სარაბანდა** – XVI საუკუნის ძველი ესპანური ხალხური ცკევაა, რომელიც კასტანეტებით სრულდებოდა. XVII-XVIII საუკუნეებში პოპულარული იყო დასავლეთ ევროპაში, როგორც სამეჯლისო ცეკვა. ის სრულდებოდა გიტარის, არფისა და ფლეიტის თანხლებით. შემდგომ ამ ცეკვამ სრულიად ახალი ელფერი მიიღო საფრანგეთში მაღალ საზოგადოებაში. ცეკვავდნენ სამეფო კარზე, გამოირჩეოდა კეთილშობილური და დიდებული ხასიათით. სრულდება 3/4, 3/2 ზომაში.

გაკვეთილი – 59

# მეჯლისი – 2

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.


ალემანდა

ბავშვებმა მეჯლისისათვის საკლასო ოთახი სადღესასწაულოდ მორთეს. ფერად-ფერადი მოსაწვევები დაამზადეს და დაურიგეს სტუმრებს. სანამ მეჯლისი დაიწყებოდა დირიჟორმა კიდევ ორი **ვიდეო** აჩვენა ბავშვებს: **ალემანდა** (ასახავს ერთმანეთის მოკითხვის რიტუალს); **პავანა** (ცეკვაში სტუმრის მიღების ცერემონიაა წარმოჩენილი).

ბავშვები უყურებენ ამ ვიდეოებს და დირიჟორი სთხოვს ამოიცნონ, რა ქმედებას, რიტუალს გამოხატავს თითოეული ცეკვა. შეიძლება ბავშვებს ჰქონდეთ განსხვავებული პასუხები, მათ უნდა ახსნან, რატომ ფიქრობენ ასე?

1. რომელ ცეკვაში ჩნდება სტუმრის მიღების ასოციაცია?

2. სად ჩანს ერთმანეთის მოკითხვა?


ალემანდა

მეჯლისზე ბავშვებმა მოილხინეს და ბევრი იცეკვეს. ია გოგო ფერია დრაჟეს კოსტიუმში გამოეწყო და მეჯლისზე პატარა დირიჟორთან ვალსი იცეკვა. დათა ბათამ კატოსთან ერთად **ი. შტრაუსის „ანენ პოლკა“**.

## ინფორმაციისათვის

**ალემანდა** – XVI საუკუნის ბაროკოს ეპოქის ერთ-ერთი პოპულარული გერმანული ცეკვაა. სრულდება 2/4 ტემპში. წარმოიშვა იმ პერიოდის პოპულარული გერმანული ხალხური ცეკვებიდან.

**პავანა** – სადღესასწაულო ნელი ცკეკაა, რომელიც XVI საუკუნეში გავრცელდა ევროპაში. ის სრულდებოდა სამეფო კარის დღესასწაულებზე. სხვადასხვა ცერემონიასა და რიტუალზე. ერთი ვერსიით, პავანა წარმოიშვა იტალიის ქალაქ პადუაში, მეორე ვერსიით, ესპანური წარმოშობისაა. ის დიდებული და სადღესასწაულო ხასიათის ცეკვაა. არსებობდა ესპანური, ფრანგული და გერმანული პავანები, რომლებიც განსხვავდებოდა თავიანთი ხასიათით.

**ვალსი** გერმანული სიტყვაა (**walzen**) და ტრიალს ნიშნავს. მისი ერთ-ერთი წინამორბედი ავსტრიული ხალხური ცეკვა ლენდლერია. ვალსი, როგორც სამეჯლისო ცეკვა, პოპულარული XIX-XX საუკუნეებში გახდა. ვალსი გვხდება შტარაუსის, ვებერის, ბრამსის, შუბერტის, შუმანის, რაველის, გლინკას, ჩაიკოვსკის, პროკოფიევის შემოქმედებაში, როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები ან როგორც ციკლური ფორმის ერთ-ერთი ნაწილი.

**„პოლკა“** სლავურად ნახევარს ნიშნავს. ასე იმიტომ ეწოდა, რომ „ნახევარი ნაბიჯით“ იცეკვება.

**მუსიკალური განტვირთვა:** ი. შტრაუსის „ანენ პოლკა“ ვ. ა. მოცარტის მენუეტი, ი.ს. ბახის მენუეტი. ბავშვები უსმენენ მუსიკას და ცეკვავენ. **ვიდეო: Aloiz Mizandari _ tiflis polka 1867 https://www.youtube.com/watch?v=NsCJvczFygI**

---

გაკვეთილი – 60

# მიულოცე დაბადების დღე



**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

მასწავლებელი კლასში ბავშვებს ასმენინებს რამდენიმე მუსიკალურ ნაწარმოებს: ვალსებს, მენუეტებს, პოლკებს, მარშებს, სიმღერებს და სთხოვს მათ, შეადგინონ პატარა სცენარი შემდეგი მითითებების მიხედვით:

1.როგორ მიულოცავდნენ თანაკლასელს დაბადების დღეს?

2. როგორ მორთავდნენ კლასს?

3. როგორ მოხატავდნენ და დაამზადებდნენ მოსაწვევ ბარათებს?

4. როგორ გააფორმებდნენ მუსიკალურად?

შემდეგ დაპატიჟებდნენ სტუმრებს, მიუძღვნიდნენ ლექსებსა და სიმღერებს, საჩუქრებს და აუცილებლად სადღესასწაულო ტორტს სანთლებით. ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, გააფორმებდნენ მუსიკლაურად შემდეგი ნაწარმოებებით:

1. ლ. ბოკერინი – მენუეტი
2. ვ.ა. მოცარტი – „ღამის პატარა სერენადა“ – I და IV ნაწილი
3. ვ.დოლიძე – ცეკვა ქართული ოპერიდან „ქეთო და კოტე“
4. პ.ჩაიკოვსკი – ბალეტი „მაკნატუნა“ – „ყვავილების ვალსი“და „ტრეპაკი“
5. პ.ჩაიკოვსკი – ბალეტი „მძინარე მზეთუნახავი“ – ვალსი
6. ი. ს. ბახი – მენუეტი
7. ვ.ა. მოცარტი – მენუეტი
8. ი.შტრაუსი – ანენ პოლკა
9. ი.შტრაუსი – რადეცკი – მარში
10. პ. ჩაიკოვსკი – ნეაპოლური ცეკვა
11. ლ.ვ. ბეთჰოვენი – კონტრდანსი
12. დაბადების დღის სიმღერა



კლასის მოწყობა-გაფორმება, სტუმრების მიღება, მილოცვა, საჩუქრების გადაცემა, სადღესასწაულო ტორტის გამოტანა და ა.შ. ყველა რიტუალს მიუსადაგებენ ამა თუ იმ მუსიკასა და ცეკვას.

**მეთოდური მითითება:** ბავშვებს ეძლევათ თავისუფლება, თავიანთი გემოვნების მიხედვით შეარჩიონ ნაწარმოებები, მუსიკალურად გააფორმონ დაბადების დღე და შეადგინონ პატარა სცენარი – შექმნან **მუსიკალური კოლაჟი**, რომელიც მიესადაგება წვეულების მსვლელობას.

ამ ქმედებაში ბავშვებს დაეხმარებიან მასწავლებლები და მშობლები. ბავშვები თითქმის ყველა ამ ნაწარმოებებს აჰყვებიან **„დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“**, რაც ძალზედ გაახალისებს ამ დღეს.



## მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS



**გაიხსენე და გაიმეორე:** სასწავლო წლის ბოლოსთვის ბავშვები იმეორებენ ყველა იმ აქტივობას რომელიც მთელი წლის განმავლობაში შეასრულეს. ამით ღრმავდება ცოდნა და წლის ბოლოსთვის თითოეული მათგანი კლასს წარუდგენს თავის ნამუშევარს **LMMS** პროგრამაში: მუსიკალურ კოლაჟებს, სხვადასხვა კომპოზიციებს და აქტივობებს ხმა – ბგერებზე.

**აქტივობა 8:** ამ აქტივობაში გვაქვს ლეროი ანდერსონის კატების ვალსის პატარა მონაკვეთის ორი ნაწილი. ასევე სპილოს, მამლის და გუგულის ხმები. მოუსმინეთ ნიმუშს, რომელიც აუდიოფაილის სახით არის წარმოდგენილი ამავე აქტივობის ფოლდერში. დაალაგეთ ტრეკები ჯერ ნიმუშის მიხედვით და მიიღეთ მუსიკალური კოლაჟი, ხოლო შემდეგ დაალაგეთ ტრეკები თქვენი სურვილისამებრ. სცადეთ სხვადასხვა ვარიანტები.

**აქტივობა 10:** ამ აქტივობაში მოცემულია ოთხი ტრეკი: მუსიკალური მონახაზები და ეფექტები. მოცემული მოქმედებები: ანტილოპები ძოვენ, ლომი ეპარება, ლომი ღრიალებს, ანტილოპები გარბიან. ბავშვმა უნდა მოისმინოს და დაადგინოს რომელი ტრეკი შეესაბამება ფოტოზე არსებულ მოქმედებას. თქვენ შეგიძლიათ ტრეკები დაალაგოთ ფოტოზე მოცემული მოქმედებების მიხედვით. ნიმუში აუდიოფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.







# ეთნოგრაფია და მუსიკა

**თემა: სხვადასხვა ხალხთა დღესასწაულების მუსიკა**

**მიზანი:** ხალხური მუსიკის როლის განსაზღვრა სხვადასხვა ხალხების ცხოვრებაში, საერთო ნიშნების ამოცნობა, ხალხური სიმღერების შესწავლა და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება.

**მისაღწევი შედეგები:** მუს.დაწყ.(I)4,5,6

## მსოფლიოს ხალხთა დღესასწაულები

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.



რიტუალური ცეკვები და სიმღერები სათავეს ჯერ კიდევ უძველეს ცივილიზაციებში იღებს. ასევე ამ ეპოქისათვის დამახასიათებელია სასცენო ცეკვების წარმოქმნაც. ბიბლიაში ცეკვით ებრაელი ხალხი ღმერთს ხოტბას ასხამდა, ძველ ინდოეთში ცეკვა ითვლებოდა საგანთა არსის გამხსნელად, ძველ საბერძნეთში ფიქრობდნენ, რომ ცეკვა და სიმღერა ადამიანს აკეთილშობილებდა. დროთა განმავლობაში რიტუალურმა ცეკვებმა და სიმღერებმა თავიანთი ადგილი დაიკავეს მსოფლიო ხალხთა დღესასწაულებში. ამჟამად მრავალი დღესასწაულია პოპულარული.



დრაკონის ცეკვა

პატარა დირიჟორმა იმოგზაურა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, დაესწრო დღესასწაულებს და ბავშვებს მრავალი ფოტო თუ ვიდეო მასალა ჩამოუტანა.

**მოგზაურობა ჩინეთიდან დაიწყო.**

**ჩინური ახალი წელი** ყველაზე დიდი დღესასწაულია, რომელსაც დრაკონებით, ფეიერვერკებით, სიმბოლური ტანისამოსით, ყვავილებითა და სანთლებით აღნიშნავენ. ეს ჩინელებისთვის წელიწადში ყველაზე მნიშვნელოვანი დღეა, რომელიც ასევე „გაზაფხულის ფესტივალის" სახელითაცაა ცნობილი. დრაკონი ჩინეთში ღირსებისა და ძალის სიმბოლოდ ითვლება. ჩინური დრაკონის ცეკვა – ტრადიციული ცეკვაა, რომელშიც მონაწილეობას იღებს ათობით ადამიანი, ისინი ძელებზე ასხმულ დრაკონის ფიგურას აცეკვებენ მიხვრა-მოხვრით. მისგან განსხვავებით ჩინური ლომის ცეკვას ცხოველის ფიგურის შიგნით მდგომი ორი კაცი განასახიერებს.

**ბავშვები უყურებენ ვიდეოს: Chinese New Year Lion Dance 2016, Beijing, Hong Kong Chinese New Year 2013 _ Dragon Dance @ Festival Walk _ Kwok's Team**



ყინულის ფესტივალი

**ჩინეთი – ხარბინი: ყინულისა და თოვლის ფესტივალი**

ეს არის მსოფლიოში ყველაზე გამორჩეული ყინულისა და თოვლის ქანდაკებების ფესტივალი.

ყინულის ქანდაკებებს ფერადი ნათურებითა და ლაზერით ანათებენ. ეს ნამდვილად ფენომენალური სანახაობაა, რომელსაც უამრავი მნახველი ჰყავს.

**ვიდეო: Harbin International Ice and Snow Festival opens in northeast China**

**ინდოეთი. ჰოლი.** ინდოეთში გაზაფხულზე იმართება დღესასწაული ჰოლი, რომელიც ასევე, „ფერების ფესტივალის" სახელითაა ცნობილი. უძველესი რელიგიური ფესტივალი ღამით, კოცონთან იწყება, სადაც ადამიანები იკრიბებიან, ცეკვავენ, მღერიან, უკრავენ სხვადასხვა საკრავებზე, ხოლო დილით ფერად საღებავებს ასხამენ ერთმანეთს. ეს დღესასწაული დღეს მთელ მსოფლიოში გახდა პოპულარული.



ჰოლის დრესასწაული

**ვიდეო: Festival of Colors _ Worlds BIGGEST color party**

**იტალია – ვენეციის კარნავალი.** ეს არის ტრადიციული კოსტიუმირებული კარნავალი. მონაწილეები სხვადასხვა ნიღბებით შემოსილი დადიან ვენეციის ქუჩებში, ცეკვავენ, მღერიან. ის ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში წარმოიშვა და ყოველწლიურად თებერვალში ტარდება. ირგვლივ ყველაფერი ზღაპრული და ფერადოვანია.

**ვიდეო: Venice Carnival _ Masks parade**



ვენეციის კარნავალი



საჰაერო ბურთების ფესტივალი

**საჰაერო ბურთების ფესტივალი.** ყოველწლიური ფესტივალი აშშ-ს ქალაქ ალბუკერკში, ოქტომბრის დასაწყისში ტარდება. ეს არის ცხრადღიანი, მსოფლიოში ყველაზე დიდი საჰაერო ბურთების შოუ, რომელშიც დაახლოებით, 750 საჰაერო ბურთი მონაწილეობს.

**ვიდეო: Timelapse Albuquerque Balloon Fiesta**

**რიო-დე-ჟანეიროს კარნავალი.** ეს კარნავალი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფესტივალია, რომელიც ქალაქის ქუჩებში ყოველწლიურად იმართება. მასში დაახლოებით, ორი მილიონი ადამიანი მონაწილეობს. იგი მსოფლიოში ყველაზე დიდ კარნავალად ითვლება. პირველი ფესტივალი 1823 წელს ჩატარდა.

კარნავალის მოცეკვავეები სამბას ასრულებენ.



კარნავალი რიო-დე-ჟანეიროში

სამბა ბრაზილიისა და კარნავალის სიმბოლოა, ის სამხრეთ ამერიკაში კონგოდან და ანგოლადან ჩაყვანილი ზანგი მონების წიაღში ჩაისახა. მისი ზომა ორწილადია, ცეკვის რიტმს გამოხატავს ათამდე სხვადასხვა დასარტყამი საკრავი, აგრეთვე განსაკუთრებული ჟღერადობა აქვს გიტარას და ჩასაბერ საკრავებს.

**ვიდეო: Samba-enredo da Imperatriz Leopoldinense _ 2016**



ფარნების ფესტივალი ტაივანში

**ტაივანი. პინგსლი. ფარნების ფესტივალი**. ფესტივალი ტაივანის რაიონ პინგსში ტარდება. ამ დღეს მორწმუნეები ათასობით ანთებულ ფარანს უშვებენ ცაში. თავდაპირველად, დღესასწაული ქალაქიდან ბოროტებისა და დაავადებების გასადევნად ეწყობოდა. ახლა ფარნებზე კეთილი სურვილები და ფერადოვანი სურათებია გამოხატული. ისინი ასეთ ფარნებს კოსმოსში უშვებენ და დარწმუნებულები არიან, რომ სიკეთე და სიყვარული უკან დაუბრუნდებათ.

**ვიდეო: Taiwan Lantern Festival**





ალლუმი ბუკინგემის სასახლეში – ლონდონი

ალლუმი შოტლანდიაში

პატარა დირიჟორმა მოგზაურობა ინგლისსა და შოტლანდიაში გააგრძელა, სადაც სამხედრო ალლუმებზე აღმოჩნდა. ორივე ქვეყანაში ეს სამხედრო დღესასწაულები სასულე ორკესტრის თანხლებით ტარდებოდა, დირიჟორის ყურადღება განსაკუთრებით შოტლანდიური გუდასტვირის ხმოვანებამ მიიპყრო. მას რაჭული გუდასტვირი გაახსენდა, გული აუჩუყდა და საქართველოში დაბრუნდა. ბავშვებს კი, უცხო ქვეყანაში გადაღებული ვიდეო – ჩანაწერები ჩამოუტანა.

**ვიდეო: Changing the Guard, at Buckingham Palace, Royal Regiment of Scotland- Freedom of the Highlands.**

**მეთოდური მითითება:** მასწავლებელს შეუძლია თავად მოიძიოს ინფორმაცია სხვა დღესასწაულებზე, რომლებიც ამ ასაკის ბავშვებისთვის არის გასაგები და ესაუბროს მათზე. მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს მსოფლიო რუკაზე ამ ქვეყნებს და ეკითხება: რა განწყობაზე დაგაყენათ ამ „მოგზაურობამ“? როგორ ხმას გამოსცემს დრაკონი, ლომი? ხმით მიბაძე მათ!

რომელია მხიარული დღესასწაული, ყინულის თუ ჰოლის?

როგორ ფიქრობთ, როგორ ხმებს გამოსცემენ საჰაერო ბუშტები, ფარნები?

რომელ ქვეყანაში იმოგზაურებდით?

**მუსიკალური განტვირთვა:** გაკვეთილის ბოლოს ბავშვები უსმენენ მარშებს – **Washington Post J.Sousa; Battle Hymn of the Republic – Steffe-J.W.Howe,** თამაშობენ და „დირიჟორობენ”.

---

## მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS



**გაიხსენე და გაიმეორე:** სასწავლო წლის ბოლოსთვის ბავშვები იმეორებენ ყველა იმ აქტივობას, რომელიც მთელი წლის განმავლობაში შეასრულეს. ამით ღრმავდება ცოდნა და წლის ბოლოსთვის თითოეული მათგანი კლასს წარუდგენს საკუთარ ნამუშევარს **LMMS** პროგრამაში: მუსიკალურ კოლაჟებს, სხვადასხვა კომპოზიციებს და აქტივობებს ხმა ბგერებზე.

**აქტივობა 6:** ამ აქტივობაში მოცემულია სამი ტრეკი: ბრიტენის „გუგული“, დაკენის „გუგული“, სენ-სანსის „გუგული“. ბავშვებმა, მოისმინონ და გამოიცნონ გუგულის ინტონაციები, ეს ინტონაციები დაალაგონ ტრეკებად და სხვადასხვა თანმიმდევრობით ააჟღერონ.

**აქტივობა 1:** ამ აქტივობაში მოცემულია მ. რაველის, ჯ. როსინის, პ. ჩაიკოვსკის და ლ. ანდერსონის ნაწარმოებების — „კატების დუეტების“ პატარა მოტივები. ბავშვმა, ჯერ ნიმუშის მიხედვით უნდა ააჟღეროს ეს მოტივები, ხოლო შემდეგ სურვილისამებრ, ამ მოტივებისაგან შექმნას **მუსიკალური კოლაჟი**. ნიმუში მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.





# იმერული მგზავრული

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.

**ახალი სიმღერის შესწავლა: „იმერული მგზავრული“**

მასწავლებელი კვლავ ესაუბრება ბავშვებს ქართულ ხალხურ სიმღერაზე, მის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე. ქართველები მღეროდნენ ყველგან და ყოველთვის: ლხინში თუ მწუხარებაში, შრომის, ლაშქრობისა თუ მგზავრობის დროს. ბერძენი ისტორიკოსი საქართველოში მოგზაურობისას გაუოცებია ქართველების ხასიათს: დიდად უცნაური ხალხია ეს ქართველები, ისინი ბრძოლას სიმღერითა და ცეკვით იწყებენო.

ჩვენ მოვისმინეთ და შევისწავლეთ საფერხულო და სახუმარო სიმღერები. დღეს კი „იმერულ მგზავრულს“ მოვისმენთ.

**ჰარალო, ორუდილა დელა,**
**აბადელია, ოვოდილა,**
**ჰარალო, ოვოდილა,**
**დელია, ნანი-ნანინა.**
**ჩემო მკვლელო, ჩემო მწველო,**
**ჩემო ახლო მეზობელო,**
**ჰარალო, ოვოდილა,**
**დელია, ნანი-ნანინა.**

**შენ რომ ცეცხლი მომიკიდე,**
**მითხარ, როგორ გავანელო,**
**ჰარალო, ოვოდილა,**
**დელია, ნანი-ნანინა.**
**ჰარალო, ორუდილა დელა,**
**აბადელია, ოვოდილა,**
**ჰარალო, ოვოდილა,**
**დელია, ნანი-ნანინა, ჰეეე!**

## იმერული მგზავრული



## ინფორმაციისათვის

ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე (ძვ. წ. IV საუკუნე) გვაუწყებს: „ლაშქრობის წინ ქართველთა ერთ-ერთი მეომარი ტომის – მოსინიკების მებრძოლები ასეულებად დაეწყვნენ და ერთიმეორის პირისპირ დადგნენ, როგორც ქოროები. შემდეგ ერთი მათგანი იწყებდა, ხოლო დანარჩენი მღერით რიტმულად მიაბიჯებდა, თან ცეკვავდნენ, მღეროდნენ რომელიღაც სრულიად თავისებურ ჰანგზე". ეს ცნობა იმაზე მეტყველებს, რომ ქართველებს ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე ჰქონიათ საბრძოლო-სალაშქრო ხასიათის საფერხულო წყობის სანახაობები, ცეკვები და სიმღერები, რომლებიც, შესაძლებელია, ცეკვა „ხორუმის" წინაპარიც ყოფილიყო.



მოვიარე სიმღერით...

# სოფლისაკენ ჰერი, ჰერი!

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

**რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;** გაკვეთილი იწყება მოთელვით.

**მეთოდური მითითება:** ბოლო გაკვეთილზე ბავშვები გაიხსენებენ ნასწავლ სიმღერებს. შემდეგ მასწავლებელი ასმენინებს **ინოლა გურგულიას „მგზავრულს"** ბავშვთა პოპულარულ საესტრადო ანსამბლ „მზიურის" შესრულებით. ბავშვები თამაშითა და სიმღერით „ემშვიდობებიან" დირიჟორს:

...დამთავრდა სასწავლო წელი, მალე არდადეგებიც დაიწყება. ყველა დასასვენებლად წახვალთ, ზოგი – სოფელში, ზოგი – ზღვაზე, ზოგიც მთებს მიაშურებთ. იმედია, ნასწავლი სიმღერები ზაფხულის არდადეგების მხიარულად გატარებაში დაგეხმარებათ. მე კი მთელი ზაფხული თქვენთვის ახალი სიმღერები უნდა შევაგროვო, შევისწავლო, ჩავიწერო და, თქვენთვის მესამე კლასის სახელმძღვანელო დავწერო. თქვენ ხომ უკვე მესამე კლასში გადახვედით?! ჰო, მართლა, ზაფხულში გურია-აჭარასაც ვესტუმრები, ზღვაზეც გავირუჯები და ახალ მეგობრებსაც შევიძენ... კესოსა და ტასოსთან სვანეთში დავისვენებ, ბევრს ვიმოგზაურებ, უძველეს სვანურ სიმღერებს ჩავიწერ, მაგრამ, სანამ კესო და ტასოს გავყვებოდე, ერთი მხიარული სიმღერა უნდა მოგასმენინოთ, მეც ამ ლამაზი სიმღერით გემშვიდობებით! ბავშვები მღერიან ინოლა გურგულიას „მგზავრულს".

## მგზავრული

**ტექსტი და მუსიკა**
**ინოლა გურგულიასი**

**იაო, უაო, იაო, უაო,**
**სიხარულით დავხტივარ,**
**იაო, უაო, იაო, უაო,**
**სიოსავით დავქრივარ.**
**აბა მითხარ, ჩემო ცხენო,**
**საით უნდა გაგაჭენო,**
**მიტომ უნდა გაგაჭენო,**
**რომ სოფელში მივდივარ.**
**იაო, უაო, იაო, უაო,**
**აი, უკვე გზაში ვართ!**
**იაო, უაო, იაო, უაო,**
**მთებზედაც გადავდივართ!**
**ბებიკოსთან მივიჩქარი,**
**ვერ გამასწრებს მე ვერც ქარი,**
**მიტომ ასე მივიჩქარი,**
**რომ სოფელში მივდივარ.**
**იაო, უაო, იაო, უაო, ჰეეეე!!!**



# მახსოვს პირველად

ტექსტი: გიორგი ჭალადიდელისა
მუსიკა: ხალხური




დეს. მა - შინ ან - ბა -
ნი მომ - ცეს მე ხელ - ში
და შორ - სა გზა - სა
მე გა - მა - გზავ - ნეს.

# მახსოვს პირველად

მახსოვს პირველად სასწავლებელში
წასაყვანადა რომ მომამზადეს.
მაშინ ანბანი მომცეს მე ხელში
და შორსა გზასა მე გამაგზავნეს.

ვხედავდი, მინდვრებს რომ ვშორდებოდი,
ნაცნობ ბაღებსაც ვეთხოვებოდი, —
დაღონებული მწარედ ვსტიროდი,
მაგრამ არავის ვებრალებოდი...

მხოლოდ ეს მახსოვს, — გამომყვა დედა
და მითხრა: "შვილო, კმარა, ნუ სტირი,
ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა,
ვინ მოიშორა თავიდან ჭირი?

გიყვარდეს სწავლა, გულმოდგინება, —
შრომა და ტანჯვა ნუ გეზარება,
თუ შენი შრომა და შენი ტანჯვა
სამშობლოს რადმე გამოადგება...



# შავლეგო



**შალვა ახალციხელი.** ხატმწერი ირაკლი ცინცაძე

შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო,
(ჰოი!) შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო,
სისხლში გაგიხამებია, შავლეგო,
(ჰოი!) სისხლში გაგიხამებია, შავლეგო,
ყაწიმები გიხდებოდა, შავლეგო,
(ჰოი!) ყაწიმები გიხდებოდა, შავლეგო,
ომში შესვლა გიხდებოდა, შავლეგო,
(ჰოი!) ომში შესვლა გიხდებოდა, შავლეგო,
მტერთან ბრძოლა გიხდებოდა, შავლეგო,
(ჰოი!) მტერთან ბრძოლა გიხდებოდა, შავლეგო,
მაშველი არ გჭირდებოდა, შავლეგო,
(ჰოი!) მაშველი არ გჭირდებოდა, შავლეგო,
შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო,
(ჰოი!) შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო!

## შავლეგო







შალვა ახალციხელი — წმინდანი (ხსენების დღე — 30 ივნისი ახალი სტილით), XII-XIII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, თამარ მეფის ვაზირი, ჯერ ახალციხის, შემდეგ — ახალქალაქის მფლობელი, მეჭურჭლეთუხუცესი (დღევანდელი ფინანსთა მინისტრი), მანდატურთუხუცესი, ერისთავთერისთავი. გარნისის (დღევანდელი სომხეთის ტერიტორია) ბრძოლაში ჯალალედინმა ტყვედ ჩაიგდო, სჯული ვერ შეაცვლევინა და 1226 წელს სიკვდილით დასაჯა.



# „დათუნია დრუნჩა“

**თოჯინების თეატრი**

## შემაჯამებელი გაკვეთილი

**რესურსი:** აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 6 გაკვეთილი

დირიჟორმა პატარებს მუსიკის გაკვეთილზე თოჯინების თეატრისათვის სცენარი მოუტანა.

– ბავშვებო, გაზაფხულისათვის თოჯინების თეატრი მოვაწყოთ, თქვა დირიჟორმა.

– სცენარი ძალიან კარგი, მაგრამ თოჯინების თეატრისათვის რეჟისორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი, წამყვანები, მოქმედი გმირები გვჭირდება – აზრი გამოთქვა დათა-ბათამ.

– შენ, დათა-ბათა რეჟისორი იყავი, მე სცენარისტი ვარ, ია გოგო – მუსიკალური გამფორმებელი, პეტრე – მხატვარი, კესო და ტასო – წამყვანები, დანარჩენი კი თოჯინებს დაამზადებენ და ათამაშებენ, – გაანაწილა როლები დირიჟორმა.

ყველას მოეწონა დირიჟორის არჩევანი, სცენარი წაიკითხეს და გულმოდგინედ შეუდგნენ სიმღერების შესწავლას. ჩართეს დისკი და წამყვანებმა დაიწყეს:

**მოგიყვებით, ბავშვებო,**
**დათუნიას ამბავს...**

დირიჟორს სცენარი დაეწერა გივი ჭიჭინაძის ლექსი-ზღაპრის – „დათუნია დრუნჩას“ – მიხედვით. სპექტაკლისათვის პეტრემ თავისი ხელით მოხატული თეჯირი მოიტანა, თოჯინები დახატა, გამოჭრა. მოკლედ, თითოეული თავისი საქმით იყო დაკავებული, მხოლოდ დათა-ბათა ნერვიულობდა და წუხდა, როგორ გაართმევდა თავს ამ ახალ პროფესიას.

**ავტორისაგან:** ამ სპექტაკლისათვის მასწავლებელი გამოიყენებს თოჯინების თეატრის მომზადების იმ უადვილეს ხერხს, რომლითაც „წითელქუდა“ დადგეს. მაგალითად: მუსიკალური ზღაპრის ფონოგრამა ჩაწერილია დისკზე და მიჰყვება შინაარსს, ბავშვებმა უნდა გაინაწილონ და გაითავისონ თავიანთი როლები – თეჯირს იქით ათამაშონ და ამღერონ თოჯინები, ხოლო წამყვანები თეჯირის წინ მთელ სპექტაკლს წაუძღვნენ. დანარჩენი ბავშვები „დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“ აჰყვებიან სპექტაკლს. აგრეთვე ხმით მიბაძავენ და გაახმოვანებენ ცხოველებს, მათ ქმედებებს.

სკოლაში თოჯინების თეატრის მოწყობის ასეთი ხერხი, ფორმა და აქტივობა ხელს უწყობს ბავშვებში შემოქმედებითი ნიჭის, გემოვნების, ყურადღების, ფანტაზიის გაღვივება-განვითარებას. მიაქციეთ ყურადღება ფინალის შინაარსსა და მნიშვნელობას: ატირებულ დათუნიას მეგობრები გარს შემოეხვევიან: ვირთხა კაკალსა და თხილს მიუტანს, ზღარბი – ვაშლსა და მსხალს, მელია – ნაბლს, კოდალა – ბლის კუნწულას... დათუნია გაიხარებს და ყველანი ერთად „მეგობრობის სიმღერას“ იმღერებენ. სპექტაკლის ბოლოს გაიმართება კონცერტი, სადაც ბავშვები შეასრულებენ მთელი წლის განმავლობაში ნასწავლ სიმღერებს. შესაძლებელია ეს სცენარი გაითამაშონ ბავშვებმა როგორც საბავშვო წარმოდგენა.





# დათუნია დრუნჩა

## შესავალი

ტექსტი გივი ჭიჭინაძის
ლიბრეტო და მუსიკა
მაია ოთიაშვილის











# დათუნიას სიმღერა







# ვირთხის გამოსვლა



# დათუნიას სიმღერა

მხიარულად







# ზღარბის გამოსვლა



პიკანტურად











# დათუნიას სიმღერა








## მელიას გამოსვლა




rit.
ბავშვები
mp
მელია
გა-დმო-უ-დგა მე-ლი - ა, გა- უ-წვდი-ნა ყე - ლი -ა, „თქვე და ი დებ ცო-დვა-სო, თუ-არ მა-ჭმევ ცო- ტა-სო"
mp
ბავშვები
რას ი ზამ და დრუნ-ჩა, მის-ცა სა-მი მუ - ჭა, მე - რე ი - სევ გზა - ზე ლი - ლი-ნებ-და ა - სე:



# დათუნიას სიმღერა

მხიარულად






# კოდალას გამოსვლა




8va
ბავშვები mp
ბო-ლოს შეხვდა კო და ლა, დათვს კი არა ჰქონდა რა დათვს კი არა ჰქონდა რა, დათვს კი არა ჰქონდა რა, ჰე I
mp



# მეგობრების სიმღერა






**მეთოდური მითითება:** ზღაპარს კეთილი დასასრული აქვს, ყველა ერთად არის და მღერიან სიმღერას მეგობრობაზე. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ იწყება კონცერტი – „გაზაფხულის დღესასწაული“, სადაც ბავშვები ზღაპრის გმირებთან ერთად მღერიან ყველა იმ სიმღერას რომელიც მთელი წლის მანძილზე ისწავლეს. შესაძლებელია I კლასში ნასწავლი სიმღერები და ხალხური ფერხულები გაიმეორონ, ბავშვებს უყვართ ადრე ნასწავლ სიმღერებთან შეხვედრა. დღესასწაულს აფორმებენ „დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“ რაც უფრო ხალისიანს გახდის მას.



# ფსიქოლოგიური განსჯისათვის

◎ მუსიკალური ზღაპარი-ინსცენირება, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, დაიწერა სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. ამ ასაკის მოსწავლეთათვის კი მისი ფუნქცია (თოჯინების თეატრის სახით) გართულებულია და თვისებრივად ახალ დონეზეა აყვანილი.

თოჯინების თეატრში ორგანულადაა შერწყმული მუსიკა, მხატვრობა, ცეკვა, მეტყველება. მას შეიძლება დიდაქტიკური (აღმზრდელობით-საგანამნათლებლო) კონცეფცია ვუწოდოთ, რადგან მასში დეკლამირებულია მუსიკის შესწავლის შემოქმედებითი მიდგომები. სპექტაკლში ბავშვი უშუალოდაა ჩართული. ერთობლივი შემოქმედებით მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის მყარდება სრული ჰარმონია. ბავშვები ბუნებრივად თანამონაწილეობენ მუსიკალური სცენარის მოდელის გააზრება-შექმნაში. ისინი ფასეულობების პასიური მომხმარებლები კი არ არიან, არამედ ძალდაუტენებლად ხდებიან მისი უშუალო შემსრულებლები. თოჯინების გამოჭრა-დაწებებაში, მეტყველების, მოძრაობის, მიმიკის, სიმღერის ჰარმონიულ სინთეზში, რომლებშიც გათვალისწინებულია ბავშვის ინტერესები, შესაძლებლობები და მოთხოვნები, ვლინდება მათი იმპროვიზაციის უნარი. ბავშვს მუსიკალურ სამყაროში ეპატიჟებიან არა როგორც სტუმარს, არამედ როგორც თავისი მუსიკალური სამყაროს შექმნის თანაავტორს, რაც მათში თავდაჯერებულობის აღზრდის კარგი პირობაა. თოჯინების თეატრის საშუალებით ბავშვი იმეცნებს გარე სამყაროს. მისი დახმარებით შესაძლებელია მრავალი ფსიქოლოგიურ-საგანმანათლებლო ამოცანის გადაწყვეტა. მასში ჩართულია ბავშვის ყველა ფსიქიკური პროცესი: მეტყველება, აღქმა, მეხსიერება, წარმოსახვა, აზროვნება, ნებისყოფა, მოტორული ფუნქცია, კონტროლდება ემოცია... ეს თანამშრომლობითი ურთიერთობის კარგი საშუალებაა.

გასათვალისწინებელია, რომ ჩაკეტილ ბავშვებს აქვთ უამრავი ღირსება: გაძლიერებული პასუხისმგებლობის გრძნობა, დიდი შემოქმედებითი პოტენციალი, არიან დაკვირვებულები, კარგი შემსრულებლები, თუმცა უჭირთ თავის წარმოჩენა. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მათ ტალანტის გამოვლენაში და, შეძლებისდაგვარად, მოუხსნას კომპლექსი. ეფექტური ხერხია შექება-წახალისება.



ამოჭერი და დაამზადე თოჯინა



**ამოჭერი და დაამზადე თოჯინა**



ამოჭერი და დაამზადე თოჯინა



ამოჭერი და დაამზადე თოჯინა



ამოჭერი და დაამზადე თოჯინა



ამოჭერი და დაამზადე თოჯინა


ყვავი


გუგული


შაშვი


ბელურა


ფარშევანგი


ბუ


მტრედი

გაამრავლეთ და დაურიგეთ ბავშვებს

II კლასის შემაჯამებელი გაკვეთილების შეფასების კრიტერიუმები

გაკვეთილი 14 _ კატების ვალსი

განმავითარებელი შეფასება (ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე მასწავლებელი აძლევს სიტყვიერ ან წერილობით კომენტარს).

| მუსიკალური ფრაგმენტების მოსმენა, ცხოველის ინტონაციის ამოცნობა, კოლაჟის შექმნა | | | |
|---|---|---|---|
| პატარა მოტივების გამღერებით რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოს შესრულება, დასარტყამი საკრავებისა და ასო-ბგერების გამოყენება | ერთ, ორ და მრავალმარცვლიან სიტყვებზე რიტმული სავარჯიშოს შესრულება, ინტონაციაზე, ტემპზე დაკვირვება | ცხოველის ხმის ინტონაციის ამოცნობა (ლ.ანდერსონის ,,კატების ვალსი'') და მუსიკალურ ფრაგმენტში მისი ჟღერადობის ადგილის მითითება | ნაწარმოებიდან მუსიკალური ფრაზის ამოჭრა და კომპიუტერულ პროგრამაში აჟღერება, მუსიკალური კოლაჟის შექმნა |

გაკვეთილი 15 _ კატების დუეტი

განმავითარებელი შეფასება (ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე მასწავლებელი აძლევს სიტყვიერ ან წერილობით კომენტარს).

| მუსიკალური ფრაგმენტების მოსმენა, ცხოველის ინტონაციის ამოცნობა, მუსიკალური კოლაჟის შექმნა | | | |
|---|---|---|---|
| რიტმული მოთელვა, ცხოველთა ინტონაციების გამოყენებით და დასარტყამი საკრავებით რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოს შესრულება | მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენა და კატის ინტონაციის ამოცნობა | მოსმენილ ნაწარმოებებზე მსჯელობა და ინტონაციის პიქტოგრამებით ჩაწერა | მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამაში მუსიკალური ფრაგმენტების გამოყენებით კოლაჟის შექმნა |

გაკვეთილი 21 _ ცხოველთა კარნავალი-2

განმავითარებელი შეფასება (ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე მასწავლებელი აძლევს სიტყვიერ ან წერილობით კომენტარს).

| მუსიკალური ფრაგმენტების მოსმენა, ცხოველების ამოცნობა, მოტივის გრაფიკული ნიშნებით ან პიქტოგრამებით ჩაწერა | | | |
|---|---|---|---|
| რიტმული მოთელვა და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოს შესრულება დასარტყამი საკრავებითა და ასო-ბგერების გამოყენებით | კ. სენ-სანსის პიესების მოსმენა (,,ცხოველთა კარნავალი'') და ინტონაციით ცხოველების ამოცნობა | ნაწარმოებების განწყობის, მუსიკალური ენის ელემენტების (ტემპი, ინტონაცია, რეგისტრი) განხილვა | მუსიკის მოსმენის შემდეგ ცხოველთა ინტონაციის გრაფიკულად ან პიქტოგრამებით ჩაწერა |

გაკვეთილი 29 _ მუსიკალური კოლაჟი _ 3

განმავითარებელი შეფასება (ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე მასწავლებელი აძლევს სიტყვიერ ან წერილობით კომენტარს).

| მუსიკის მოსმენა ( კ. სენ-სანსის პიესა ,,აკვარიუმი") და შთაბეჭდილებების, ასოციაციების გამოხატვა | | |
|---|---|---|
| რიტმული მოთელვა და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოს შესრულება პატარა მოტივებისა და დასარტყანი საკრავების გამოყენებით | მუსიკის მოსმენა და შთაბეჭდილებების, ასოციაციების ასახვა, კითხვებზე პასუხის გაცემა | მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამაში ჩატვირთული მუსიკალური ფრაგმენტების მოსმენა, შესაბამის ფოტოებთან დაკავშირება, თანმიმდევრობის დაცვა |

გაკვეთილი 33- წითელქუდა _ თოჯინების თეატრი

განმავითარებელი შეფასება (ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე მასწავლებელი აძლევს სიტყვიერ ან წერილობით კომენტარს).

| სპექტაკლის შეფასება | | | | |
|---|---|---|---|---|
| სპექტაკლისათვის სასურველი გარემოს შექმნა | რესურსის მომზადება | სიუჟეტის გაცნობა და როლების მომზადება | სპექტაკლის მუსიკალური გაფორმებისათვის მუსიკალური ფრაგმენტების (ვ. გოკიელის წითელქუდა)მოსმენა და შერჩევა | შემოქმედებითი უნარების წარმოჩენა |

გაკვეთილი 40-41 _ საშობაო საახალწლო სიმღერები

განმავითარებელი შეფასება (ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე მასწავლებელი აძლევს სიტყვიერ ან წერილობით კომენტარს).

| საშობაო სიმღერების მოსმენა და განხილვა | | |
|---|---|---|
| საუბარი საშობაო დღესასწაულზე, შობასთან დაკავშირებული ამბების მოყოლა | სხვადასხვა ქვეყნის საშობაო სიმღერების მოსმენა | საშობაო სიმღერების განწყობაზე, მელოდიაზე მსჯელობა |

გაკვეთილი 46 _ მუსიკალური კოლაჟი _ 5

განმავითარებელი შეფასება (ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე მასწავლებელი აძლევს სიტყვიერ ან წერილობით კომენტარს).

| ამინდის მოვლენების მუსიკაში ასახვა | | | |
|---|---|---|---|
| რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება პატარა მოტივებისა და დასარტყამი საკრავების გამოყენებით | ხმაბამვითი ხერხებით ქარისა და წვიმის წვეთების ხმის გადმოცემა, იმიტირება | სიმღერა ,,ლაზარეს" შესრულება | მუსიკალური ფრაგმენტების მოსმენა, კომპიუტერული პროგრამის საშუალებით ფრაგმენტების ფოტოებთან დაკავშირება |

# ფსიქოლოგიური დასკვნა

მეორე კლასში წარმოდგენილი გაკვეთილები სამყაროში არსებული ცხოველების, ფრინველების, ბუნებრივი მოვლენებისა და სხვადასხვა დღესასწაულების თემატიკას მოიცავს. ბავშვები იგებენ, რომ ამ თემატიკაზე აგებული აქტივობები განსხვავდებიან სხვადასხვა ნიშნებით, ხმით, ინტონაციით, ფერით, ფორმით, სიდიდით, დანიშნულებით და გამომხატველი მოქმედებებით. ბავშვი **LMMS** პროგრამასთან ინტეგრირებულად შეიმეცნებს საგნობრივ ხატებს, ადარებს, იგებს მათი მსგავსების შესახებ, განასხვავებს და ახდენს მათ კლასიფიცირებას, დიფერენციაციას, განზოგადებას. ყოველივე ეს კი მუსიკალურ-ინტონაციურ მეხსიერებასთან ერთად მათ უვითარებთ ლოგიკურ და კრიტიკულ აზროვნებას, საკუთარ დამოკიდებულებებს და შეფასებებს. ბავშვები არაფერს ითვისებენ მექანიკურად, ყველა ფსიქიკური სფერო ძალდაუტანებლად ჩართულია მათთვის სასიამოვნო და საინტერესო, შემოქმედებით და წარმოსახვით პროცესში, რაშიც მათ მასწავლებელი ეხმარება.

განსხვავებული ჟღერადობისაა ჩიტების ჟღურტული, ზღვის, მდინარის თუ ნაკადულის ჩხრიალი, ქარის შრიალი – ბავშვი ყურს უგდებს, იაზრებს, ამუშავებს შთაბეჭდილებებს და გადმოგვცემს საკუთარი ინტერპრეტაციით. ეს პროცესი ასევე კარგი საშუალებაა ბავშვის ესთეტიკური განცდის, ემოციურ-ინტელექტუალური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით. სმენითი აღქმა და გააზრება-ინტერპრეტირება ბავშვის ენობრივი განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა. თამაშის სახით მოცემული ფრინველების და ცხოველების ინტონაციების მსგავსება – განსხვავების გამოცნობა, მსგავსი ჟღერადობის ინტონაციების გარჩევა (ამოიცნონ, რომელ ფრინველს ეძღვნება პიესა, გაარჩიონ ცხოველების ინტონაციები, დაალაგონ რეგისტრის მიხედვით) და შემდეგ მათი იმიტირება, აუდიტური აღქმის, ყურადღების, აუდიტური დიფერენციაციისა და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის კარგი საშუალებაა.

ნებისმიერი ქცევის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია განწყობა. მოთელვითი სავარჯიშოები, რომელითაც ყველა გაკვეთილი იწყება და მოითხოვს უკვე ნაცნობი ფრინველების, ცხოველების ცალკეული მარცვლების ინტონაციების ხმით გამოხატვას, ბავშვებს უქმნის მოცემული დავალების ხალისით შესრულების განწყობას, ასევე მათი მეხსიერების და მეტყველების განვითარებისა და სტიმულირების პირობას.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი აქტივობები, **LMMS** პროგრამაში მათთვის უცნობი ფრინველების ხმების ამოცნობა, ჟღერადობის მსგავსი ინტონაციების გარჩევა, მათი მისადაგება ფურცლებზე გამოსახულ ფოტოებთან, საკუთარი მოსაზრებების, განწყობების გამოხატვა, ასევე მასწავლებლის შეკითხვებით მიღებული პასუხები (საშიში თუ კეთილხმოვანი? მხიარული თუ სევდიანი და სხვ.) ბავშვების ინდივიდუალიზმის, ემოციური დამოკიდებულებების განსაზღვრა-გამოვლენის კარგი საშუალებაა.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი გაკვეთილები ემსახურება წარმოსახვის პირველადი ფორმების ჩამოყალიბებას, რომელსაც საფუძველი სწორედ დაწყებით კლასში ეყრება. ამ შემთხვევაში მასწავლებელი ახდენს ბავშვის უნარ- შესაძლებლობების მიახლოებას რეალისტურ აზროვნებასთან, ახდენს სასიამოვნო ემოციური განცდების გამოწვევას და სწორი მიმართულების მიცემას. სინამდვილის სწორი შემეცნება შეუძლებელია წარმოსახვის გარკვეული ელემენტების გარეშე. გარე სამყაროსთან კავშირი მოითხოვს მათ ერთობლივ მოქმედებას, რეალისტური აზროვნების მონაწილეობას წარმოსახვის პროცესში, რასაც ბავშვები ხალისით ახორციელებენ მუსიკის გაკვეთილებზე. **LMMS**-ის პროგრამის გამოყენებით ბავშვებს უვითარდებათ საკუთარი რიტმის ძიებისა და შექმნის განწყობა. ისინი საკუთარი ფანტაზიით ქმნიან მუსიკალურ კოლაჟებს, რომლის შთაბეჭდილებები მათ სხვადასხვა სიმღერის, ცეკვის, მარშების, დღესასწაულის, რიტუალების მოსმენისას მიიღეს.

**ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი**

**ლია ქურხული**

# LMMS-ის ინსტრუქცია

LMMS არის მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამა. ზუსტად ამ პროგრამაშია მოცემული და შესრულებული ის აქტივობები, რომელიც თან ერთვის 1-6 კლასის მუსიკის სახელმძღვანელოს. გთავაზობთ ამ პროგრამის მოკლე ინსტრუქციას:
პროგრამა LMMS-ის გახსნისთანავე გამოჩნდება ასეთი ინტერფეისი, რომელშიც ოთხი ძირითადი ფანჯარაა, თუმცა აქ მოცემული გაკვეთილებისთვის დაგვჭირდება ორი:
Song-Editor (ფანჯარა მარცხენა ზედა მხარეს) და Beat+Bassline Editor (ფანჯარა ზედა მარჯვენა მხარეს).




**პროექტის შენახვა.**
უმჯობესია თავიდანვე შევინახოთ გახსნილი პროექტი სასურველ ადგილას: ჩამოვშლით Project-ს, ვირჩევთ პუნქტს Save, შემდეგ კი გამოსულ ფანჯარაში მივუთითებთ იმ ადგილს, სადაც ვინახავთ ფაილს. ასევე, დანარჩენ მოქმედებებსაც ვინახავთ (ვასეივებთ) Ctrl+S-ის მეშვეობით.

**სემპლის გამოძახება.**
მაუსით ვაჭერთ ნოტის ლოგოს,  რომელიც Song-Editor-ის მარცხენა მხარეს მდებარეობს.
გამოვა მენიუ, სადაც დაინახავთ სემპლების ჩამონათვალს:



მაუსის მარცხენა ღილაკით ორჯერ ვაწკაპებთ სემპლზე, რომელიც ავტომატურად გადავა Beat+Bassline Editor-ის ფანჯარაში. შემდეგ ორჯერ ვაწკაპებთ სემპლის გრაფას, რომელიც ისრით არის მითითებული და ამ მოქმედების შემდეგ ავტომატურად გადავდივართ ახალ ფანჯარაში,




**ფანჯარა - Piano-Roll.**

Piano-Roll-ში სემპლი ავტომატურად ჯდება ნოტა „ლა“-ზე (A4), სადაც შეგიძლიათ მაუსით შეამოკლოთ და გაწელოთ სემპლი.



**სემპლის ჩასმა Song-Editor-ში.**

როდესაც დავამთავრებთ სემპლის რედაქტირებას, დავხუროთ Piano-Roll-ის ფანჯარა და სემპლი ჩავსვათ მთავარ ფანჯარაში- **Song-Editor**-ში.




მიაქციეთ ყურადღება, რომ სემპლი უნდა იჯდეს Beat/Bassline-ს ხაზზე.

სემპლის ნუმერაციის ან სახელის შეცვლა ხდება შემდეგნაირად: მაუსის მარჯვენა ღილაკით ერთხელ ვაწკაპებთ Beat/Bassline 0-ზე და გამოსულ ფანჯარაში ვუცვლით სახელს, ან ნუმერაციას.




**სემპლის წაშლა.**

მაუსით ერთხელ ვაჭერთ მწვანე ლოგოს და ჩამოშლილ მენიუში ვირჩევთ Remove this track.



**სემპლის ჩასმა Song-Editor-ში.**

როდესაც დავამთავრებთ სემპლის რედაქტირებას, დავხუროთ Piano-Roll-ის ფანჯარა და სემპლი ჩავსვათ მთავარ ფანჯარაში- **Song-Editor**-ში.




მიაქციეთ ყურადღება, რომ სემპლი უნდა იჯდეს Beat/Bassline-ს ხაზზე.

სემპლის ნუმერაციის ან სახელის შეცვლა ხდება შემდეგნაირად: მაუსის მარჯვენა ღილაკით ერთხელ ვაწკაპებთ Beat/Bassline 0-ზე და გამოსულ ფანჯარაში ვუცვლით სახელს, ან ნუმერაციას.




**სემპლის წაშლა.**

მაუსით ერთხელ ვაჭერთ მწვანე ლოგოს და ჩამოშლილ მენიუში ვირჩევთ Remove this track.



## აუდიომასალის სია

1. ი. ჰაიდნი – სიმფონია №83
2. ჟ. რამო – „ქათამი“
3. ლ. ბოკერინი – „მენუეტი“
4. მ. მუსორგსკი – „გამოუჩეკავი ბარტყების ბალეტი“
5. ლ. ანდერსონი – „წიწილების ცეკვა“
6. კ. სენ-სანსი – „გუგული ღრმა ტყეში“
7. ლ. დაკენი – საფორტეპიანო პიესა – „გუგული“
8. ბ. ბრიტენი – სიმღერა „გუგული“
9. ო. მესიანი – „ეგზოტიკური ფრინველები“.
10. ს. ცინცაძე – საკვარტეტო მინიატურა „ლალე“
11. ხალხური სიმღერა – „მოდი ვნახოთ ვენახი“. ასრულებს სიონის სამრევლო სკოლის გუნდი
12. „ქართლური საცეკვაო” – ასრულებს ანსამბლი „ლაშარი“
13. თუშური დასაკრავი ჭიანური
14. ლ. ანდერსონი – „კატების ვალსი“
15. ჯ. როსინი – „კატების დუეტი“
16. მ. რაველი – „კატების დუეტი“
17. პ. ჩაიკოვსკი – კატების ვალსი ბალეტიდან „მძინარე მზეთუნახავი”
18. ვ. კახიძე – „მთვარის ცეკვა“ I ნაწილი
19. კ. დებიუსი – „მთვარის შუქი“
20. ლ.ვ. ბეთჰოვენი – „ზაზუნა“
21. „არამი დო შარიქა“ – მეგრული ხალხური სიმღერა ასრულებს ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლი „მართვე“
22. კ. სენ-სანსი – „სპილო“
23. კ. სენ-სანსი – „ვირი“
24. კ. სენ-სანსი – „კენგურუ“
25. კ. სენ-სანსი – „ლომების მარში“
26. ვ.ა. მოცარტი – „ღამის პატარა სერენადა“ I ნაწილი
27. ჩანგის ჩანაწერი
28. ვ.ა. მოცარტი – „ღამის პატარა სერენადა“ IV ნაწილი
29. პ. ჩაიკოვსკი – „ფერია დრაჟეს“ ცეკვა ბალეტიდან „მაკნატუნა“
30. პ. ჩაიკოვსკი – „ყვავილების ვალსი“ ბალეტიდან „მაკნატუნა“
31. კ. სენ-სანსი – „აკვარიუმი“
32. ჟორჟ ბიზე – ოპერა „კარმენი“ უვერტიურა
33. ვ. კახიძე – „მთვარის ცეკვა“ I ნაწილი
34. ა. ვივალდი – „წელიწადის დრონი“ – „შემოდგომა“.
35. ქართლური ხალხური სიმღერა „ორმოში ფეტვი ჩავყარე“
36. მ. მუსორგსკი – სიმფონიური სურათი „ღამე შიშველ მთაზე“
37. ჟ. ბიზე – ოპერა „კარმენი” მესამე აქტის შესავალი
38. ვ. დოლიძე – ცეკვა „ქართული“ ოპერიდან „ქეთო და კოტე“.
39. რაჭული ალილო – ანსამბლი „მზეთამზე“
40. „საახალწლო დალოცვა“ გუდასტვირი
41. Deck the Halls
42. Jingle Bells
43. Kids Christmas song
44. We wish you a merry christmas
45. ვ. კახიძე – „ალილო“, ფილმიდან „ივანანამ რა ჰქმნა”
46. მ. დავითაშვილი – „საახალწლო“
47. გერმანული საშობაო სიმღერა
48. რაჭული მრავალჟამიერი
49. ჯ. როსინი – ოპერა „ვილჰელმ ტელი“, II მოქმედება, „ქარიშხალი“
50. ე. გრიგი – სიუიტა „პერ გიუნტი“ – „დილა“.
51. ა. ვივალდი – „წელიწადის დრონი“. „ზაფხული“. „ქარიშხალი“
52. მ. რაველი – „დაფნისი და ქლოე“ – „მზის ამოსვლა“

53. „ახ, ლაზარე, ლაზარე“ – ქართლური, ასრულებენ ი. გაბუნია, მ. ოთიაშვილი, ნ. ვალიშვილი
54. ABCD – გერმანულად
55. ABCD _ ინგლისურად
56. ვ.ა. მოცარტი – საფორტეპიანო ვარიაციები C-dur
57. მ. რაველი – საფორტეპიანო პიესა „წყლის თამაში“
58. ა.ხაჩატურიანი – ბალეტი „გაიანე“ – „ ხმლებით ცეკვა”
59. ი. ჰაიდნი – „გამოსათხოვარი სიმფონია“ №45, IV ნაწილი.
60. საგალობელი „წმინდაო ღმერთო“
61. საგალობელი „ქრისტე აღსდგა“ – ანსამბლი „მართვე“
62. წიკო-წიკოს ჩანაწერი. საჭიდაო
63. რ. ლაღიძე – „საჭიდაო“ დირიჟორი ჯ. კახიძე
64. პ. ჩაიკოვსკი – „ყვავილების ვალსი“ ბალეტიდან „მაკნატუნა”
65. ი. შტრაუსი – „ანენ პოლკა“
66. ვ.ა. მოცარტი – „მენუეტი“
67. ი.ს. ბახი – „მენუეტი“
68. ვ. დოლიძე – „ცეკვა ქართული“ ოპერიდან „ქეთო და კოტე”
69. პ. ჩაიკოვსკი – „ნეაპოლური ცეკვა“
70. ლ.ვ. ბეთჰოვენი – კონტრდანსი №12
71. Happy Birthday To You!
72. „იმერული მგზავრული“ – ხალხური სიმღერა. ასრულებს ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლი „მართვე“

## დამატებითი მასალა

1. წიკო-წიკოს ჩანაწერი ქართლური „განდაგანა“ ასრულებს ქორო კაციაშვილი
2. პ. ჩაიკოვსკი – „ტრეპაკი” ბალეტიდან მაკნატუნა
3. საშობაო სიმღერა – Jingle Bells
4. ვოისა – აჭარული საცეკვაო სიმღერა
5. ა. ვივალდი – „წელიწადის დრონი“ – გაზაფხული
6. მ. თეოდორაკისი – ცეკვა „სირტაკი“
7. „შავლეგო“ – ხალხური სიმღერა

## მარშები

1. Washington Post (Sousa)
2. The Thunderer (Sousa)
3. Battle Hymn of the Republic (Steffe _ J. W. Howe)
4. Colonel Bogey (K. Afford)

## სიმღერების აუდიომასალის სია

1. მ. დავითაშვილის – „დილა მშვიდობისა“ ასრულებს მ. ოთიაშვილი
2. მ. დავითაშვილის – „დილა მშვიდობისა“, „მინუს“ ფონოგრამა
3. მ. ოთიაშვილი – „თეთრი ჩოჩორი“, მღერიან ვაკო აგლაძე და ია გაბუნია
4. მ. ოთიაშვილი – „თეთრი ჩოჩორი“, „მინუს“ ფონოგრამა
5. ინგლისური ხალხური სიმღერა – „E-I-E-I-O“, „ია-ია-ო“
6. ინგლისური ხალხური სიმღერა – „E-I-E-I-O“, „ია-ია-ო“ „მინუს“ ფონოგრამა
7. მ. ოთიაშვილი – „ბროლია და ფისო“ „მინუს“ ფონოგრამა
8. ინგლისური ხალხური სიმღერა „Ding dong Bell”
9. ი. ბობოხიძე – „გოგო ანა“, მღერის ია გაბუნია
10. ი. ბობოხიძე – „გოგო ანა“, „მინუს“ ფონოგრამა
11. ვ. გოკიელი – „მგელი“
12. ვ. გოკიელი – „წითელქუდა“ მღერის მ. ოთიაშვილი

13. მ. ოთიაშვილი – „ფიფქის სიმღერა“ მღერის ია გაბუნია
14. მ. ოთიაშვილი – „ფიფქის სიმღერა“, „მინუს“ ფონოგრამა
15. ი. ბობოხიძის – „ფიფქები“ ასრულებენ ელენე რაქვიაშვილი და ირაკლი უჩანეიშვილი
16. ი. ბობოხიძის – „ფიფქები“, „მინუს“ ფონოგრამა
17. ა. ბასიალაია – „ცისარტყელები“ ასრულებს ვოკალური ანსამბლი „ივერია“
18. ა. ბასიალაია – „ცისარტყელები“, „მინუს“ ფონოგრამა
19. მ. მერაბიშვილი – „შხაპი-შხუპი“ ასრულებენ თეკლა გიორგობიანი და მარიამ ენდელაძე
20. მ. მერაბიშვილი – „შხაპი-შხუპი“, „მინუს“ ფონოგრამა
21. მ. ოთიაშვილი – „ეს ლამაზი მთები“ ასრულებენ სკოლა „სხივის“ ბავშვები
22. მ. ოთიაშვილი – „ეს ლამაზი მთები“, „მინუს“ ფონოგრამა
23. ი. გურგულია – „მგზავრული“ ასრულებს გოგონათა ვოკალური ანსამბლი „მზიური“
24. ი. გურგულია – „მგზავრული“, „მინუს“ ფონოგრამა
25. მ. ოთიაშვილი – „დათუნია დრუნჩა“ ასრულებს ი. გაბუნია, მ. ოთიაშვილი
26. მ. ოთიაშვილი – „დათუნია დრუნჩა“, „მინუს“ ფონოგრამა
27. ლ.ვ. ბეთჰოვენი – „ზაზუნა“ ასრულებს დები ჭოხონელიძეები
28. ლ.ვ. ბეთჰოვენი – „ზაზუნა“, „მინუს“ ფონოგრამა
29. ხალხური – „მახსოვს პირველად“ „მინუს“ ფონოგრამა
30. ინგლისური ხალხური სიმღერა – „Ding, Dong, Bell“, „მინუს“ ფონოგრამა

## ვიდეომასალა

01 jan filip ramo-qatami
02 (Hwamei Chines) cantando e emocionando.
03 Animal Sounds for Children (20 Amazing Animals)
04 Messiaen on Birds I
05 Messiaen on Birds II
06 Leroy Anderson Sings The Waltzing Cat
07 Cat Duet (Maurice Ravel)
08 Rossini Montserrat Caballe & Concha Velasco _ Duetto di due gatti
09 Laura Veirs _ Little Lap Dog Lullaby Official Video
10 The Animal Boogie
11 The Farmyard Jamboree
12 A MI BURRO
13 Kuckuck rufts aus dem Wald _ Kinderlieder Klassiker zum Mitsingen
14 Summ, summ, summ _ Kinderlieder zum Mitsingen _ Sing Kinderlieder
15 Summ, summ, sum
16 Alle meine Entchen _ Kinderlieder zum Mitsingen _ Sing Kinderlieder
17 Bjornen sover
18 Kuk-kuk
19 Walking Through the Jungle
20 capra capretta
21 Edewcate english rhymes _ Ding Dong Bell Pussy's In The Well
22 Era un Gato Grande _ Michi-guau
23 cizecku
24 Sing a Song of Sixpence  Nursery Rhymes  By LittleBabyBum!
25 Lever du jour _ Daybreak _ Daphnis et Chloe by Ravel
26 Rossini Storm from The Barber of Seville
27 Merry Christmas From Young Scottish Bagpipers In Scotland
28 O Holy Night  Kings College, Cambridge
29 The Ferryboat _ a Scottish dance using Christmas music
30 МАЛЕНЬКОЙ ЕЛОЧКЕ ХОЛОДНО ЗИМОЙ
31 Concerto di natale P.C & Fiammetta & Francesca P. Ave Maria di Nazareth
32 Concerto di Primavera 2000 _ La zanzara
33 xelebis shriali

34 Bambi _ Little April shower (English)
35 flight of the bumblebee(xilophon)
36 es lamazi mtebi (basti-bubu)
37 menuet
38 Baroque Dance _ Sarabande a deux
39 Allemande  How To Dance Through Time, Vol. 4 The Elegance of Baroque Social Dance
40 pavane
41 Baroque Dance _ La Pavane des Saisons
42 Landler from The Sound of Music
43 Aloiz Mizandari _ tiflis polka 1867
44 Chinese New Year Lion Dance 2016, Beijing
45 Hong Kong Chinese New Year 2013 _ Dragon Dance  Festival
46 Harbin International Ice and Snow Festival opens in northeast China
47 Festival of Colors _ Worlds BIGGEST color party
48 Venice Carnival _ Masks parade
49 Timelapse Albuquerque Balloon Fiesta
50 Samba-enredo da Imperatriz Leopoldinense – 2016
51 Taiwan Lantern Festival
52 Changing the Guard, at Buckingham Palace
53 Colonel Bogey
54 Royal Regiment of Scotland- Freedom of the Highlands
55 Valerian Mizandari 1919 wlis aglumi

## კომპიუტერულ-მუსიკალური პროგრამა LMMS-ის აქტივობები

LMMS აქტივობა 1 – ფრინველები 1
LMMS აქტივობა 2 – ფრინველები 2
LMMS აქტივობა 3 – ცხოველები 1
LMMS აქტივობა 4 – გუგული
LMMS აქტივობა 5 – ცხოველები 2
LMMS აქტივობა 6 – თეთრი ჩოჩორი
LMMS აქტივობა 7 – Leroy Anderson 1
LMMS აქტივობა 8 – Animalmusic
LMMS აქტივობა 9 – Leroy Anderson 2
LMMS აქტივობა 10 – PhotoMusic 1
LMMS აქტივობა 11 – Little lap Dog
LMMS აქტივობა 12 – Ding dong
LMMS აქტივობა 13 – PhotoMusic 2
LMMS აქტივობა 14 – PhotoMusic 3
LMMS აქტივობა 15 – PhotoMusic 4
LMMS აქტივობა 16 – Sing a song of Sixpenc
LMMS აქტივობა 17 – წვიმა ტალღები
LMMS აქტივობა 18 – PhotoMusic 5
LMMS აქტივობა 19 – PhotoMusic 6
LMMS აქტივობა 20 – PhotoMusic 7
LMMS აქტივობა 21 – წვიმის წვეთები
LMMS აქტივობა 22 – PhotoMusic 8
LMMS აქტივობა 23 – ბუნების მოვლენები

# მუსიკალური ლექსიკონი

## ა

**ადაჯიო** _ (იტალიურად Adagio ნიშნავს ნელა, დინჯად) – ნაწარმოების მშვიდ, ნელ ტემპში შესრულება
**ავთენტიკური** – თვითმყოფი, ნამდვილი, სარწმუნო, პირველწყაროზე დამყარებული
**ავლოსი** – სალამურის ტიპის უძველესი ჩასაბერი საკრავი
**აკომპანემენტი** – ფრანგულად თანხლებას ნიშნავს .მუსიკალური ნაწარმოების, მელოდიის ინსტრუმენტული თანხლება
**აკომპანიატორი** – მუსიკოსია, რომელიც ინსტრუმენტულ თანხლებას უწევს სოლისტს
**აკორდი** – იტალიური სიტყვაა და შეთანხმებას ნიშნავს. მუსიკაში სხვადასხვა სიმაღლის ბგერების ერთდროული თანაჟღერადობა, ხმათა შეთანხმება, შეწყობა
**ალეგრო** – იტალიური სიტყვაა და სწრაფად, ჩქარა შესრულებას ნიშნავს
**ალტერაცია** (ლათ. Alterare შეცვლა) – მუსიკაში ბგერის 1/2 ან 1 ტონით – ამაღლებას ან დადაბლებას ალტერაცია ეწოდება. იგი აღინიშნება ქრომატული ნიშნებით – დიეზით, დუბლდიეზით, ბემოლით და დუბლბემოლით. დიეზი № ბგერას 1/2 ტონით ამაღლებს, ხოლო ბემოლი – 1/2 ტონით ადაბლებს
**ანდანტე** – იტალიური სიტყვაა და ზომიერად შესრულებას ნიშნავს
**ანსამბლი** ფრანგული სიტყვაა და ერთობლიობას ნიშნავს. მუსიკაში – ერთად, შეთანხმებულად დაკვრასა და სიმღერას
**ანტრაქტი** – ფრანგული სიტყვაა და შესვენებას ნიშნავს (entre — შორის, acte — აქტი, მოქმედება). თეატრში _ მოქმედებებს შორის შესვენებებს
**არია** – იტალიურად ჰაერს, ქარს ნიშნავს, ოპერაში კი სოლო სიმღერას

## ბ

**ბალეტი** – ფრანგული სიტყვაა და ცეკვას ნიშნავს
**ბეკარი** – გაუქმების ნიშანია. იგი სანოტო ჩანაწერში აუქმებს ალტერაციის ნიშნებს – დიეზსა და ბემოლს
**ბლიც-ოპერა** – (გერმანულად blitz ელვას ნიშნავს) პატარა, მცირე ზომის მუსიკალური ნაწარმოები

## დ

**დირიჟორი** – ფრანგული სიტყვაა და ხელმძღვანელს ნიშნავს. დირიჟორობს გუნდს, სიმფონიურ ორკესტრს
**დუეტი** – ლათინური სიტყვაა და ორი შემსრულებლისაგან შემდგარ ანსამბლს ნიშნავს

## ე

**ეთნომუსიკოლოგია** – ამა თუ იმ ხალხის ეთნიკურ-მუსიკალური ტრადიციების შემსწავლელი მეცნიერება
**ეტიუდი** – ფრანგული სიტყვაა და შესწავლას ნიშნავს. მუსიკაში ეტიუდი მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრის ტექნიკის გასაუმჯობესებელი პიესაა

## ვ

**ვალსი** – გერმანული სიტყვაა და რწევას, ქანაობას ნიშნავს. მე-19 საუკუნის გერმანულ-ავსტრიული სამეჯლისო ცეკვა
**ვარიაცია** – ლათინური სიტყვაა variatio შეცვლას, ცვლილებას ნიშნავს, მუსიკაში – მელოდიის სხვადასხვა სახის ცვლილებას.
**ვოკალი** – vocale იტალიურად ხმას, ხმიანს ნიშნავს

## ი

**იმიტაცია** – ლათინური სიტყვაა და მიბაძვას ნიშნავს

## კ

**კამერული მუსიკა –** (იტალიურად camera ოთახს ნიშნავს) ინსტრუმენტული ან ვოკალური მუსიკა, რომელიც მცირე რაოდენობის შემსრულებლებისთვის არის შექმნილი და სრულდება მცირე ზომის სალონებსა თუ დარბაზებში

**კანკანი** – (წარმოდგება ფრანგ. სიტყვიდან canard – იხვი) ალჟირული წარმოშობის ჩქარი ცეკვა ორწილადი ზომით.

**კაპელმაისტერი –** გერმანულად დირიჟორს, ლოტბარს ნიშნავს

**კვარტეტი –** (ლათ. quartus ოთხი)კამერული ანსამბლი, შემდგარი ოთხი შემსრულებლისგან, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებელი პარტია აქვს

**კვინტეტი –** (ლათ. qvinta ხუთი) ხუთი მუსიკოსისაგან შემდგარ ანსამბლი ან ასეთი ანსამბლისათვის შექმნილ ნაწარმოები

**კლავიატურა** – გერმანული სიტყვაა და ფორტეპიანოზე კლავიშთა ერთობლიობას ნიშნავს

**კლავიკორდი –** „კლავის" ლათინურად გასაღებს ნიშნავს, „კორდე" – სიმს. ფორტეპიანოს წინაპარი კლავიშიანი საკრავი.

**კლავიში** – ლათინური სიტყვაა და „გასაღებს" ნიშნავს

**კლასიკური –** ლათინურად სანიმუშოს, საუკეთესოს, სრულყოფილს ნიშნავს

**კომპოზიტორი** — ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ადამიანს, რომელიც წერს, იგონებს, ქმნის მუსიკას

**კომპოზიცია –** ლათინური სიტყვაა და ნაწარმოების შედგენას, შეთხზვას ნიშნავს, მუსიკაში კი მუსიკალური ნაწარმოების შექმნას.

**კონსერვატორია –** (იტალიური სიტყვაა და თავშესაფარს ნიშნავს) უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი.

**კონტრაპუნქტი –** punctum contra punctum (ლათინურად) სიტყვა-სიტყვით წერტილი, წერტილის წინააღმდეგ ნიშნავს, მუსიკაში კი რამდენიმე დამოუკიდებელი ხმის ან მელოდიის ერთდროულ ჰარმონიულ შეწყობას.

**კონფერანსიე –** ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს კონცერტებისა და წარმოდგენების წამყვანს, მონაწილეთა გამომცხადებელს; მსახიობს, რომელიც მაყურებელს ართობს სახუმარო ამბებითა და მახვილსიტყვაობით

**კონცერტი –** ლათინური სიტყვაა და შეჯიბრს, შეთანხმებას ნიშნავს

## ლ

**ლაიტმოტივი –** მუსიკალური თემა, რომელიც ახასიათებს რომელიმე გმირს, პერსონაჟს ან რაიმე მოვლენას

**ლეგატო** – იტალიური სიტყვაა და მუსიკალური ნაწარმოების გადაბმულად სიმღერა-დაკვრას ნიშნავს

**ლიბრეტო –** იტალიურად პატარა წიგნს ნიშნავს. ლიბრეტო ოპერის სიტყვიერი ტექსტია, რომელშიც გადმოცემულია ოპერის შინაარსი.

**ლოტბარი** – მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი

## მ

**მაჟორი –** ფრანგული სიტყვაა და „დიდს", „მტკიცეს" ნიშნავს. მაჟორულ ტონალობებში მხიარული, სადღესასწაულო ხასიათის ნაწარმოებები იწერება

**მარში** – marche ფრანგული სიტყვაა და სიარულს, სვლას ნიშნავს. მუსიკალური ნაწარმოები მკაფიო, მწყობრი რიტმით, ზომა – 2/4 ან 4/4.

**მელოდია** – ბერძნული სიტყვაა და სიმღერას ნიშნავს

**მენუეტი** – ფრანგული სიტყვაა და მცირეს, პატარას ნიშნავს. მენუეტი მე-17-18 საუკუნეების ფრანგული სამეჯლისო ცეკვაა. ახასიათებს ზომიერი ტემპი და ¾ ზომა

**მესა** – საეკლესიო მუსიკალური ფორმა, რომელიც კათოლიკურ ეკლესიაში სრულდება წირვის დროს. ესაა დიდი მრავალნაწილიანი ნაწარმოები სოლისტი მომღერლების, გუნდისა და ორკესტრისათვის
**მეცოპიანო** – mp — იტალიური სიტყვაა და ზომიერად ხმადაბლა შესრულებას ნიშნავს
**მეცოფორტე** – *mf* — იტალიური სიტყვაა და ზომიერად ხმამაღლა შესრულებას ნიშნავს
**მინორი** – ფრანგული სიტყვაა და მცირეს, პატარას ნიშნავს. მინორულ ტონალობებში ხშირად სევდიანი ხასიათის ნაწარმოებები იწერება
**მისამღერი** – ეს არის სიმღერის ის ნაწილი, რომელიც კუპლეტებს შორის მეორდება
**მოდერატო** – moderato იტალიური სიტყვაა და ნაწარმოების ზომიერად შესრულებას ნიშნავს
**მოტივი** – motivo იტალიური სიტყვაა და საფუძველს, მამოძრავებელ ძალას ნიშნავს. მუსიკაში, კი მუსიკალური ნაწარმოების ან სიმღერის უმცირეს ნაწილს, რომელიც ნათლად გამოხატავს ძირითადი მელოდიის ხასიათსა და განწყობას. უმეტესად მოტივები 1-2 ტაქტისგან შედგება
**მუსიკა** – ხელოვნების დარგი, რომელიც სინამდვილეს ასახავს მუსიკალური მხატვრული ფორმებითა და განსაზღვრული წესით ორგანიზებული მუსიკალური ბგერების მეშვეობით.
**მუსიკალური კოლაჟი** – (coller ფრანგული სიტყვაა და შეწებებას ნიშნავს) ხელოვნებაში კი განსხვავებული ფორმების ნაწილებისაგან ახალი მთლიანის შექმნას. მუსიკაში – სხვადასხვა დამოუკიდებელი მოტივებისაგან შედგენილი ახალი მუსიკალური კომპოზიცია

## ნ

**ნევმები** – ძველბერძნულად სუნთქვას ნიშნავს. მუსიკალური დამწერლობის შუასაუკუნოვანი სისტემა. ნევმები არ განსაზღვრავდა ბგერის ზუსტ სიმაღლესა და არც გრძლიობას
**ნოტი** – (ლათინურად nota ნიშანს ნიშნავს) მუსიკალური ბგერის პირობითი გრაფიკული ნიშანი

## ო

**ოპერა** – opera იტალიური სიტყვაა და ნაწარმოებს ნიშნავს 1. თეატრი, სადაც მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები იდგმება. 2. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, რომელშიც ერთმანეთს ეხამება ვოკალური (სოლო, გუნდი, ანსამბლი) და ინსტრუმენტული მუსიკა, ცეკვა, მხატვრობა, სცენოგრაფია
**ორკესტრი** – მუსიკოსთა დიდი ჯგუფი, რომლებიც ერთდროულად უკრავენ სხვადასხვა საკრავზე
**ოსტინატო** – (იტალიურად ostinato ნიშნავს დაჟინებულს, ჯიუტს) ერთი ბგერის, მელოდიური ფრაზის ან რიტმული ფიგურის მრავალგზის დაჟინებული განმეორება

## პ

**პა-დე-დე** – ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ორ ნაბიჯს, ბალეტში – წყვილის ცეკვას
**პარტიტურა** – იტალიური სიტყვაა და განაწილებას, დაყოფას ნიშნავს. მუსიკაში – მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ყველა (ვოკალური და ინსტრუმენტული) პარტიის ერთობლიობა; ნოტების წიგნი, რომელიც შეიცავს ასეთი ნაწარმოების ყველა პარტიის ჩანაწერს
**პასიონი** – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს წამებას, ვნებას. მუსიკაში – ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები აგებული სახარებისეულ ტექსტზე
**პაუზა** – ლათინური სიტყვაა და შეწყვეტას, გაჩერებას, შესვენებას ნიშნავს; მუსიკაში კი – მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას ხმოვანების შეწყვეტას
**პიანო** – იტალიური სიტყვაა და ხმადაბლა შესრულებას ნიშნავს. აღინიშნება ასე _ p
**პიესა** – ფრანგული სიტყვაა და ნაწარმოებს ნიშნავს
**პოპმუსიკა** – თანამედროვე, პოპულარული, საესტრადო მუსიკის გავრცელებული სახეობა
**პოპური** – ფრანგული სიტყვაა და შერეულ კერძს ნიშნავს. 1. ნარევი, ნაზავი. 2. მუსიკალური პიესა, რომელიც სხვადასხვა ნაწარმოებებიდან ამოღებული მუსიკალური ნაწყვეტებისაგან შედგება – ერთგვარი მუსიკალური კოლაჟი
**პრეამბულა** – préambule ფრანგული სიტყვაა და „შესავალს“ ნიშნავს
**პროფესიული მუსიკა** – კომპოზიტორის მიერ დაწერილ მუსიკას პროფესიული ჰქვია

## ჟ

**ჟანრი** – ფრანგული სიტყვაა და „სახეობას" ნიშნავს. მუსიკაში მრავალნაირი ჟანრია: კამერული, სიმფონიური, საოპერო, ვოკალური, ინსტრუმენტული და სხვ.

## რ

**რეგენტი** – ლათინური სიტყვაა და მმართველს ნიშნავს. მუსიკაში – მგალობელთა გუნდის ლოტბარს
**რეგისტრი** – (ლათინურად registrum სიას ნიშნავს ) ადამიანის ხმის ან საკრავის ხმოვანების სიმაღლე. არსებობს დაბალი, საშუალო და მაღალი რეგისტრის ბგერები
**რეკვიემი** – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „განუსვენე სამარადისოდ", მუსიკაში კი რეკვიემი სამგლოვიარო ხასიათის დიდი ფორმის ნაწარმოებია გუნდისა და ორკესტრისათვის
**რეპეტიცია** – ლათინური სიტყვაა და გამეორებას ნიშნავს
**რიტმი** – ბგერების გრძლიობათა თანაზომიერი მონაცვლეობა
**რონდო** – ფრანგული სიტყვაა და ფერხულს, წრეში ცეკვა-სიმღერას ნიშნავს. მუსიკაში ნაწარმოების ფორმას, სადაც ერთი ძირითადი თემა-რეფრენი რამდენჯერმე მეორდება

## ს

**სიმფონია** – ბერძნული სიტყვაა და კეთილხმოვანებას ნიშნავს. მუსიკაში დიდი ფორმის ნაწარმოებია სიმფონიური ორკესტრის შესრულებით
**სოლისტი** – მუსიკოსი ან მომღერალი, რომელიც მარტო უკრავს ან მღერის
**სოლო** – იტალიური სიტყვაა და ერთს, ერთადერთს ნიშნავს
**სონატა** – წარმოდგება იტალიური სიტყვიდან – sonare, რაც ჟღერადობას ნიშნავს. მუსიკაში ერთი ან ორი საკრავისთვის დაწერილი დიდი ფორმის ნაწარმოები
**სონატინა** – მცირე ფორმის პატარა სონატა
**სტაკატო** – იტალიური სიტყვაა და მუსიკალური ნაწარმოების მოწყვეტით შესრულებას ნიშნავს
**სუიტა** – ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს „თანამიმდევრობას", მუსიკაში ეწოდება
რამდენიმე დამოუკიდებელი პიესისაგან შემდგარ დიდი ფორმის ნაწარმოებს

## ტ

**ტონიკა** – იტალიური სიტყვაა. მუსიკაში ნიშნავს გამის პირველ საფეხურს
**ტრიო** – ლათინური სიტყვაა და სამი მუსიკოსისგან შემდგარ ანსამბლს ნიშნავს
**ტრეკი** – ინგლისური სიტყვაა და ნაკვალევს, გზას ნიშნავს. მუსიკაში – მუსიკალურ გზას. კომპიუტერულ პროგრამაში ტრეკებზეა განლაგებული ადამიანის ან საკრავის ხმა

## უ

**უვერტიურა** – ფრანგულად ouverture – დასაწყისს, გახსნას, შესავალს ნიშნავს. უვერტიურით იწყება ოპერა, ბალეტი, ოპერეტა, დრამატული სპექტაკლი.
მე-19 ს-ში უვერტიურამ სონატური ალეგროს ფორმაში დაწერილი ერთნაწილიანი, დამოუკიდებელი საორკესტრო ნაწარმოების ფორმა მიიღო

## ფ

**ფერხული** – წრეში ცეკვა-სიმღერას ნიშნავს
**ფინალი** – იტალიური სიტყვაა და დასასრულს ნიშნავს, მუსიკაში კი მუსიკალური ნაწარმოებების (სიმფონია, კონცერტი, კვარტეტი და ა.შ.) დასასრულს – დასკვნით ნაწილს
**ფოლკლორი** – ინგლისური სიტყვაა და ხალხურ სიბრძნეს ნიშნავს. მუსიკალური ფოლკლორი ხალხურ მუსიკას ნიშნავს
**ფოლკლორისტი** – მეცნიერი, რომელიც სწავლობს ხალხურ შემოქმედებას
**ფორტე** – იტალიური სიტყვაა და ხმამაღლა შესრულებას ნიშნავს. აღინიშნება ასე – f

**ფრაზა** (ბერძ. phrasis გამოთქმა) – 1. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა. 2. მუსიკალური თემის პატარა, შედარებით დასრულებული ნაწილი. ფრაზა შეიძლება შედგებოდეს ორი ან სამი მოტივისაგან

### შ

**შაირი** – სახუმარო ლექსი და სიმღერაა

### ხ

**ხემი** – ხის ჯოხი, რომელზეც გაჭიმულია ცხენის ძუა. ხემით უკრავენ ვიოლინოზე, ჩელოსა და ზოგიერთ სხვა სიმებიან საკრავზე

### ჯ

**ჯაზი** – ინგლისური სიტყვაა და ველურ ქცევას ნიშნავს. მიმართულება მუსიკაში, რომელიც მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა აშშ-ის სამხრეთში შავკანიანი მოსახლეობის გარემოში. ჯაზისთვის დამახასიათებელია იმპროვიზაცია

**ჯაზ-ბენდი** – ინგლისური სიტყვაა და ჯაზ-ორკესტრს ნიშნავს, რომლის შემადგენლობაშია: კონტრაბასი, როიალი, სასულე და დასარტყამი ინსტრუმენტები. ჯაზ-ბენდი ასრულებს ჯაზურ მუსიკას

### ჰ

**ჰიმნი** – ბერძნული სიტყვაა და სადიდებელ სიმღერას ნიშნავს

.

ამ სახელმძღვანელოს გაყიდვის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში,
გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ცხელ ხაზზე (+995 32) 2 200 200

დამატებითი ინფორმაცია სახელმძღვანელოს/სერიის შესახებ
იხილეთ ვებ-გვერდზე:

9789941929519



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაფინანსებულია „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით
უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში